პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, ქამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 28 ივნისი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 148 (2191)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

—რუშდი-ბეი განიარაღების საბჭოთა პროექტის შესახებ.
—კოვნოში გაემგზავრა პოლონეთის დელეგაცია პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკების გასაგრძელებლად.
—პოლონეთის და საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლების მოლაპარაკება.
—ინციდენტი ნემანზე — პოლონელებმა დააპატიმრეს 5 ლიტველი მუშა.
—ეგვიპტის ახალი კაბინეტის შედგენა დაევალა ლიბერალ მახმუდ-ფაშას.
—ვენაში გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია, რომელიც დაესწრება გემო - კვების მუშაკთა საერთაშორისო კონგრესს.

1928 წლის 2 ივლისს,
საქ. სახალხო კომისართა საბჭოს წითელ დარბაზში, საღამოს 6 ს.
დანიშნულია
საქ. კომპ. ცენტრალური საკონტროლო კომისიის
მესამე მორიგი პლენუმი
დასწრება საკ. კომისიის ყველა წევრების და კანდიდატების სავალდებულოა.
ც. ს. კომისიის თავმჯდომარე: ა. დოლიძე.

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა ივლისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—8.

საშემოდგომო თესვის სამზადისი

საშემოდგომო თესვის დაწყებამდე ჯერ კიდევ თითქო დიდი დროა დარჩენილი და შეიძლება ვინმემ იფიქროს რომ შემდეგშიც მოვესწრებით მისთვის მომზადებასო. ეს მეტად მავნე და შეუწყნარებელი შეცდომა იქნებოდა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოუღოთ ბოლო დაუდევრობას, როცა რაიმე საქმეს თითქმის უკანასკნელ მომენტში ვკიდებთ ხელს, რის გამო მუშაობას ძალაუნებურად ნაუცბადევი და უგეგმო ხასიათი ეძლევა და სასურველ შედეგებს ვერ ვღებულობთ. მით უმეტეს შეუძლებელია დაყოვნება ისეთ საქმეში, როგორიცაა თესვის კამპანია, რომლის წარმატებით ჩატარება უდიდეს ღონისძიებების განხორციელებას ჰგულისხმობს.

ამნაირად, პირველი, რაც აუცილებელია, ესაა საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის მზადების ამ თავითვე დაწყება და ამ საქმისადმი განსაკუთრებულ ყურადღების გამოჩენა სათანადო ორგანიზაციებისა და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის მხრით.

რა კონკრეტიული ამოცანები დგანან ამ მხრივ ჩვენს წინაშე? შემოდგომაზე ჩვენს პირობებში ითესება ხორბლეულობა, აგრეთვე საქონლის გამოსაკვები მცენარეულობა. ტეხნიკურ კულტურების მოშენება ამ დროს არ ხდება. აუცილებლად უნდა გავაფართოვოთ და განვამტკიცოთ ხორბლეული მეურნეობა. დაუთესი და გამოუყენებელი არ უნდა დარჩეს არც ერთი ამისათვის მიჩენილი მიწის ნაკვეთი. ამ გზით შესაძლებელ მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ პურეულის ნაკლებობა, რასაც ჩვენი ქვეყანა განიცდის.

მაგრამ აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პურეული მეურნეობის განვითარება არ უნდა მოხდეს ტეხნიკურ, სამრეწველო კულტურების შემცირების ხარჯზე. ჩვენი ქვეყანა მეტ წილად არის სპეციალური კულტურების რაიონი და შემდეგში უფრო უნდა იყოს ასეთი. ასეთი კულტურების შენარჩუნება და გაფართოება სავსებით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს. საშემოდგომო თესვის დროს ეს გარემოება მხედველობაში უნდა მივიღოთ, ე. ი. მაღალ კულტურათა გასაშენებლად უნდა დავტოვოთ მიწის საკმაო არე.

ამ პირობის დაცვით ნათესების სივრცე უნდა გავადიდოთ შესაძლებლობის ფარგლებში. რა თქმა უნდა, აქ წავაწყდებით მიწის სიმცირეს. გარდა იმისა, რომ მელიორაციის საშუალებით ჩვენ უნდა გამოვიყენოთ დღემდე გამოუსადეგარი მიწები, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მოსავლიანობის გადიდებას, შრომის ნაყოფიერების აწევას. აგრონომიულ ცოდნის გავრცელება, ბუნებრივ და მინერალურ სასუქის გამოყენება, შერჩეულ თესლეულის ხმარება, თანამედროვე მანქანა-იარაღების შემოღება და სხვა. —აი რაა საჭირო ამ ამოცანის გადასაჭრელად.

ჩვენი სოფელი საერთოდ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ნაკლებობას განიცდის. ეს ნაკლებობა ეხლა უფრო საგრძნობია, რამდენადაც გასულ ზამთარში დიდძალი მუშა-საქონელი დაიღუპა. ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველი ზომა მუშა-საქონლით და მანქანა-იარაღებით გლეხობის უზრუნველსაყოფად. არც თესლეულის მარაგი მოეპოება სოფელს საკმაო. აუცილებელია ამ მხრივაც ჯეროვანი დახმარება აღმოუჩინოთ მას.

თავის თავად ცხადია, რომ მთელი ეს დახმარება მიეცემა პირველ რიგში კოლექტივებს და ღარიბ გლეხთა მეურნეობებს. ძირშივე უნდა იქნეს აღკვეთილი შესაძლებლობა ღარიბთათვის დანიშნულ შეღავათების და დახმარების გამოყენებისა კულაკურ და შეძლებულ ფენების მხრით. კერძოდ კოოპერაციამ, როცა ის კრედიტებს თუ სას.-სამ. იარაღებს არიგებს, ამ გარემოებას უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება, ვინაიდან, როგორც ამას წინადაც გამოქვეყნებული იყო ფაქტები, კულაკები აქა-იქ რაღაც მახინაციებით ახერხებენ კოოპერაციის საშუალებით და მისი საფარით შეღავათების მიღებას. საერთოდ ფხიზელი კონტროლი უნდა დაწესდეს ამ საქმეზე.

როცა თესვის კამპანიის ჩასატარებლად ღონისძიებებს ვიმუშავებთ და ვანხორციელებთ, აუცილებლად უნდა მივაღწიოთ ამით დაინტერესებულ ყველა დაწესებულება-ორგანიზაციების შეთანხმებულ მუშაობას. ადგილი არ უნდა ჰქონდეს პარტიზანულ მოქმედებას. მტკიცე გეგმიანობა და მთლიანობა მუშაობაში—ეს ჩვენი გამარჯვების ძირითადი პირობაა.

მარტო სახელმწიფოს და კოოპერაციის მიერ გაწეულ დახმარებით თესვის კამპანია მაქსიმალურ ნაყოფს ვერ გამოიღებს. საჭიროა თვით გლეხობის ორგანიზაცია, მისი შეკავშირება. შემოდგომის თესვის კამპანია უნდა გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლოზუნგის განსახორციელებლად, გლეხურ მეურნეობათა კოლექტიურ გაერთიანებისათვის.

ასეთია ის მთავარი ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან თესვის მომავალ კამპანიასთან დაკავშირებით. ვიმეორებთ, მათი წარმატებით გადაჭრა დამოკიდებულია დროიანად წინასწარ სამზადისის ჩატარებაზე და დაინტერესებულ ორგანიზაციების გეგმიან და შეთანხმებულ მუშაობაზე.

თავდაცვის კვირეულისათვის

თავდაცვის კვირეული მიმდინარე წელს ჩატარდება 15 ივლისიდან 22 ივლისამდე (მოსკოვში და ლენინგრადში ერთი კვირით ადრე). გასულ წელში თავდაცვის კვირეული ტარდებოდა ომის უშუალო საფრთხის ნიშან ქვეშ და ატარებდა გადაუდებელ ხასიათს. გასული წლის კამპანიის შედეგები საკმაოდ თვალსაჩინოა. თავდაცვა ავიაქიმის საზოგადოებამ თავისი წევრების რიცხვი გაადიდა 3 მილიონ კაცამდე. ათასობით მოეწყო სამხედრო ცოდნის ახალი წრეები, ასეული სასწავლო - სასროლო ტირები, თავდაცვა-ავიაქიმის მრავალი ახალი უჯრედები წარმოებებში, სოფლებში და სკოლებში. ფონდში „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“ შეიკრიბა 6 მილიონ მანეთამდე ფული, რითაც შესაძლებელი გახდა წითელი არმიისათვის რამოდენიმე ათეულ ახალ აეროპლანებისა და ტანკების გადაცემა, ქიმიური თავდაცვის ინსტიტუტის შექმნა და სხვ.

მიმდინარე წელს „თავდაცვის კვირეულს“ რამოდენიმედ სხვა ხასიათი ექნეს. „თავდაცვის კვირეულს“ მიზნად უნდა ექნეს გასულ წელში მიღწეულ შედეგების შემოწმება და განმტკიცება და თავდაცვისათვის წარმოებული მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, მუშებისა და გლეხების სამხედრო მომზადების გაფართოება, ამავე დროს მან გადაჭრით უნდა გაფანტოს ყალბი წარმოდგენები მომავალი ომის შესახებ. მომავალი ომის ხასიათის გაშუქების დროს ბურჟუაზიული სამხედრო ტეხნიკის საშინელებებით „დაფრთხობას“ უნდა დავუპირდაპიროთ პროლეტარული დიქტატურის მტრების ნამდვილ ტეხნიკურ საშუალებათა ფხიზელი, მეცნიერული წყაროებით შემოწმებული აღრიცხვა. ოლო მეორეს მხრივ ჩვენი წითელი რმიის სამხედრო - ტეხნიკური ბაზის საკითხის მკაფიოდ გაშუქებამ უნდა თაამთავროს იმის სურათი, თუ რა აქვს ჩვენს წითელ არმიას და კიდევ რა გვაქვს ჩვენ გასაკეთებელი. რამდენადაც უკეთესი იქნება ჩვენი სამხედრო მომზადება, მით უფრო ნაკლები იქნება საბჭოთა კავშირზე სამხედრო თავდასხმის შესაძლებლობა, ეს განსაკუთრებით უნდა დავიმახსოვროთ. ამასთან შეფარდებით „თავდაცვის კვირეულის“ დროს უნდა შევამოწმოთ და კიდევ უფრო უნდა განვავითაროთ საერთო პარტიულ - საბჭოთა და საზოგადოებრივი მუშაობა სამხედრო პროპაგანდისა და სამხედრო მომზადების საქმეში. ეს კი მოასწავებს იმ სამხედრო მუშაობის თვისების გაუმჯობესებას, რომელიც სწარმოებს მუშებსა და გლეხებს შორის, უფრო გეგმაშეწონილი სამხედრო პროპაგანდის და სწავლების შემოღებას, როგორც ქალაქში და სამრეწველო პროლეტარულ ცენტრებში, ისე სოფლად თავდაცვა - ავიაქიმის რიგებში ახალი წევრების ორგანიზაციულად ჩაბმა მუშების, ღარიბ და საშუალო გლეხების და მშრომელ ქალების მასებიდან, გადამჭრელი კურსის აღება თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოების აქტივის მომზადებაზე, თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოების ქვედა საფეხურის უჯრედების განმტკიცება და სამხედრო მომზადების ყველა ძირითადი ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესება ქარხანაში, ფაბრიკაში, მუშათა კლუბში, სკოლაში და კაში, სოფლის სამკითხველოში — აი ჩვენი უახლოესი ამოცანები. მასიური მუშაობის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებლად საჭიროა მატერიალური ბაზა. „თავდაცვის კვირეულმა“ ეს საკითხიც პრაქტიკულად უნდა დასვას და გადაჭრას ფულის ნებაყოფლობითი შეგროვებით და „თავდაცვა-ავიაქიმის მასიურ მუშაობის განმტკიცების“ სპეციალური მიზნობრივი ფონდის შექმნით.

პარტორგანიზაციების და მათი სააგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებების ამოცანას თავდაცვის კვირეულის დროს შეადგენს საბჭოთა კავშირის თანამედროვე საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის ფართოდ გაშუქება, სოციალისტური აღმშენებლობის მორიგი ამოცანების პოპულიარიზაცია, გადაჭრით გაფანტვა, პროვოკაციული ხმებისა ომის უშუალო სიახლოვის და ამასთან დაკავშირებით სამხედრო კომუნიზმის ეკონომიურ პოლიტიკაზე (ზედმეტი პურის ძალდატანებით ჩამორთმევა და სხვ.) დაბრუნების შესახებ. იმ პროვოკაციული აგიტაციის დასაპირდაპირებლად, რომელსაც აწარმოებენ კულაკები ამ თემაზე, საჭიროა დაწვრილებით გავაცნოთ გლეხობას როგორც ნამდვილი საერთაშორისო მდგომარეობა, ისე პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ სოფლის მეურნეობის დარგში წარმოებული პოლიტიკის შინაარსი და მიზნები.

საბჭოების ყრილობამ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. ვოროშილოვის მოხსენების მიხედვით მიიღო მთელი რიგი უაღრესად საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებები სამხედრო მშენებლობის და საბჭოთა კავშირის თავდაცვის საკითხების შესახებ. თავდაცვის კვირეულის დროს საბჭოების პლენუმებზე უნდა შემოწმებულ იქნას, თუ რა გაკეთდა ამ გადაწყვეტილებების მიხედვით. კიდევ უფრო დიდი ყურადღება უნდა მიექცეს წითელი არმიისათვის დახმარების აღმოჩენას და ადგილებზე, მთელი საბჭოთა აპარატის ფართო მუშაობის განვითარებას მშრომელთა გასამხედროების მიზნით.

წითელი არმია მთელს მსოფლიოში ერთად-ერთი არმიაა, რომელიც არ ისახავს დამპყრობელ მიზნებს და არ ემსახურება არავითარ იმპერიალიზმს. როგორადაც არ უნდა სწამებდნენ ცილს წითელ არმიას საერთაშორისო ბურჟუაზია და მისი ლაქიები, — ყველა ქვეყნის მუშებმა იციან, რომ წითელი არმიის არსებობის მიზანს და აზრს შეადგენს პროლეტარული რევოლიუციის მონაპოვართა დაცვა საბჭოთა კავშირში. თავდაცვის კვირეული, რომელიც განამტკიცებს წითელი არმიის ძლიერებას და მშრომელთა მასებში საერთაშორისო სოლიდარობის იდეებს, ერთხელ კიდევ გაუსვამს ხაზს მთელ მსოფლიოს წინაშე ჩვენი შეიარაღების თავდაცვით მიზნებს, საბჭოთა კავშირი, რომელიც იბრძვის მშვიდობიანობისათვის, არაერთხელ და გადაჭრით გამოდიოდა წინადადებით სრული და საყოველთაო განიარაღების შესახებ. თავისი ბუნებით მტაცებლურ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს არ სურდათ და არ სურთ მიიღონ საბჭოთა პროგრამა განიარაღების შესახებ. ისინი განაგრძობენ ჯავშნიანი გემების, ტანკების, გაზის ქარხნების და გამანადგურებელი აეროპლანების აგებას. ისინი იარაღს ისხამენ აგრეთვე ერთი-ერმანეთის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაც, რასაც არ ფარავს მსოფლიო ბურჟუაზია. მაშ დეე დანაშაულად ნუ ჩაუთვლიან საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებს, თუ ეს მუშები და გლეხები დგანან სისხლით მოპოვებულ მიღწევათა სადარაჯოზე, სოციალიზმის მშვიდობიანი აღმშენებლობის სადარაჯოზე, ამტკიცებენ სახელოვანი წითელი არმიის სამხედრო ძლიერებას და მზად არიან თავისი მკერდით დაიცვან საბჭოთა კავშირი, თუ ადგილი ექნა იმპერიალისტების შემოტევას.

„პრავდა“, 27 ივნისი.

გენსაბჭო განაგრძობს მოლაპარაკებას „სამრეწველო მშვიდობიანობის“ შესახებ

პროფინტერნის მიმართვა საბერძნეთის პროლეტარიატისადმი

ავსტრიის სასამართლომ ბელა კუნს მიუსაჯა სამი თვის ციხე

გენსაბჭო და „მშვიდობიანობა მრეწველობაში“

ლონდონი, 26 ივნისი. გენერალურ საბჭოს საგანგებო სხდომაზე გაირჩა იმ მოლაპარაკების შედეგები, რომელსაც გენერალურ საბჭოს წარმომადგენლები აწარმოებდენ მონდის ჯგუფთან „სამრეწველო მშვიდობიანობის“ შესახებ.

გენსაბჭომ 18 ხმით 4-ის წინააღმდეგ მოიწონა ქვეკომისიის მოხსენება მუდმივ ნაციონალურ სამრეწველო საბჭოს დაარსების შესახებ. ამ საბჭოში, რომელიც უნდა მოქმედებდეს, როგორც „ნებაყოფლობითი“ შემარიგებელი ორგანიზაცია სამრეწველო კონფლიქტების საკითხში, წარმოდგენილი უნდა იქნენ მწარმოებლები და პროფკავშირები.

გენსაბჭოს თავმჯდომარემ ხიკსმა შეიტანა რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს, რომ მონდის ჯგუფთან მოლაპარაკება შემდეგში უსარგებლოა და შეწყვეტილ უნდა იქნეს. მიუხედავათ ამისა, რეზოლიუცია შესაძლოდ **სთვლის სამრეწველო ხასიათის საკითხების განხილვის მწარმოებლებთან ერთად. რეზოლიუცია უარყოფილ იქნა 15 ხმით 6-ის წინააღმდეგ.**

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს, კუკმა კენჭის ყრის შესახებ განაცხადა: „ვინაიდან გენსაბჭოში აზრთა დიდი სხვადასხვაობაა, მე მოვითხოვ, რათა ამ საკითხზე ჩატარებულ იქნეს რეფერენდუმი მუშებს შორის“. (ადს)

პროფინტერნის მიმართვა საბერძნეთის პროლეტარიატისადმი

მოსკოვი, 27 ივნისი. პროფინტერნის აღმასბიურო თავის მიმართვაში ძმურ სოლიდარობას უცხადებს საბერძნეთის პროლეტარიატს, რომელიც გმირულ ბრძოლას აწარმოებს საბერძნეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, და **მოუწოდებს ყველა პროფორგანიზაციებს, ყველა მუშათა ორგანიზაციებს და მთელი მსოფლიოს მუშებს აღმოუჩინონ დახმარება საბერძნეთის პროლეტარიატს.** საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობის ძლიერი აქტი, — ნათქვამია მიმართვაში— არ დაუშვებს საბერძნეთის ბურჟუაზიის ზრახვების განხორციელებას და დაიცავს საბერძნეთის პროლეტარიატის კლასიურ ორგანიზაციებს“ (ადს)

მდგომარეობა ჩინეთში

ნანკინის მთავრობა კრიზისის წინ

შანხაი, 26 ივნისი. უცხოელთა პრესის ცნობით, **ნანკინის მთავრობას მოელის პოლიტიკური კრიზისი, რომლის ერთ-ერთი ნიშანი უკვე სჩანს ენ-სი-შანის „ავადმყოფობაში“.** ენ-სი-შანმა ნანკინის მთავრობას მიმართა თხოვნით გაუგრძელოს მას შვებულების ვადა 5 დღით. (ადს)

ჩჟან-ცზუნ-ჩანის მრჩეველი მერკულოვი გაიქცა დაირენში

პეკინი, 26 ივნისი. „ნორტ ჩაინა სტანდარტ“ იუწყება, რომ **ჩინეთის ხელისუფლებას ტიანძინში უნდოდა დაეპატიმრებია ჩჟან-ცზუნ-ჩანის მრჩეველი ნიკოლოზ მერკულოვი. ბრალს სდებდა, რა მას იმაში, რომ მას გადამალული აქვს ჩინეთის ხელისუფლების ქონება. მერკულოვმა მოასწრო დაირენში გაქცევა.** ჩინეთის პოლიციამ გაჩხრიკა თეთრგვარდიელთა გაზეთის „ნოვი პუტ“-ის რედაქცია. (ადს)

ახალი ინციდენტი ცზინანში

შანხაი, 26 ივნისი. იაპონიის სააგენტო ტოხო იუწყება, ახალი ინციდენტის შესახებ ცზინანში.

სამხრეთის არმიების ჯარისკაცები, რომლებიც არ იყვნენ ფორმაში გამოწყობილი, გაემართენ რაიონში 20 მილის რადიუსით (11 კილომეტრამდე) ცზინანის ირგვლივ და სროლა აუტეხეს იაპონელ მუშებს. (იაპონიის ხელისუფლებამ ჩინეთის ჯარებს აუკრძალა შესვლა რაიონში 20 მილის რადიუსით ცზინანის ირგვლივ).

იაპონიის სამხედრო ხელისუფლებამ ინციდენტის ადგილას გაგზავნა ქვეითა ჯარის 10 როტა. (ადს)

დანიშვნები პეკინში

შანხაი, 26 ივნისი. ნანკინის მთავრობამ პეკინის პოლიტიკურ საბჭოს წევრებათ დანიშნა **ენ-სი-შანი, ფინ-იუ-სიანი, ბაი-ცზუნ-ჩი** და სხვ. საბჭოს თავმჯდომარეთ დანიშნულია მემარჯვენე გომინდანელი **ლიკ-ში-ცზენი,** რომელიც ამჟამად საფრანგეთიდან მიემგზავრება ჩინეთში.

პეკინის მერათ დანიშნულია ფინ-იუ-სიანის მთავარი სამხედრო მრჩეველი **ხო-ცზი-გუნი,** ხოლო ტიანძინის მერათ — **ლან-ვეი-სანი.** (ადს)

მანჯურიაში

შანხაი, 26 ივნისი. იუწყებიან, რომ სანამ ჩჟან-სუე-ლიანი ღებულობს ზომებს სამხრეთელებთან შეთანხმების მისაღწევად მანჯურიაში ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, ბაი-ცზუნ-ჩის ჯარები მიიწევენ ჩრდილოეთისაკენ პეკინ-მუკდენის რკ. გზის ხაზით. ამავე დროს, ენ-სი-შანის მერვე არმია მიიწევს ჟეხოლის მიმართულებით.

პროფკავშირის დახურვა

შანხაი, 26 ივნისი. მუშაობა განახლდა შანხაის აბრეშუმის სართავ ფაბრიკების მხოლოდ ერთ ნაწილში. გარნიზონის უფროსმა დახურა აბრეშუმის სართავ ფაბრიკების მუშათა პროფკავშირი იმისათვის, რომ მან არ მოუწოდა მუშებს განეახლებიათ მუშაობა. გარნიზონის უფროსმა „პროფესიონალურ კავშირების სარეორგანიზაციო კომიტეტს“ მისცა განკარგულება დაარსოს აბრეშუმის სართავ ფაბრიკების მუშათა ახალი კავშირი.

მონღოლეთის მმართვა - გამგეობის პროექტი

შანხაი, 26 ივნისი. ნანკინის მთავრობას დასამტკიცებლად წარედგინა შეთანხმებას პროექტი, რომელიც შემუშავებულ იქნა ნანკინის მთავრობის წარმომადგენლებსა და მონღოლეთის მფლობელ თავადებს შორის გამართულ მოლაპარაკების შედეგათ.

პროექტის მიხედვით, **მონღოლეთის მმართვა - გამგეობა გადადის ნანკინის მთავრობის ხელში.** მონღოლეთის მფლობელი თავადები უარს ამბობენ ტიტულზე და აღგენენ მონღოლეთის მთავრობას, რომლის რეზიდენცია იქნება დოლონორში, მონღოლეთის მფლობელ თავადების ოჯახის წევრები, თავადების ტიტულის გაუქმების შემდეგ, სარგებლობენ ისეთივე უფლებებით, როგორც ჩინეთის მოქალაქენი. მონღოლეთს იცავს ნანკინის მთავრობის არმია. მონღოლეთის დროშა იქნება — გომინდანის დროშა.

შეერთებული შტატების ჯარები ჩინეთში

ვაშინგტონი, 26 ივნისი. საზღვაო მინისტრი ვილბური უარყოფს ხმებს იმის შესახებ, რომ შეერთებულ შტატებს გადაწყვეტილი აქვთ გაიყვანონ ჯარები ჩინეთიდან. (ადს)

ბელა კუნი არ იქნება გაცემული

კანცლერ ზეიპელის განცხადება

ვენა, 26 ივნისი. ავსტრიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ კანცლერ ზეიპელმა პან გერმანელ დეპუტატებს, რომლებიც მასთან გამოცხადდენ იუსტიციის სამინისტროს მიერ კუნის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილების გამო, განუცხადა, რომ გადაწყვეტილება სამინისტრომ მიიღო სავსებით დამოუკიდებლად.

ზეიპელმა განაცხადა, რომ ის ამ გადაწყვეტილებას სთვლის ერთად ერთ სწორ გადაწყვეტილებათ. არ შეიძლება გადაჭრით უარყოფილ იქნას იმ მოქმედებათა პოლიტიკური ხასიათი, რომლებსაც მიაწერენ კუნს. სანამ არსებობს ასეთი ეჭვი, იუსტიციის მინისტრს არ შეეძლო სხვანაირი გადაწყვეტილების მიღება.

დასასრულ, ზეიპელმა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება კუნის გაცემის საკითხის გარშემო საბოლოო და უაპელაციოა. (ადს).

განაჩენი ბელა კუნის საქმეზე

ვენა, 26 ივნისი. 26 ივნისს დილის 9 საათზე ვენის საოლქო სასამართლოში დაიწყო ბელა კუნის, ილონა ბრეიერის და მეიერგოფერის პროცესი.

სასამართლოს შენობა გარშემორტყმული იყო პოლიციის და სასამართლოს მცველთა დიდი რაზმით. სასამართლოს სხდომის დარბაზში შემსვლელებს, დიპლომატიური კორპუსის წევრების გარდა, ყველას ჩხრეკდენ.

საბრალმდებლო აქტის წაკითხვის შემდეგ პროკურორმა დამატებითი განმარტებები გაუკეთა საბრალმდებლო აქტის შესავალ აბზაცს, რომელშიაც ნათქვამია: „საბჭოთა კავშირში კუნი გამოყენებული იყო ხელმძღვანელ სამუშაოზე და მას მინდობილი ჰქონდა მნიშვნელოვან სამხედრო და სხვა ამოცანების შესრულება. ის ასრულებდა საორგანიზაციო მუშაობას კომუნისტური მოძრაობისათვის უცხოეთში“.

ამის შესახებ პროკურორმა განაცხადა:

„კუნის საორგანიზაციო მუშაობას უცხოეთის კომუნისტური მოძრაობისათვის არავითარი კავშირი არა აქვს იმ საბჭოთა თანამდებობებთან, რომლებიც ეკავა კუნს. ამიტომ საბრალმდებლო აქტის მითითებანი არ უნდა იქნას განმარტებული იმ მნიშვნელობით, რომ კუნი აწარმოებდა პროპაგანდას უცხოეთში, როგორც საბჭოთა სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირი. საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს, კუნი აწარმოებს პოლიტიკურ მუშაობას კომინტერნის გადაწყვეტილებათა მიხედვით“.

სასამართლო გადადის კუნის დაკითხვაზე. შეკითხვაზე—სცნობს თუ არა თავს დამნაშავედ, კუნი იძლევა უარყოფით პასუხს და აცხადებს, რომ თავის მოქმედებაში ის ხელმძღვანელობდა კომინტერნის პრინციპებით, და ის პასუხისმგებელია მხოლოდ მუშათა კლასის წინაშე. კუნი აღნიშნავს, რომ თვით პროკურორმა სცნო პოლიტიკური მოტივები მის მოქმედებაში.

შემდეგ კუნი აღნიშნავს, რომ ცუდი თარგმანის გამო პროცესის ზოგიერთი აქტები ყალბათ აღწერნდა, კერძოდ მისი წერილი საფრანგეთის არჩევნების შესახებ. ამ წერილის ფრაზა: „მე არა ვარ აღტაცებული არჩევნების შედეგებით“ გადათარგმნილია ასე: „არჩევნებთან დაკავშირებით მე ბევრს ვმუშაობ“. იმის დასამტკიცებლად, რომ ამ სიყალბეს ჰქონდა პოლიტიკური მიზანი, კუნი ემყარება „ტემლიხე რუნდშაუ“-ში დაბეჭდილ დე-მონზის წერილს, რომელიც ამ თარგმანის მიხედვით ბრალსა სდებს კუნს „საფრანგეთის არჩევნების ხელმძღვანელობაში“ და ამისათვის პასუხისმგებლობას აკისრებს საბჭოთა მთავრობას.

„რაც შეეხება ჩემს ჩასვლას ვენაში ნებადაურთველად, —ამბობს კუნი,—არ არის საჭირო ხაზი გაუსვა იმას, რომ მე ვენაში ჩავედი მხოლოდ იმისათვის, რომ მეწარმოებია ბრძოლა მუშათა კლასის ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, მუშურ-გლეხური ხელისუფლების დასამყარებლად უნგრეთში, შვიდსაათის სამუშაო დღის შემოღებისათვის საბჭოთა კავშირის მაგალითის მიხედვით, მსხვილ მიწათმფლობელების მიწის აუნაზღაურებლად დარიგებისა და გაყოფისათვის“.

კუნი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ 1920 წელში, როცა ავსტრიაში იყო სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, მე განვასაჩივრე დადგენილება გადასახლების შესახებ, მაგრამ ვერ გავიგე აპელიაციის შედეგებიო. როცა მე დავბრუნდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ დადგენილებას გადასახლების შესახებ არ ჰქონდა იურიდიული ძალა.

ყალბი პასპორტით ცხოვრებას კუნი ხსნის იმით, რომ მას სდევნიდა არა მარტო ავსტრიის, არამედ უნგრეთის პოლიციაც და რომ თავის დროზე, როცა ის ვენაში გაგზავნეს, მის მოწამვლასაც-კი სცდილობდენ.

თავმჯდომარე: „მაგრამ თქვენ ხომ ცოცხალი ხართ?“.

ბელა კუნი: „მე მოვესწრები იმ დროს, როცა უნგრეთში კვლავ დამყარდება პროლეტარიატის დიქტატურა“.

შემდეგ კუნმა აღნიშნა, რომ საგანგებო ზომები მისი ციხეში ყოფნის დროს და სასამართლოში, ამტკიცებს, რომ არსებობდა მასზე თავდასხმის გეგმა და ამიტომ დასაშვები იყო მისი მხრივ ყალბი პასპორტით ცხოვრება.

ვინაიდან თავმჯდომარემ არა ერთხელ შეაწყვეტინა სიტყვა კუნს, მან პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ შელახულ იქნა ბრალდებულის უფლებანი. როცა თავმჯდომარემ საბოლოოდ წაართვა სიტყვა კუნს, მან აღარ უპასუხა შემდეგ შეკითხვებზე. (ადს).

ვენა, 26 ივნისი. ბელა კუნის პროცესი დამთავრდა. კუნი დამნაშავედ იქნა ცნობილი „ფარული საზოგადოების“ მოწყობაში და აგრეთვე იმაში, რომ ის სცხოვრობდა ყალბი პასპორტით. სასამართლომ კუნს მიუსაჯა მკაცრი დაპატიმრება სამი თვით და თვეში ერთხელ გადაყვანა პურზე და წყალზე. ილონ ბრეიერს მიუსაჯეს მკაცრი დაპატიმრება ერთი თვით. მაიერგოფერი გამართლებულ იქნა. წინასწარი დაპატიმრება კუნს და ბრეიერს ჩაეთვლება. სასჯელის მოხდის შემდეგ კუნი და ბრეიერი გადასახლებულ იქნებიან ავსტრიის ფარგლებიდან. (ადს).

პანგერმანელები არ სცხრებიან

ვენა, 26 ივნისი. თუმცა კანცლერმა ზეიპელმა პანგერმანული პარტიის დელეგატებს განუცხადა, რომ ის ეთანხმება იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებას კუნის საქმეზე და მიუთითა მათ, რომ ეს გადაწყვეტილება არ შეიძლება იქნას გადასინჯული, ავტორიტეტულ პოლიტიკურ წრეებში მაინც ამბობენ, რომ პანგერმანელები მოითხოვენ იუსტიციის მინისტრის დინგხოფერის გადაყენებას. სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს აცნობეს, რომ დინგხოფერი გადადგა. (ადს).

პანგერმანელთა ორგანოს კომენტარიები

ვენა, 26 ივნისი. ყველა გაზეთები მოწინავე წერილებში უკეთებენ კომენტარიებს იმ ფაქტს, რომ იუსტიციის სამინისტრომ არ დაამტკიცა ვენის სააპელიაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კუნის გაცემის შესახებ.

პანგერმანელთა ორგანო „ვინერ ნეისტე ნახრისტენ“ ფიქრობს, რომ სამინისტრო ამ დადგენილების მიღების დროს ხელმძღვანელობდა უფრო პოლიტიკურ, ვიდრე იურიდიული მოსაზრებით. შემდეგ გაზეთი დასძენს, რომ სამინისტროს გადაწყვეტილებას შეუძლია განსაზღვროს პოლიტიკური ამბების შემდგომი მსვლელობა ავსტრიაში. (ადს).

ავსტრიის პრესის გამოძახილი

ვენა, 26 ივნისი. „ნეიე ფრეიე პრესე“-ს აზრით, მთავრობამ იმიტომ განაცხადა უარი კუნის გაცემაზე, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში უდიდეს აღშფოთებას ექნებოდა ადგილი თვით ავსტრიაში და საზღვარგარეთ.

„გარდა ამისა,—სწერს გაზეთი,—კუნის გაცემა ავსტრიისათვის ნიშნავდა მეტად მწვავე კონფლიქტის შექმნას საბჭოთა კავშირთან, მაშინ, როდესაც ავსტრია ძალიან სუსტი და ღარიბია იმისათვის, რომ გაუძლოს ეკონომიურ რეპრესიებს“.

„როტე ფანე“ აღნიშნავს, რომ ცილისწამებამ კომუნისტების წინააღმდეგ და ბელა კუნის საქმის ტენდენციოზურად გამოყენების ცდამ ამაოდ ჩაიარა. გაზეთი პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ კუნის მიმართ გამოყენებულ იქნა ძველი მუხლი ფარული საზოგადოებების მოწყობის შესახებ. (ადს).

რუშდი-ბეი განიარაღების საბჭ. პროექტის შესახებ

ანგორა, 26 ივნისი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში ნაწილობრივი განიარაღების საბჭოთა პროექტთან დამოკიდებულების და ამ პროექტის განხილვის შესაძლებლობის შესახებ განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მომავალ სესიაზე, თურქეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა **ტევფიკ რუშდი-ბეიმ** განაცხადა: „სასარგებლო და სასურველი იქნებოდა, **რომ ეს პროექტი განხილულ იქნას.** თურქეთის დელეგაცია შეეკითხა კომისიას: შეტანილი იქნება თუ არა საბჭოთა პროექტი კომისიის მომავალ სესიის დღის წესრიგში. მე დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა პროექტი განხილული იქნება, ვინაიდან თავმჯდომარემ ჩვენ დადებითი პასუხი მოგვცა“. (ადს)

პოლონეთის გენშტაბის წარმომადგენლები პარიზში

ვარშავა, 26 ივნისი. 25 ივნისს პარიზში გაემგზავრენ პოლონეთის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე **კუტშება,** არმიის მთავარი ინსპექტორატის სამხედრო ბიუროს გამგე პოლკოვნიკი **გონსიროვსკი,** პოლკოვნიკი ვენიავა — **დლუგაშევსკი.** გონსიროვსკი არის პილსუდსკის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი.

„კურიერ პორანი“-ს ცნობით, მათი გამგზავრების მიზანია მოლაპარაკების გამართვა საფრანგეთის უმაღლეს სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ა(დს)

პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება

ვარშავა, 26 ივნისი. 25 ივნისს, საღამოს, კოვნოში გაემგზავრა პოლონეთის დელეგაცია პოლონეთ - ლიტვის მოლაპარაკების განსაგრძობათ.

„ექსპრეს პორანი“ იუწყება, რომ ინგლისის და საფრანგეთის ელჩების თხოვნით, ვოლდემარასმა მიიღო სასწრაფო ზომები პოლონეთის დელეგაციის დაცვის ორგანიზაციისათვის ლიტვის ტერიტორიაზე დელეგაციის ყოფნის დროს. (ადს).

ინციდენტი ნემანზე

კოვნო. 26 ივნისი. იუწყებიან, რომ 20 ივნისს პოლონელებმა დააკავეს ლიტველ ტყის მრეწველთა კუთვნილი ტივები, რომლებიც გამოშვებული იყო ერთ-ერთი სოფლიდან სვენციანის მახლობლად. ტივების მეპატრონეებს ჰქონდათ პოლონეთის ხელისუფლების ნებართვა, რომ ორი თვის განმავლობაში ეწარმოებიათ ნემანზე ხე-ტყის ჩამოცურება. **ტივების დაკავების დროს პოლონელებმა ასტეხეს სროლა, ლიტვის მხარისაკენ და დააპატიმრეს 5 ლიტველი მუშა.** (ადს)

სხვადასხვა

კომუნისტ დეპუტატის მანდატი

პარიზი, 26 ივნისი. პალატის სამანდატო კომისია წინააღმდეგია იმის, რომ დამტკიცებულ იქნეს კომუნისტ დეპუტატის ორენის მანდატი. (ადს).

ყალბი ხმები

ქაბული, 26 ივნისი. ავღანისტანის ოფიციოზური გაზეთი „ამანი ავღან“ 2 მაისის ნომერში უარყოფდა ხმებს იმის შესახებ, თითქოს ავღანისტანში ადგილი აქვს აჯანყებებს და, თითქოს, ავღანისტანის ფადიშაჰმა ამ მიზეზით შესწყვიტა მოგზაურობა, საჩქაროდ ბრუნდება ქაბულში და გადასწყვიტა აღარ ინახულოს საბჭოთა კავშირი, თურქეთი და სპარსეთი. ხსენებული გაზეთი აღნიშნავდა, რომ ამ ყალბ ხმებს ავრცელებს რეიტერის სააგენტო.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ასეთი ხმები მას არასოდეს არ გამოუქვეყნებია და არ გაუვრცელებია. (ადს).

ეგვიპტის კაბინეტის კრიზისი

ლონდონი, 26 ივნისი. ეგვიპტის მეფემ კაბინეტის შედგენა მიანდო ლიბერალ მახმუდ-ფაშას, რომელსაც ფინანსთა მინისტრის პოსტი ეჭირა ნახას-ფაშას კაბინეტში. მახმუდ-ფაშამ წინადადება კაბინეტის შედგენის შესახებ მიიღო. (ადს).

დაპატიმრება გემზე

ლონდონი, 16 ივნისი. რეიტერის ცნობით, 8 უბილეთო მგზავრი, რომლებიც ავსტრალიის გემ „ჯერვისბეიზე“ აღმოაჩინეს ფრიმონტლიდან გასვლის შემდეგ და რომლებმაც უარი განაცხადეს მუშაობაზე სამგზავრო ფასის გადახდის მაგივრად, გადასხეს საზღვაო ქვეითა რაზმის გემზე და ბორკილები დაადეს ხელებზე. როცა გემი მივიდა კოლომბოში, ისინი მისცეს პასუხისგებაში და მიუსაჯეს დაპატიმრება ხუთ-ხუთ ნახევარ თვით. (ადს).

სამხრეთ უელსის მემაღაროენი გენსაბჭოს წინააღმდეგ

ლონდონი, 26 ივნისი. კარდიფში შესდგა სამხრეთ უელსის მემაღაროეთა ფედერაციის წლიური კონფერენცია. რეზოლიუცია მემაღაროეთა კავშირის მთლიანი ფრონტის საკითხის შესახებ გამოსთქვამს მთლიანი კავშირის შექმნის რწმენას. რეზოლიუცია მონდის ჯგუფთან წარმოებული მოლაპარაკების შესახებ ჰგმობს გენსაბჭოს ამ ჯგუფთან მოლაპარაკების გამო და ავალებს სრულიად ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის დელეგაციას გენსაბჭოში მოითხოვოს ამ მოლაპარაკების დაგმობა და შეწყვეტა. საკითხზე მუშათა და კომუნისტური პარტიების ურთიერთობის შესახებ შეტანილ იქნა რეზოლიუცია იმის სასარგებლოდ, რომ კომპარტია შედიოდეს მუშათა პარტიაში. ამას გარდა წამოყენებულ იქნა შესწორება რეზოლიუციიდან იმ სიტყვების ამოღების შესახებ, რომლებიც კომპარტიის მუშათა პარტიაში შესვლის პირობად მოითხოვს, რომ კომპარტია დაემორჩილოს მუშათა პარტიის წესდებას. კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია შესწორების შეუტანლად. რეზოლიუციას ხმა მისცა 823-მა 735-ის წინააღმდეგ. მემაღაროეთა ინგლის-რუსეთის კომიტეტის საკითხზე შეტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს, რომ ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომმა გამართოს მოლაპარაკება საბჭოთა მემაღაროეთა კავშირთან იმ მიზნით, რათა მოკლე დროში მოწვეულ იქნას კონფერენცია ინგლის-რუსეთის კომიტეტის დასაარსებლად. კონფერენციამ გადასდო განხილვა რეზოლიუციისა ინგლის-რუსეთის კომიტეტის დაარსების შესახებ, მაგრამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს მემაღაროეთა ინტერნაციონალის დაარსებას. შემდეგ კონფერენციამ მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია გენსაბჭოს წინააღმდეგ, რომელმაც გააუქმა ინგლის-საბჭოთა კომიტეტი. (ადს).

თეატრი კაბუკი და იაპონელი რეაქციონერები

ტოკიო, 26 ივნისი. რეაქციონურ საზოგადოება „რისო“-მ კაბუკის თეატრის ხელმძღვანელს მსახიობ სადანჯის გადასცა პროტესტი იმის გამო, რომ თეატრი აპირებს საბჭოთა კავშირში გამგზავრებას. პროტესტი დასაბუთებულია მით, რომ „საბჭოთა კავშირი მიისწრაფვის იაპონიის ბოლშევიზაციისაკენ“. პროტესტი შეიცავს მუქარას თეატრის ხელმძღვანელის მიმართ.

თეატრმა ფაშისტების ბელადს უჩიდას მიმართა თხოვნით აიღოს თავის თავზე შუამდგომლობა და ურჩიოს „რისოს“ ბელადებს უკან წაიღონ მუქარა. უჩიდამ ამაზე უარი სთქვა. თეატრმა მიმართა თხოვნით ხელისუფლებას, რომელსაც სთხოვს დაიცვას თეატრი „რისოს“ ბელადების მუქარისაგან. (ადს).

ნობილეს ჯგუფის დასახმარებლად

ნობილეს ექსპედიციის ავარიის დაწვრილებითი ცნობები

რომი, 26 ივნისი. ნობილემ გამოაქვეყნა დაწვრილებითი ცნობები დირიჟაბლ „იტალია“-ს ავარიის შესახებ.

მისი სიტყვით, დირიჟაბლის ჩამოვარდნის დროს ჩამოშორდა წინა გონდოლა, რომელშიაც იყო ნობილე და 8 კაცი. უკანა გონდოლა, რომელშიაც იყვნენ დანარჩენები, დაეჯახა მიწას. დაჯახების დროს მოკვდა უფროსი მექანიკოსი პომელა, რომლის გვამი გადმოვარდა ნახევრად დანგრეულ უკანა გონდოლიდან და დარჩა ნობილეს ჯგუფის მახლობლად. შემდეგში პომელას გვამი დაკრძალულ იქნა შესაფერი პატივისცემით.

წინა გონდოლის ჩამოშორების შემდეგ შემსუბუქებულმა დირიჟაბლმა ისევ აიწია მცირე სიმაღლეზე და ის ქარმა გაიტაცა. მალე ნობილეს ჯგუფმა დაახლოებით 10 კილომეტრის მანძილზე დაინახა კომლის სვეტი, რომელიც ნობილეს აზრით, იმის ნიშანი იყო, რომ საწვავი მასალის რეზერვუარს გაუჩნდა ხანძარი.

ნობილეს აზრით ინჟენერ ალექსანდრის ჯგუფის ძებნა საჭიროა დაახლოებით 50 კილომეტრის მანძილზე კატასტროფის ადგილიდან.

დღემდე არ არის ცნობები მარიანოს, მალგრენის და ძაპის ჯგუფის შესახებ, რომელიც წავიდა მიწის საძებნელად. ნობილეს სიტყვით, მარიანოს ჯგუფს წასვლისას ჰქონდა დაახლოებით 2 კვირის საყოფი სურსათი. ჯგუფს აქვს ხელსაწყოები მიმართულების გამოსარკვევად და იმდენი საზამთრო ტანსაცმელი, რამდენის საშუალებასაც იძლეოდა ექსპედიციის მარაგი.

კარავი და ცეცხლისმფრქვევი იარაღი მარიანოს ჯგუფს არა აქვს. ჯგუფს ნავარაუდევი ჰქონდა, რომ დღეში გაივლიდა საშუალოდ 10 კილომეტრს, მაგრამ ამ ჯგუფის მოგზაურობამ კუნძულ ფოინამდე, რომელიც შესამჩნევია ავარიის ადგილზე დარჩენილთათვის, დაამტკიცა, რომ მარიანოს ჯგუფი დღეში გადიოდა მხოლოდ 5 კილომეტრს.

წასვლის დროს ექსპედიციის მიმღები რადიო-აპარატი მუშაობდა და ამიტომ წასულებმა იცოდნენ, თუ ვინ და სად აწარმოებდა ძებნას. ექსპედიციის გადამცემი რადიო-აპარატი მაშინ არ მუშაობდა და ექსპედიციის მონაწილეებმა არ იცოდნენ, თუ მოხერხდებოდა მისი შეკეთება. (ადს).

ცნობები „მალიგინიდან“

ლენინგრადი, 27 ივნისი. ჰიდროგეოგრაფიულ სამმართველოში მიღებულ ცნობების თანახმად, სქელი ნისლისა და აგრეთვე იმის გამო, რომ სრულებით არ ჰქრის ქარი, „მალიგინს“ არ აქვს საშუალება განაგრძოს მსვლელობა წინ.

ვიატკა, 27 ივნისი. რადიო მოყვარულმა ჟელბაკოვმა მიიღო რადიო „მალიგინიდან“. ატმოსფერული მოვლენები ხელს უშლიდა ჩაწერას, მაგრამ, შეიძლება გაგება, რომ „მალიგინი“ იუწყება შესაძლებელია ნობილეს ექსპედიციის ყველა მონაწილეთა და აგრეთვე ამუნდსენის გადარჩენა. (ადს).

ყინულის მჭრელი „კრასინი“ გზაში

მოსკოვი, 27 ივნისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებასთან არსებულ „იტალიის“ დამხმარე კომიტეტში აცნობეს, რომ „კრასინმა“ გაიარა ჩრდილოეთის პოლიარული წრე და შემართება შპიცბერგენიდან ჩრდილოეთით.

მფრინავ ბაბუშკინს ნაბრძანები აქვს გაფრინდეს უშუალოდ ფოინის კუნძულზე. მან უნდა გზავნოს რადიო-სიგნალები ამუნდსენის აღმოჩენის მიზნით.

„იტალიის“ ეკიპაჟისა და ამუნდსენის ძებნა

ოსლო, 26 ივნისი. ნობილეს ექსპედიციის დასახმარებლად გაგზავნილ კრეისერ „ნორდენშელდ“-ის უფროსს განზრახული აქვს მოაწესრიგოს თანამშრომლობა საფრანგეთის გემთან და აგრეთვე „კრასინთან“ „იტალიის“ ეკიპაჟისა და ამუნდსენის ძებნის მიზნით.

რადიო „კრასინ“-იდან

ყინულისმჭრელი „კრასინ“-ი, 27 ივნისი. 26 ივნისს გადავკვეთეთ მე-69 პარალელი. ამინდი სავსებით ხელშემწყობია. ვაწყობთ მოკლეტალღიან სადგურს. (ადს).

ვეშაპებზე სანადირო გემი „ხობბი“

ოსლო, 26 ივნისი. ამერიკელმა ქალმა ბოიდმა, რომელიც ჩავიდა ტრომსეში, გრენლანდიაში სანადიროდ გასამგზავრებლად, მის მიერ დაქირავებული ვეშაპებზე სანადირო გემი „ხობბი“ უსასყიდლოთ შესთავაზა ნორვეგიის მთავრობას აეროპლან „ლატამ“-ის საძებნელად. წინადადება მიღებულია. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ანრი ბარბიუსი გამოემგზავრება საქართველოში

ანრი ბარბიუსის ახალი წიგნი ამ.-კავკასიის შესახებ

მოსკოვი, 27 ივნისი. გუშინ მოსკოვში ევროპიდან ჩამოვიდა ანრი ბარბიუსი.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში თავის მოგზაურობის შესახებ საბჭოთა კავშირში, ანრი ბარბიუსმა განაცხადა, რომ ის მოსკოვში შეჩერდება მხოლოდ ორი კვირით, რომლის შემდეგაც გამოემგზავრება ამიერ - კავკასიაში და კერძოთ საქართველოში.

ანრი ბარბიუსს განზრახვა აქვს შეაგროვოს დამატებითი ცნობები ამიერკავკასიის და საქართველოს ისტორიის, ეკონომიურ მიღწევათა და პოლიტიკურ ცხოვრების შესახებ. ამის შემდეგ ბარბიუსს გადაწყვეტილი აქვს გამოსცეს ცალკე წიგნი იმ მიღწევათა შესახებ, რომელიც ნახა მან საკუთარი თვალით საბჭოთა ამიერ-კავკასიაში. წინასწარი მუშაობა წიგნის გამოსაცემად უკვე დამთავრებულია.

ამავე საკითხის შესახებ ანრი ბარბიუსმა მოსკოვის გაზეთებში მოათავსა წერილი, სადაც ნათქვამია:

ეს არის დავასრულე მუშაობა წიგნის გამოსაცემათ; ამ წიგნში განზრახვა მაქვს გავაშუქო, რაც კი გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ ამიერ - კავკასიაში ნაციონალურ პოლიტიკის და ქვეყნის ეკონომიურად აღორძინების დარგში.

მეთამბაქოეთა კოოპერაციის ახალი გამგეობა

მოსკოვი, 27 ივნისი. დასრულდა მეთამბაქოების კოოპერაციის სრულიად საკავშირო კონფერენცია. თავის უკანასკნელ სხდომაზე კონფერენციამ აირჩია გამგეობა, რომელიც უხელმძღვანელებს მეთამბაქოობის საქმეს მთელ საბჭოთა კავშირის ფარგლებით.

გამგეობის შემადგენლობაში აფხაზეთიდან არჩეულია ამხ. ლადარია.

კამერული თეატრის ხელმძღვანელი თბილისის თეატრების შესახებ

მოსკოვი. 27 ივნისი. მოსკოვში დაბრუნდა კამერულ თეატრის დასი, რომელიც გასტროლებზე იყო გამგზავრებული საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში კამერულ თეატრის ხელმძღვანელი და რეჟისორი ტაიროვი შეეხო იმ შთაბეჭდილებებს, რომელიც მან მიიღო თბილისში ეროვნულ თეატრებთან გაცნობის დროს.

ტაიროვის სიტყვით ეროვნული თეატრის განვითარების საქმე საქართველოში მტკიცე ნიადაგზე სდგას. ჩემზე, — განაცხადა ტაიროვმა, — საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა თბილისის ეროვნულ თეატრის მიღწევებმა. შეიძლება გადაუმეტებლად ითქვას, რომ ნაციონალურ თეატრს საქართველოში დიდი მომავალი აქვს.

უკანასკნელი ცნობები

პილსუდსკის მთავრობის გადადგომა.—ბარტელის კაბინეტი

ვარშავა, 26 ივნისი. პილსუდსკის მთავრობა გადადგა. პრეზიდენტმა დაამტკიცა კაბინეტის გადადგომა და მოაწერა ხელი დეკრეტს ახალი მთავრობის დანიშვნის შესახებ ბარტელის თავმჯდომარეობით. ახალ მთავრობაში პილსუდსკი ინარჩუნებს სამხედრო მინისტრის და არმიის გენერალ-ინსპექტორის პოსტს. განათლების და სარწმუნოებათა მინისტრად დანიშნულია ჩვიტალსკი, გზათა მიმოსვლის მინისტრად ინჟინერი კიუნი. მთავრობის ძველი შემადგენლობიდან გამოვიდნენ განათლების და სარწმუნოებათა მინისტრი დობრუცკი და გზათა მინისტრი რომოცკი. მთავრობის რეკონსტრუქციამ სენსაცია გამოიწვია ვარშავაში. ჯერ კიდევ დღეს დილით პილსუდსკის მომხრეთა ორგანო „გლოს პრავდი“ გაავთრებით უარჰყოფდა ყოველგვარ რეკონსტრუქციას, და ამ ხმებს „ჭორებს“ უწოდებდა.

ფაშისტებმა სცემეს ინგლისის დიპლომატიურ კურიერს

ლონდონი, 26 ივნისი. 2 მაისს ქ. მილანში ოთხმა ფაშისტმა სცემა ქუჩაში ინგლისის დიპლომატიურ კურიერ დელაფონს. გამოძიებამ, რომელიც დაინიშნა ინგლისის მთავრობის მოთხოვნილებით, გამოარკვია, რომ თავდამსხმელები იყვენ მილანის პოლიციის აგენტები, რომელთაც ეცვათ სამოქალაქო ტანსაცმელი. ინგლისისა და იტალიის მთავრობებმა ყოველი ღონე იხმარეს იმისათვის, რომ საქმე თავიდანვე მიეფუჩეჩებიათ. ინგლისის გაზეთებმა გაიგეს ეს ამბავი სრულიად შემთხვევით, ყოველკვირეულ ჟურნალ „ნიუ-სტეიტსმენ“-ში მოთავსებულ წერილიდან, რომელიც შეეხებოდა იტალიის ფაშიზმს. ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრო იძულებული გახდა გამოექვეყნებია ცნობა ამ ინციდენტის შესახებ, თავის ცნობაში სამინისტრო აღნიშნავდა, „ინციდენტი გამოწვეულია პირადი მომენტებით“. იტალიის მთავრობა და პრესაც ყოველნაირად ცდილობს შეამსუბუქოს ინციდენტის მნიშვნელობა.

იტალიის გაზეთების ცნობით, თავდამსხმელები მაშინვე დააპატიმრეს. მათ ბოდიში მოიხადეს დელაფონის წინაშე, რომელმაც ამის შემდეგ განაცხადა, რომ ინციდენტი ამოწურულად მიმაჩნიაო. იტალიის გაზეთები სწერენ, რომ დელაფონის მოქმედება მოიწონა ინგლისის კონსულმა მილანში და ინგლისის ელჩმა იტალიაში.

„დეილი გერალდი“ უკეთებს კომენტარიებს ამ ისტორიას და სწერს:

„ინგლისის მთავრობას ამაზე უფრო ნაკლებ მნიშვნელოვან ინციდენტის დროს არაერთხელ გამოუყენებია სამხედრო გემები. ჩვენ, რასაკვირველია, უარვყოფთ ულტიმატუმებს და დრედნოუტების დიპლომატიას. მაგრამ ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრო, რომელსაც ასეთ შემთხვევების დროს სჩვევია ხოლმე სხვა მოქმედება, დღეს სრულიად არაჩვეულებრივ ლმობიერებას იჩენს სერ ჩემბერლენის მეგობარ ფაშისტების მიმართ, რომელნიც თავისებური მანერით ეპყრობიან უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომს“.

ხუ-ხან-მინი—გერმანიის სოციალ-დემოკრატები—მეორე ინტერნაციონალი

ბერლინი, 26 ივნისი. გომინდანის ცნობილმა მემარჯვენე მოღვაწე ხუ-ხან-მინმა ბერლინიდან გამგზავრების წინ გაუმართა პრესის წარმომადგენელთ დარბაზობა, რომელზედაც წარმოსთქვა დიდი სიტყვა ჩინეთის მდგომარეობის შესახებ. თავისი სიტყვა მან დაამთავრა იმის აღნიშვნით, რომ გერმანიის ტეხნიკის და გერმანიის მანქანების ჩინეთში მიღწევა ძლიერ სასურველია, ვინაიდან გერმანიასა და ჩინეთს შორის არ არსებობს უთანასწორო ხელშეკრულებები. „ფორვერტს“-ის ზოგიერთი კომენტარიებით ირკვევა, რომ ერთის მხრივ ხუ-ხან-მინსა და მეორეს მხრივ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის და მეორე ინტერნაციონალის შორის სწარმოებდა მოლაპარაკება. (ადს.)

ნავთის ამოღება

ბაქო, 26 ივნისი. 1927-28 წლის 8 თვის განმავლობაში აზნეფტის წარმოებებში ამოღებულ იქნა 1.154.301 ტონა ნავთი, ხოლო შარშან ამოღებულ იქნა 1.245.167 ტონა. ნავთის ამოღება ყოველთვიურად იზრდება: 1927 წლის ნოემბერში ამოღებულ იქნა 125.498 ტონა, დეკემბერში—131.403 ტონა, იანვარში—133.008 ტონა, თებერვალში—137.579 ტონა, მარტში—144.538 ტონა, აპრილში—157.621 ტონა და მაისში—211.884 ტონა. (ადს).

მუშკორების კრება

ბაქო, 27 ივნისი. გაიმართა ბაქოს გაზეთების მუშკორთა მრავალრიცხოვანი კრება, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა. კრებამ განიხილა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პასუხისმგებელი ინსტრუქტორის ამხ. ქსენოფონტოვის მოხსენება, რომელმაც მოახდინა გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩი“-ს გამოკვლევა. კამათში მონაწილეობა მიიღო 50 მუშკორმა. (ადს).

ამხ. ა. ი. რიკოვი შეუდგა მოვალეობის შესრულებას

მთავრობის ცნობა

მოსკოვი, 27 ივნისი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. რიკოვი, მოსკოვში დაბრუნების შემდეგ გასინჯა სპეციალურ საექიმო კომისიამ, რომელმაც გამოიტანა შემდეგი დასკვნა:

ამხ. რიკოვის ჯანმრთელობის ეხლანდელი მდგომარეობა ისეთია, რომ ამხ. რიკოვს შეუძლია შეუდგეს მუშაობას არა უმეტეს 5-6 საათისა დღეში და არა უმეტეს 4—5 დღისა კვირაში. ამასთან ერთად ამხ. რიკოვმა უნდა განაგრძოს სახსრების ახლობელ ადგილების რევმატიულ დაავადებათა მკურნალობა თავის სახლში, ექიმთა კონსულტაციის მეთვალყურეობით.

25 ივნისს ამხ. რიკოვი შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

მოსკოვი, კრემლი, 27 ივნისი, 1928 წ.

დებულება მუშგლეხინის სექციების შესახებ

მოსკოვი, 27 ივნისი. ცენტრ. საკონტრ. კომისიის და საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის კოლეგიის გაერთიანებულ სხდომაზე 22 ივნისს დამტკიცებულ იქნა „დებულება სარაიონო და სათემო აღმასკომებთან და სასოფლო საბჭოებთან არსებული მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციების შესახებ“. დებულების თანახმად სარაიონო და სათემო აღმასკომებთან და დიდ, სოფლების სასოფლო საბჭოებთან დაარსებულ უნდა იქნას მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციები, რომელთა მიზანი იქნება ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, საქმის გაჭიანურებასთან, უყაირათობასთან და სოფლის დაწესებულებათა და ორგანიზაციების სხვა ნაკლოვანებებთან. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციები შესდგება სარაიონო და სათემო აღმასკომების და სასოფლო საბჭოების წევრთაგან, რომლებიც ნებაყოფლობით ჩაეწერებიან სექციებში მუშაობისათვის და მოხალისე გლეხთაგან (მოჯამაგირენი, ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხები). მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციის მუშაობაში ფართოდ იქნება ჩაბმული სოფლის ინტელიგენცია, საკავშირო კომპარტიის (ბ) უჯრედთა, საკავშირო ახალ. ლენ. კომკავშირის, პროფკავშირთა ორგანიზაციების, კოოპერაციის, გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტების და ქალთა ელემენტების წარმომადგენელნი. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციებში ფართოდ იქნებიან ჩაბმული აგრეთვე წარმოების მუშები, საწარმოო თათბირები და წარმოებათა საკონტროლო კომისიები. (ადს).

პასუხისმგებლობა ტეხნიკური პროექტების ხარისხისათვის

მოსკოვი, 27 ივნისი. შრომისა და თავდაცვის საბჭოს სამშენებლო კომისიამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა დებულება, რომლის თანახმად დაწესებულია პასუხისმგებლობა კაპიტალური სამუშაოების ტეხნიკური პროექტებისა და ხარჯთ-აღრიცხვის სისწორით გამოანგარიშებისათვის, დებულება ითვალისწინებს, რომ პროექტის შემდგენელი კისრულობს პასუხისმგებლობას მის მიერ მოხდენილი გამოანგარიშების სისწორისათვის. ხარჯთაღრიცხვის შემდგენელი პასუხს აგებს პროექტში გათვალისწინებულ ყველა სამუშაოების სისწორით აღრიცხვისა და მუშა-ხელის და მასალების ნორმების სისწორით გათვალისწინებისათვის. პროექტი დასამტკიცებლად წარედგინა შრომისა და თავდაცვის საბჭოს. (ადს).

შრომის ეკონომიკის განყოფილებათა ყრილობა

მოსკოვი, 27 ივნისი. 25 ივნისს დაამთავრა მუშაობა ეკონომიკის განყოფილებათა მე-2 საკავშირო ყრილობამ.

ყრილობამ აღნიშნა, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა მრეწველობის უმეტეს დარგებში ჩამორჩება ხელფასის ზრდას. ყრილობამ აუცილებლად სცნო გაგრძელებულ იქნას სამუშაო დღის შემჭიდროების პრაქტიკა და ეს შემჭიდროება გატარდეს იმ დარგებშიაც, სადაც ჯერ კიდევ არ არის გატარებული. გამომუშავებისა და შეფასების ნორმები გადასინჯულ უნდა იქნას არა კოლხელშეკრულებათა ხელმეორედ დადების მომენტში, არამედ მთელი წლის განმავლობაში, რაციონალიზაციის დარგში მიღწეული შედეგების მიხედვით. (ადს).

საბჭ. დელეგაცია გემო-კვების მუშაკთა კონგრესზე

მოსკოვი, 27 ივნისი. გემო-კვების მუშაკთა საერთაშორისო გაერთიანების კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ვენაში გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია. დელეგაციაში შედიან: გემო-კვების მუშაკთა კავშირის ცეკას თავმჯდომარე ამხ. ვეინბერგი, უკრაინის გემო-კვების მუშაკთა კავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ხლობნიკოვი, და ლენინგრადის გემო-კვების მუშაკთა საგუბერნიო განყოფილების თავმჯდომარე ამხ. ურსინი.

შახტის კონტრ-რევოლ. გასამართლება

ბრალდებულ რაბინოვიჩის დაკითხვა

მოსკოვი, 27 ივნისი. 26 ივნისს შახტის პროცესის დილის სხდომაზე სასამართლომ განაახლა ბრალდებულ რაბინოვიჩის დაკითხვა.

კითხვაზე—ქონდა თუ არა რაბინოვიჩს კავშირი დვორჟანჩიკთან, რაბინოვიჩი უპასუხებს უარყოფითად. ამავე დროს, ბრალდებული ბუდნი ამტკიცებს, რომ 1927 წელს მან რაბინოვიჩს გადასცა წერილი დვორჟანჩიკისაგან.

რაბინოვიჩი უარყოფს ყოველგვარ კავშირს კონტრ-რევოლუციონურ ორგანიზაციასთან. ბრალდებულის თხოვნით რაბინოვიჩი სასამართლომ პირისპირ შეახვედრა სხვა ბრალდებულებს, რომლებიც რაბინოვიჩს იცნობენ, როგორც დამზიანებელთა ორგანიზაციის წევრს.

ბრალდებული კრუჟანოვსკი ამბობს, რომ მატოვმა მასთან საუბარში, რაბინოვიჩს უწოდა დამზიანებელთა ორგანიზაციის წევრი. ბრალდებული კაზარინოვი ამბობს, რომ 1925 წლის ივლისში ის რაბინოვიჩს შეხვდა დამზიანებელთა ორგანიზაციის თათბირზე. ამ თათბირზე ირჩეოდა საკითხი საპროექტო ბიუროს შექმნის შესახებ. ბიუროს თავმჯდომარეთ დასახელებული იყო მატოვი. ამავე დროს იყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მატოვმა ხელში უნდა აიღოს ახალი მაღაროების მშენებლობა.

რაბინოვიჩი უარყოფს ამ თათბირში მონაწილეობას.

სასამართლომ გამოიძახა მატოვი, რომელიც ადასტურებს კაზარინოვის ჩვენებას.

შემდეგ მატოვი ადასტურებს რაბინოვიჩის მონაწილეობას დამზიანებელთა იმ თათბირში, რომელიც იხილავდა საკითხს რუდჩენკოვის მაღარო № 29-ში ნახშირის ამოღების 25 მილიონიდან 12 მილიონ ფუთამდე შემცირების შესახებ.

ამხ. კრილენკოს კითხვაზე, სიმართლედ მიაჩნია თუ არა რაბინოვიჩს ის, რასაც ბრალდებული სკოროტო მის შესახებ ამბობს თავის განცხადებაში, რომელიც შეიცავს მისი დანაშაულის სავსებით აღიარებას, რაბინოვიჩი უარყოფით პასუხს იძლევა.

მოწმე მუხინის დაკითხვა

შემდეგ სასამართლო გადადის კრივოროგის რაიონის სამხრეთ-მაღაროების ტრესტის ყოფილი გამგის, მოწმე მუხინის დაკითხვაზე. მუხინი პასუხისგებაშია მიცემული დამზიანებელთა სხვა ორგანიზაციის საქმეზე.

მუხინი უჩვენებს, რომ ის ჩავიდა მოსკოვში თავისი ტრესტის საწარმოო გეგმით და იყო სახელმწიფო საგეგმო კომისიის იმ განყოფილებაში, სადაც მუშაობდა რაბინოვიჩი. რაბინოვიჩთან ლაპარაკის შემდეგ მუხინი დარწმუნდა, რომ რაბინოვიჩი კარგათ არის გაცნობილი საზიანო მუშაობასთან „დონუგოლში“. ამის შემდეგ მუხინმა გააცნო რაბინოვიჩს დამზიანებელთა ორგანიზაციის მუშაობა მერე დაწესებულებაში, რომელშიაც მუშაობდა მუხინი. შემდეგში მუხინი არამც თუ აცნობდა რაბინოვიჩს ორგანიზაციის მუშაობის მსვლელობას, არამედ ღებულობდა კიდეც მისგან მითითებებს და ფულს და ატანდა რაბინოვიჩის წერილებს საზღვარგარეთ თავისი საზღვარგარეთელი კორესპონდენტებისათვის. მუხინმა რაბინოვიჩისაგან სულ მიიღო 24.000 მანეთი თავისი ორგანიზაციისათვის. ეს ფული გამოგზავნილი იყო პარიზის ცენტრიდან. მუხინის სიტყვით, ორივე ორგანიზაციის მიზნები სრულიად ანალოგიური იყო.

მუხინმა საზღვარგარეთ გამგზავრების შემდეგ დვორჟანჩიკისაგან მიიღო წერილი, რომლითაც დვორჟანჩიკი ურჩევდა მას მიემართა რაბინოვიჩისათვის, რომელიც მისცემდა მითითებებს კონტრ-რევოლუციონურ ორგანიზაციის მუშაობის მეთოდების შესახებ.

მუხინი უჩვენებს, რომ „დონუგოლის“ ორგანიზაციის თათბირზე ის ერთხელ შეხვდა იმენიტოვს და სკოროტოს.

რაბინოვიჩი მთელი რიგი კითხვების მიცემით ცდილობს საეჭვოდ გამოიყვანოს მოწმე მუხინის სიტყვები, მაგრამ მუხინი კატეგორიულად ადასტურებს ყველა თავის ჩვენებებს.

ამით თავდება დილის სხდომა.

ექსპერტების დასკვნა

26 ივნისის საღამოს სხდომაზე, რაბინოვიჩის დაკითხვის დამთავრების შემდეგ, სასამართლომ მოისმინა ექსპერტების დასკვნა მხარეების მიერ დასმულ კითხვებზე სკაჩინსკის მაღაროს პროექტების ეკონომიურ და ტეხნიკურ შეფასების შესახებ, რომლებიც შედგენილი იყო კალნინისა და კუზმას მიერ.

ექსპერტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კუზმას პროექტი სკაჩინსკის მაღაროს დამუშავების მასშტაბით სრულიად დაუშვებელია, ვინაიდან არ ყოფილა საკმაო გამოცდილება კუზმას სისტემის გამოსაყენებლად. თვით კუზმა იძულებული გახდა აღიარებია, რომ ასეთი ფართო მასშტაბის ცდა მისი შეცდომა იყო. კუზმას ამ განცხადების შესახებ ამხ. ვიშინსკი ამბობს „ეს არის იმათი შეცდომა, ვინც არ უნდა შემცდარიყო“.

27 ივნისს დილით შესდგება სასამართლოს დახურული სხდომა. (ადს).

როგორ მუშაობდნენ ვლადიმირის გუბერნიის ხელმძღვანელი ორგანოები

(ც. საკ. კომისიისა და მ. და გ. ინსპექციის გამოკვლევა)

მოსკოვი, 27 ივნისი. ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის და საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის გაერთიანებულ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. სოლცის განცხადება ვლადიმირის გუბერნიაში მომხდარი გამოკვლევის შედეგების შესახებ. ცენტრალური საკონტროლო კომისიის სპეციალურმა კომისიამ, რომელიც ამხ. სოლცის მეთაურობით გაიგზავნა ვლადიმირის გუბერნიაში ამ გუბერნიის ხელმძღვანელი ორგანოების მოქმედების და მდგომარეობის გამოსაკვლევად, გამოარკვია შემდეგი: ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები და დაწესებულებანი ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას იჩენდნენ მასების მიმართ და მოწყვეტილი იყვნენ მათგან. განსაკუთრებით მრავალი სისაძაგლენი იქნა აღმოჩენილი გუს-ხრუსტალნიში. მთელი რიგი ნაკლოვანებანი ცენტრალურ საკონტროლო კომისიის სპეციალურმა კომისიამ აღმოფხვრა ადგილობრივ, მაგრამ კომისია ფიქრობს, რომ მუშაობის პირობების გაჯანსაღებისათვის ვლადიმერის გუბერნიის მთელ რიგ რაიონებში, საჭიროა სწრაფი ღონისძიებანი ცენტრიდან.

ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის გაერთიანებულ სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება, რომლითაც ამხ. სოლცს და პეტერსს ავალებს განაგრძონ ამ გუბერნიის გამოკვლევა და ადგილობრივ შეამოწმონ კომისიის მიერ აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად მიღებულ ღონისძიებათა შესრულება. საგუბერნიო მუშათა და გლეხთა ინსპექციას წინადადება მიეცა გააძლიეროს მუშაობა მუშათა ფართო აქტივის შექმნის გზით; საგუბერნიო კომიტეტს და საგუბერნიო საკონტროლო კომისიას მიეცა წინადადება უშუალოდ და დაუყოვნებლივ დააწინაუროს პროფკავშირების, საბჭოთა და კომკავშირის ხაზით ახალი კადრები მუშათა წრიდან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გუსევის ორგანიზაციას, კოვროვსკის და მურმანსკის რკინის გზის სახელოსნოებს და სასამართლოს მუშაკების შემადგენლობის გაუმჯობესებას. (ადს).

თბილისის წარმოებათა ოსტატების თათბირი

26 ივნისს შესდგა თბილისის წარმოებების ოსტატების თათბირი, რომელზედაც ვრცელი მოხსენებით ოსტატთა შორის მუშაობის შესახებ გამოვიდა ამხ. ხაცკევიჩი.

დღემდის ოსტატთა შორის მუშაობა—იწყებს მოხსენებელი,—ძალზე მოისუსტებდა. ოსტატი წარმოადგენს წარმოების მთავარ ძარღვს, მიუხედავად ამისა იგი ვერ არის ჩაყენებული სათანადო პირობებში.

ოსტატი, რომელიც დაინტერესებულია წარმოების გაუმჯობესებით, ცდილობს აღმოფხვრას მუშაობის სხვადასხვა დეფექტები, უფრო რაციონალურად მოაწყოს მუშაობა, აწიოს შრომის ნაყოფიერება და სხვა. ყველა ეს ხშირად ეხება მუშების „ცეხურ“ ინტერესებს, რომლებიც თავის მხრივ ზოგჯერ უკმაყოფილო რჩებიან ოსტატის საქმიანობით.

ოსტატი უმეტეს ნაწილად მტკიცედ იცავს წარმოების ინტერესებს, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ოსტატებს არ სურთ „აწყენინონ“ მუშებს, გამოდიან მაჩანჩალის როლში და უკან რჩებიან წარმოების მოთხოვნილებებს.

„ტყუილ უბრალოდ რათ უნდა მოვიმდუროთ ხალხი, დეე იმუშაონ, როგორც სურთ“—ამბობს ასეთი დაუდევარი ოსტატი. ამგვარ მოვლენებს სასტიკად უნდა ვებრძოლოთ.

სამწუხაროა, რომ პროფკავშირები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ოსტატთა შორის მუშაობას, მათ არც კი იციან, რომ ეს მუშაობა მათი საქმიანობის ნაწილსაც შეადგენს.

ზოგიერთ წარმოებაში კიდევ არის დარჩენილი დახავსებული საწარმოო ჩვეულება—„საიდუმლოების“ შენახვა, თუ ერთ წარმოებაში გამოიგონეს რაიმე გაუმჯობესება უმალავენ სხვა წარმოებას. ამას საბჭოთა სინამდვილეში, რასაკვირველია, არავითარი აზრი არა აქვს. ჩვენში ყოველგვარი ახალი გამოგონება თუ გაუმჯობესება თვითეულმა წარმოებამ უნდა სიამოვნებით გაუზიაროს სხვა ფაბრიკა-ქარხნებს; ამით კი ხელი შეეწყობა ჩვენი სოციალისტური მრეწველობის საერთო გაუმჯობესებას.

ცნობილია, რომ მუშათა გამომგონებლობას ჯერ კიდევ ვერ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. ამ მხრივ არც ოსტატები არიან უკეთეს მდგომარეობაში. ჩვენში ხშირად აწვალებენ ისეთ გამომგონებლებსაც კი, რომელთა გამოგონება უეჭველად სასარგებლოა წარმოებისათვის.

მაგალითისათვის მოვიყვან შემთხვევას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ტყავის ქარხანაში. მეტყავე პეტროსიანს მთელი ომი დასჭირდა იმისათვის, რომ გაეკაფა გზა თავისი წინადადების განსახორციელებლად. ამხ. პეტროსიანის გამოგონება ამჟამად დიდ ყურადღებას იპყრობს და ფიქრობენ, რომ დიდ სარგებლობასაც მოუტანს ტყავის მრეწველობას.

ჩვენი ოსტატი თუმცა საკმაოდ გამობრძმედილია წარმოებაში, აქვს სათანადო პრაქტიკული გამოცდილება, სტაჟი, მაგრამ მას არ ყოფნის ტეხნიკური მომზადება. მარტო პრაქტიკით შორს ვერ წავალთ, საჭიროა ცოტა თეორიული ცოდნა, რომ უფრო ნაყოფიერი შეიქმნეს ოსტატის მუშაობა. პროფკავშირმა უნდა მოაწყონ ოსტატთა გადასამზადებელი საღამოს კურსები. დაარსონ წარმოებაში სამკითხველო პოპულიარული ტეხნიკური ლიტერატურით და სხვა.

ოსტატების დაწინაურება ვერ მიდის სათანადო ტემპით, საჭიროა ოსტატების სისტემატიური წინ წაწევა უფრო საპასუხისმგებლო პოსტებზე წარმოების შიგნით. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ოსტატთა განტვირთვას ზედმეტი დავალებებიდან.

ამხ. ხაცკევიჩის მოხსენების ირგვლივ გაიმართა ცხოველი კამათი.

— მძიმეა ოსტატის მდგომარეობა წარმოებაში—ამბობს პირველი ორატორი, თუ რაიმე ასწავლე ახალგაზრდა მუშებს მათ ეს საწყენად მიაჩნიათ, რის გამოც ხშირად უშვერი სიტყვებით უმასპინძლდებიან ოსტატს, უწოდებენ მას „ჟანდარმს“ და სხვ.

— არ არის მოგვარებული ოსტატების ეკონომიური მდგომარეობა. არის შემთხვევა, როცა ოსტატი ღებულობს 120 მან., მოწაფე კი—150 მან.

— ზოგან ოსტატს უფლებას არ აძლევენ ჩაერიოს კალკულიაციის საქმეში. ეკითხები გამგეს, როგორ მიიღო შეკვეთა, ის გიპასუხებთ, რომ ეს „საიდუმლოებას შეადგენს და საერთოდ შენ არ გეხება“. ასეთ უარყოფით მოვლენებს ბოლო უნდა მოეღოს.

— საჭიროა ყურადღება მიექცეს იმას, რომ ტრესტის ცალკე საწარმოო ერთეულებში ტარდებოდეს მთლიანი ხაზი. მე ვლაპარაკობ პოლიგრაფტრესტზე. მუშა, რომელიც ერთ სტამბაში ნორმას ძლივს ასრულებდა, მეორე სტამბაში გადასვლის შემდეგ ჯილდოსაც კი ღებულობს. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა ადგილებში ერთნაირად არაა დაყენებული შრომის ნაყოფიერების აღრიცხვის საქმე.

— ოსტატებსაც აქვთ ზოგიერთი დეფექტი —ამბობს უკანასკნელი ორატორი, პროფკავშირის წარმომადგენელი,—ზოგი ოსტატი მართალია, რომ უდიერად ეკიდება ახალგაზრდა მუშებს. საბოლოოდ უნდა შევიგნოთ, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა აღზრდილია სხვა პრინციპზე, მას უნდა მიუდგეთ ფრთხილად, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევძლებთ ახალგაზრდობიდან სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების აღზრდას.

ნ. ფ—ძე.

თავდაცვის კვირეულისათვის

საქ. კ. პ. (ბ) საოლქო და სამაზრო კომიტეტებს და თბილისის კომიტეტს

15-დან 22 ივლისამდე ტარდება „თავდაცვის კვირეული“. „კვირეული“ მიზნად ისახავს შემდეგ მთავარ საერთო პოლიტიკურ ამოცანებს:

1. საბ. კავ. და მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე მოხდეს დემონსტრაცია იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გაატაროს მშვიდობიანობის პოლიტიკა, რათა უზრუნველყოფილ იქნას წარმატებით სოციალისტური მშენებლობა საბჭოთა კავშირში და მთელმა კაცობრიობამ თავი დააღწიოს ახალი ომის საშინელებას.

2. განემარტოს საბჭოთა კავშირის და მთელი მსოფლიოს მშრომელთ, რომ ევროპის, ამერიკის და იაპონიის ბურჟუაზიული მთავრობები მათ შორის არსებული წინააღმდეგობათა და შრომის პირველი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის მიმართ ცხოველური სიძულვილის გამო მშვიდობიანობაზე მუდმივი ლაპარაკის საფარით ამზადებენ ახალ უსაშინელეს ომს.

3. განემარტოს საბჭოთა კავშირის და მთელი მსოფლიოს მშრომელთ, რომ სოციალ - დემოკრატები და უცხო ქვეყნების რეფორმისტული პროფკავშირები, უწყობენ რა ხელს ბურჟუაზიულ მთავრობებს და უმალავენ რა მუშებსა და გლეხებს ამ მთავრობების საზიზღარ ზრახვებს, ეხმარებიან თავის ბურჟუაზიას ახალი ომის მომზადებაში.

4. გაძლიერებულ იქნას ჩვენი ქვეყნის და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ყურადღება მშვიდობიანობის დასაყრდენის და მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ბაზის — საბჭოთა კავშირის თავდაცვისადმი.

ამ საერთო პოლიტიკურ ამოცანებს გარდა, „თავდაცვის კვირეული“-ს წმინდა პრაქტიკული ხასიათის ამოცანებია:

1. თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოების უჯრედთა და წევრთა რიცხვის გადიდება მშრომელთა ახალი ფენების, განსაკუთრებით მუშების, მოჯამაგირეების, ქალების (მუშა-ქალთა და მოჯამაგირე-ქალთა), ახალგაზრდობის და სხვ. ჩაბმით ამ საზოგადოებაში.

2. თავდაცვა - ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების მატერიალური ბაზის განმტკიცება, მისი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება, როგორც პარტიული ხელმძღვანელობის, ისე შინაორგანიზაციული და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მხრივ.

3. თავდაცვა - ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების მუშაობის მიღწევათა და ნაკლოვანებათა გამოაშკარავება და მისი იდეების პოპულიარიზაცია მოსახლეობის ფართო ფენებს შორის.

4. მოსახლეობის ყურადღების გაძლიერება ავიაციის, ქიმიური თავდაცვის განვითარებისა და მუშათა და გლეხთა მშვიდობიანი შრომის ერთგული დარაჯის, საბჭოთა კავშირის დასაყრდენის — წითელი არმიისადმი.

დასახული ამოცანების განსახორციელებლად საჭიროა:

1) თავდაცვა - ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების წევრთა, მუშათა, მოსამსახურეთა და გლეხთა ფართო კრებებზე, წარმოებებსა, დაწესებულებებსა, კლუბებსა, სახალხო სახლებსა და სამკითხველოებში (სოფლად) წაკითხულ იქნას პოპულიარული ლექციები „თავდაცვის კვირეულისა“ და მის წინაშე მდგომი საერთო პოლიტიკურ და პრაქტიკული ამოცანების შესახებ.

2) გაიმართოს ფასიანი წარმოდგენები, საღამოები, კონცერტები, მასიური სეირნობანი, შეჯიბრებანი და სხვ.

3) ჩატარდეს 10 პროც. ანარიცხების შეგროვება გასართობ დაწესებულებებიდან (თეატრები, კინოები, ცირკი) და გასართობი ადგილებიდან.

4) სრული ნებაყოფლობითი წესით მოეწყოს:

ა) ფულის შეგროვება სათანადო ფურცლებზე ხელის მოწერის საშუალებით, როგორც თავდაცვა - ავიაქიმის წევრთა, ისე მუშათა, მოსამსახურეთა და გლეხთა შორის.

ბ) შაბათობანი სათანადო პროფესიონალური და სამეურნეო ორგანოებთან შეთანხმებით.

გ) გამოწვევა პრესის საშუალებით (ცენტრალური, ადგილობრივი და კედლის გაზეთების საშუალებით).

დ) გავრცელებულ იქნას სპეციალური ნიშნები და სხვ.

5) „თავდაცვის კვირეულის“ ჩატარებაში ჩაბმულ იქნან პარტიული, კომკავშირის, პროფესიონალური ორგანიზაციები, საბჭოთა ორგანოები და ნებაყოფლობითი საზოგადოებანი.

პრესამ ფართოდ უნდა გააშუქოს „თავდაცვის კვირეულის“ ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები.

პროფსაბჭომ, ახალგ. ლენ. კომკავშირის ცეკამ, ცეკას მუშა - ქალთა და გლეხ - ქალთა განყოფილებამ, ყველა ნებაყოფლობითი და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ადგილებს მისცენ დირექტივები „თავდაცვის კვირეულის“ გატარებაში აქტიური მონაწილეობის შესახებ.

დაწვრილებითი დირექტივები საქართველოს თავდაცვა - ავიაქიმის ხელის შემწყობმა საზოგადოებამ დაუგზავნა თავის ადგილობრივ ორგანოებს.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი **ლოლოგერიძე**.

ცეკას საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილების გამგე **ს. მამულია**.

რა ხდება უცხოეთში

სკოლა—კაპიტალისტების სამსახურში

პენსილვანიის (შეერთებულ შტატებში) უნივერსიტეტის საბჭომ დაადგინა სამსახურიდან დაითხოვოს ფილოსოფიური ფაკულტეტის ინსტრუქტორი აუერბახი მხოლოდ იმიტომ, რომ სტუდენტთა კრებაზე ის გამოვიდა სიტყვით, რომელშიც დადებითად შეაფასა საბჭოთა კავშირში არსებული განათლების სისტემა (აუერბახმა ამ რამოდენიმე ხნის წინად ამერიკელ სტუდენტთა დელეგაციასთან ერთად ინახულა საბჭოთა კავშირი). სიტყვაში, რომელიც შეიქმნა მისი დათხოვის საბაბად, მან საბჭოთა განათლების სისტემა დაუპირისპირა შეერთებული შტატების სისტემას და აღიარა პირველის უპირატესობა. გაიგო თუ არა სიტყვის შესახებ, უნივერსიტეტის საბჭომ დაიბარა აუერბახი და წინადადება მისცა მომავალში თავი შეეკავებია „ამგვარი“ გამოსვლებისაგან. აუერბახმა უარი სთქვა ამ მოთხოვნილების შესრულებაზე და დათხოვნილ იქნა.

პენსილვანიის უნივერსიტეტის პრაქტიკაში ეს მეოთხე შემთხვევაა, როცა პედაგოგს ითხოვენ პროგრესიული აზროვნებისათვის. 1915 წ. პენსილვანიის უნივერსიტეტმა სამსახურიდან დაითხოვა პროფესორი სკოტტ ნირინგი (ცნობილი ეკონომისტი, ავტორი მთელი რიგი შრომებისა შეერთებული შტატების ეკონომიური განვითარების შესახებ, ზოგი მათგანი გამოცემულია რუსულ ენაზე). სკოტტ-ნირინგის დათხოვა მოყვა მის მიერ ბავშვების შრომის ექსპლოატაციის გამოკვლევას პენსილვანიის ფაბრიკა-ქარხნებში, ნირინგის მიერ გამომჟღავნებულმა ფაქტებმა ბავშვთა შრომის საშინელი ექსპლოატაციის შესახებ პენსილვანიაში თავის დროზე დიდი აურზაური გამოიწვია და ამ ამბავთან დაკავშირებით მისმა დათხოვნამ საერთაშორისო ხასიათის სკანდალის შთაბეჭდილება შექმნა.

მაგრამ პენსილვანიის უნივერსიტეტი არ შეადგენს რაიმე გამონაკლისს ამ მხრივ.

1917 წ. კოლუმბიის უნივერსიტეტმა ომის წინააღმდეგ მიმართულ სიტყვებისათვის სამსახურიდან დაითხოვა პროფესორები **დანი** და **კატტელი**, კოლუმბიის უნივერსიტეტის მოსამზადებელი სკოლის დირექციამ თანამდებობიდან მოხსნა მასწავლებელი **შერი გლასბერგი** მხოლოდ იმიტომ, რომ უკანასკნელი სოციალისტური პარტიის წევრი იყო.

ასეთია „სიტყვის თავისუფლების“ პრაქტიკა ამერიკის უნივერსიტეტებში. მაგრამ არანაკლებ საინტერესოა „მედალის მეორე მხარეც“.

მრეწველობის გამოსაკვლევად დანიშნულმა ფედერალურმა საგამომძიებლო კომისიამ ამ რამოდენიმე ხნის წინად გამოარკვია, რომ ამერიკის უმაღლეს სკოლაში მჭიდრო კავშირი არსებობს პროფესორებსა და კერძო მონოპოლისტ კაპიტალისტებს შორის. აღმოჩნდა, რომ მთელი რიგი ელექტრო-ტეხნიკური წარმოებები ქრთამს აძლევენ პროფესორებს მათი პროდუქციის პროპაგანდისათვის ლექციების დროს და სახელმძღვანელოებში.

გამოირკვა, რომ ზოგიერთ ამერიკელ პროფესორის სინიდისი არც თუ ისე ძვირი ფასობს. 300-400 მანეთად წელიწადში ყოველ კაპიტალისტურ კომპანიას შეუძლია მოისყიდოს გამოჩენილი სპეციალისტი. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ქრთამის მიცემა სწარმოებდა არა ხანგამოშვებით, არა შემთხვევით, არამედ სისტემატიურად, ასე მაგალითად, „ელექტრონული განათების ნაციონალურმა ასოციაციამ“ ომის დამთავრებისთანავე მოაწყო სპეციალური კომისია „სასწავლებლებთან კავშირის დასამყარებლად“. ეს კომისია განაგებდა საზოგადოების პროდუქციის პროპაგანდას უმაღლეს სკოლებში და „გასამრჯელოების“ დარიგებას პროფესორებისათვის. ამ აფიორის დამახასიათებელი მომენტია ის, რომ აღნიშნული ასოციაცია პროფესორებისაგან მოითხოვდა, რათა მათ დაერწმუნებიათ თავისი მსმენელები ელექტრონული ენერგიის წყაროების ნაციონალიზაციის არასასურველობაში და იმაში, რომ საჭიროა ელექტრო-სადგურების დატოვება კერძო პირების მფლობელობაში.

ამგვარივე „კავშირი“ კერძო კომპანიებსა და უმაღლესი სკოლის პერსონალის შორის გამორკვეულ იქნა მთელ რიგ სხვა შემთხვევებში. ასე მაგალითად, გამოირკვა, რომ ვისკონსინის, ილინოისის, პენსილვანიის ჩრდილოეთ დასავლეთ ინდიანის, ნიუ-იორკისა და გარვარდის უნივერსიტეტები სათანადო „სუბსიდიების“ მიღების შემდეგ აწყობდენ სპეციალურ საჯარო ლექციებს, რომლებშიც აშკარად იცავდნენ სხვადასხვა ელექტრონულ ტრესტების ინტერესებს. მაგ., გარვარდის უნივერსიტეტმა ერთი ასეთი ტრესტისგან სუბსიდიათ მიიღო 50.000 მანეთი.

კაპიტალისტების მიერ მოსყიდული ზოგიერთი პროფესორები არც კი მალავენ თავიანთ სამარცხვინო კავშირს კაპიტალისტებთან. მაგ., ილინოისის უნივერსიტეტის პროფ. გორაცი გრეი ამ რამდენიმე ხნის წინად სიტყვით გამოვიდა ილინოისის შტატის ელექტრ. მრეწველობის წარმომადგენელთა ყრილობაზე და დაიცვა ამგვარი „სუბსიდიების“—ქრთამების სისტემა.

ა. ხ.

ზანგების დევნა შეერთებულ შტატებში

ფერადკანიანების მფარველმა ნაციონალურმა ასოციაციამ, რომელიც შეერთებულ შტატებში არსებობს, გამოაქვეყნა 1927 წლის ანგარიში. როგორც ანგარიშიდან სჩანს, ზანგების დევნას შეერთებულ შტატებში ისეთივე ხასიათი აქვს, როგორიც 20-30 წლის წინად ჰქონდა. 1927 წ. 19 ზანგი და 3 თეთრკანიანი გაასამართლეს „ლინჩის კანონით“ (თვითგასამართლება). თვითგასამართლების ყველა შემთხვევები მოხდა სამხრეთ შტატებში, გარდა ერთისა, როცა კალიფორნიაში თვითგასამართლების წესით მოჰკლეს ერთი თეთრკანიანი რომელიც პოლიციიდან გაქცეული ბოროტმოქმედი ეგონათ.

საშუალო საუკუნეების საშინელებანი გაახსენდება ადამიანს ასოციაციის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებთან გაცნობის დროს. 19 ზანგიდან, რომლებიც თვითგასამართლების მსხვერპლი შეიქნენ, 4 ნავთი გადაასხეს და ცოცხლად დასწვეს, დანარჩენები ან დახვრიტეს ან ჩამოახრჩეს, ზოგი მათგანი კი ჯერ დახვრიტეს, შემდეგ ჩამოჰკიდეს და დასცინოდნენ.

შეერთებული შტატების საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა დარგებში ემჩნევა მტრული დამოკიდებულება ზანგებისადმი. ქ. გერში (ინდიანას შტატი) საშუალო სასწავლებლის 5.000 თეთრკანიანმა მოსწავლემ ნიშნად პროტესტისა ზანგებთან ერთად სწავლების წინააღმდეგ „გაფიცვა“ გამოაცხადა. ხელისუფლება „იძულებული“ შეიქნა „დაეთმო“ გაფიცულებისათვის და დაეკმაყოფილებია მათი მოთხოვნილებები. ქალაქის საბჭომ 15.000 დოლლარი გადასდო ზანგებისათვის ცალკე სასწავლებლის მოსაწყობად.

ფერადკანიანების დამცველმა ასოციაციამ პროტესტი განაცხადა ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ და საქმე ახლო ხანში იქნება გარჩეული სასამართლოს წესით.

მთელ რიგ შტატებში ქორწინება ზანგებსა და თეთრკანიანებს შორის სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება და მოსამართლეები ვალდებული არიან გააუქმონ ასეთი ქორწინება.

დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციისათვის*)

(თეზისები)

1. იმ დროს, როცა მოკავშირე რესპუბლიკებისა და მათ შორის საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის საბჭოთა იუსტიციის ორგანოები ყოველნაირად ცდილობენ საპროცესო ნორმების გამარტივებას, სასამართლოში არსებულ ბიუროკრატიულ ტენდენციების აღმოფხვრას და პროლეტარული სასამართლოს მაქსიმალურად დაახლოვებას სოციალისტური მშენებლობისა და მშრომელი მასების საჭიროებასთან,— ამ დროს საბჭოთა ადვოკატურის, როგორც სასამართლო პროცესის განუყრელი ნაწილის რეორგანიზაციის საკითხი არ შეიძლება ლოგიკურად მთელი თავისი სიმწვავით არ წამოიჭრას ჩვენს წინაშე.

2. თანამედროვე ადვოკატურის სახით სახალხო სასამართლოს სისტემაში ჩვენ დავტოვეთ თავისუფალი პროფესიის იმ პირთა ორგანიზაცია, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით უფლება აქვთ იურიდიული დახმარება დაუწიონ მოსახლეობას.

3. ადვოკატურამ, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო რევოლუციის წინა დროს ორგანიზაციის ფორმები, დღემდე შეინარჩუნა მოღვაწეობის ინდივიდუალისტური ფორმა, რომლის ძირითად გამოხატულებას წარმოადგენს კერძო კაბინეტი, ხოლო იურიდიული კონსულტაცია, რომელიც ადვოკატურის მოღვაწეობის არსებით სახეს უნდა შეადგენდეს, ნამდვილად რჩება დამცველთა კოლეგიის მოღვაწეობის მხოლოდ დამატებად.

4. ვიღებთ რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ჩვენს სახალხო მეურნეობაში კერძო კაპიტალისტურ ელემენტებს თანდათან სდევნის კოლექტიური ელემენტები და კოლექტიური ფორმები (არტელები, კოლექტივები და სხვ.) შეუჩერებლივ წინ უსწრებს ინდივიდუალისტურ ფორმებს, ამიტომ, დამცველთა კოლეგიის მოღვაწეობის განხილვის დროს თანამედროვე სოციალ-ეკონომიურ პირობების თვალსაზრისით, საჭიროა ვაღიაროთ, რომ თანამედროვე ადვოკატურის მუშაობის არც ფორმები და არც მეთოდები არ შეეფერება ჩვენი კულტურისა და ეკონომიკის განვითარების მოთხოვნილებებს და რომ ამ მხრივ დამცველთა კოლეგია უკან ჩამორჩა ცხოვრებას.

5. თუ ბურჟუაზიული წყობილების კერძო კაპიტალისტური ურთიერთობა ლოღიკურად აიძულებდა ძველ, რევოლუციის წინადროის სასამართლოს დაეცვა იმ კლიენტების კერძო-კაპიტალისტური ინტერესები, რომლებიც კარგ ჯილდოს მიმღებ „მოხერხებულ“ ადვოკატების საშუალებით ცდილობდენ სასამართლო პროცესზე გავლენის მოხდენას,—დღეს საბჭოთა ეკონომიკისა და საბჭოთა საზოგადოებრივობის განვითარების პირობებში ასეთ ტენდენციებს ნიადაგი გამოეცალა და საბჭოთა ადვოკატურის წინაშე დასმულია მასების ახალ კულტურულ-უფლებრივ მოთხოვნილებებთან თავისი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შეგუების ამოცანა.

6. დამცველთა კოლეგიის თანამედროვე ორგანიზაცია, რომელმაც შეინარჩუნა მუშაობის ძველი კაპიტალისტური ფორმები, მუშებისა და გლეხებისათვის სასარგებლო ინტელიგენტ მუშაკებს სწყვეტს საზოგადოებრივ ცხოვრებას, ამწყვდევს მათ საკუთარ კაბინეტებში და თავის წევრებში ანვითარებს წმინდა ინდივიდუალისტურ, საზოგადოებრივ ცხოვრებისაგან დაშორებულ ტენდენციებს, ხოლო ზოგიერთ „პროფესიონალებში“—გამდიდრების მისწრაფებასაც.

7. ბუნებრივია, რომ საბჭოთა მუშურ-გლეხურ საზოგადოებრივ ცხოვრებას მოწყვეტილი ადვოკატურა და ზოგიერთი მერყევი და გამდიდრების სურვილით გატაცებული ვექილები მშრომელთა წრეში იწვევენ მტრულ დამოკიდებულებას დამცველთა კოლეგიისადმი და ამ უკანასკნელის ლიკვიდაციის განწყობილებას. უმთავრესად ესევე გარემოება აფერხებს ადვოკატურის გამუშურებას, ვინაიდან ის პირნი, რომელთაც საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლები აქვთ დამთავრებული, შეგნებულად გაურბიან დამცველის მოღვაწეობას, რადგან ეშინიათ მოსწყდენ პროფესიონალურ ორგანიზაციებს და არ სურთ იყვნენ საბჭოთა და კულტურულ-ეკონომიურ შემოქმედების გარეშე მაყურებელნი.

8. დამცველთა კოლეგიის წევრთა შორის ვექილების ერთ ნაწილს ჰყავს დიდი კლიენტურა, ხოლო მეორე ნაწილს—უფრო ნაკლები, ფაქტიურად მდგომარეობა ასეთია: ერთი მხრით არსებობს საკმაოდ უზრუნველყოფილ ვექილების უმნიშვნელო რაოდენობა—„ზედაფენა“, რომლის მონოპოლიას შეადგენს დიდი პროცესები, მეორე მხრით კი—გაჭირვებით მცხოვრებ საშუალო ვექილთა ჯგუფი და, ბოლოს,—ნახევრად მშიერი „ქვედა ფენა“, რომელიც ეკონომიურად ძლიერებისაგანაა დამოკიდებული.

9. დამცველთა კოლეგიის ორგანიზაციის კერძო -კაპიტალისტურმა ფორმამ, რომელიც არ ეგუება მოღვაწეობის საზოგადოებრივ-კოლექტიურ ფორმებს, ვერ შესძლო კოლექტიურ მუშაობის განვითარება თვით ორგანიზაციის შიგნით და ორგანიზაციისათვის, რასაც აშკარად მოწმობს: საკმაო ინიციატივის უქონლობა დამცველთა კორპორაციის კულტურულ-ეკონომიურ გაუმჯობესების საკითხებში, პასივობა არასასურველ და ხშირად მავნე ელემენტებისაგან დამცველთა კოლეგიის გაწმენდის საქმეში და, ბოლოს, იურიდიული საზოგადოების დაშლა, რაც იმის მომასწავებელია, რომ დამცველთა კოლეგიამ ვერ გამოიჩინა სამართლის ყოველდღიურ და პრაქტიკულ საკითხების კოლექტიურად განხილვის უნარი.

10. დამცველთა კოლეგიის მიერ მოსახლეობისათვის „კაზიონურად“, იძულებით და, მაშასადამე, უგულოდ აღმოჩენილი დახმარება ვერ აღწევს თავის მიზანს, ვინაიდან კლიენტების ფასიანი დაცვა ღირსებით მნიშვნელოვნად სჭარბობს „კაზიონურ“ დაცვას, რაც ვექილების მატერიალური დაინტერესებით აიხსნება. ეს გარემოება ჰქმნის კლიენტების უთანასწორო მდგომარეობას სასამართლოში და სცემს სასამართლოს პრესტიჟსა და ავტორიტეტს მოსახლეობის განსაკუთრებით მის უღარიბეს ნაწილის—მუშებისა და გლეხების თვალში.

11. ვიღებთ რა მხედველობაში მთელი ჩვენი მოსახლეობის კულტურულ დონეს, უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ საჭიროა დამცველთა ინსტიტუტი თანამედროვე სასამართლო პროცესში, დამცველთა ინსტიტუტი ჯერ კიდევ უნდა დარჩეს საბჭოთა სასამართლოს მნიშვნელოვან ელემენტად.

ოღონდ ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დამცველთა კოლეგიის მუშაობა მაქსიმალურად შეუთანხმდეს საბჭოთა სახელმწიფოსა და მშრომელი მასებისათვის სასარგებლო ფუნქციების შესრულებას.

ეს შესაძლებელია მხოლოდ დამც. კოლეგიის წევრების ხელახალი აღზრდით და დამცველთა კოლეგიის ორგანიზაციული სტრუქტურისა და მისი მუშაობის მეთოდების სათანადოთ შეცვლით.

12. საბჭოთა რესპუბლიკების თანამედროვე კულტურულ - ეკონომიურ განვითარებისა, მშრომელი მასების საზოგადოებრივ-უფლებრივ შეგნებისა და საბჭოთა პროლეტარულ სასამართლოს ინტერესების თვალსაზრისით, მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების გაწევის ერთად-ერთ ფორმად აღიარებულ უნდა იქნეს მუშაობის საზოგადო-კოლექტიური მეთოდი—დამცველთა მთლიანი კოლექტივის შექმნა, რომელიც განსაზღვრული წესით გაანაწილებს შრომას თავის წევრებს შორის.

13. მხოლოდ ასეთი მეთოდით მუშაობის დროს: ა) აღმოიფხვრება კლიენტებისაგან დამცველთა მატერიალური დამოკიდებულების გავლენა;

ბ) შესაძლებელი გახდება მუშაკების ბუნებრივი თვისობრივი შერჩევა;

გ) ადგილი აღარ ექნება ერთი დამცველის დამოკიდებულებას მეორესაგან;

დ) შესაძლებელი გახდება დამცველთა კოლეგიის გამუშურება და უმაღლეს სასწავლებლების კურსდამთავრებულთ ფართო შესაძლებლობა მიეცემათ გამოიყენონ თავისი ძალები ამ ასპარეზზე;

ე) ამგვარად, დამცველთა ორგანიზაცია მოსახლეობის თვალში მოიპოვებს სათანადო ავტორიტეტს და ის უფლებებით გაუთანასწორდება მშრომელთა სხვა ორგანიზაციებს და

ვ) დამცველთა კოლეგიის კარები გამოკეტილი იქნება ყველა შემთხვევით ელემენტებისათვის.

14. დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი, რომელიც არსებულ კანონმდებლობის მიხედვით მოქმედობს, საჭიროებისდაგვარად აწყობს ადგილებზე დამცველთა კოლეგიებს, რომლებიც კოლეგიალურად მუშაობენ სამაზრო სასამართლოებისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატის მეთვალყურეობას ქვეშ.

მოქალაქე, რომელიც იურიდიულ დახმარებას ეძებს, მიმართავს არა ცალკე დამცველს, არამედ კოლექტივს, რომელიც სათანადო წესით ავალებს ერთ-ერთ თავის წევრს დახმარების გაწევას.

კოლექტივის თვითეული წევრი ხელფასს ღებულობს თავისი კვალიფიკაციის მიხედვით და მას არავითარი უშუალო მატერიალური დამოკიდებულება არა აქვს კლიენტთან.

ასეთივე ორგანიზაციები ადგილობრივ აფართოებენ მშრომელთა მოსახლეობის იურიდიულ დახმარების ქსელს და მით სწევენ თავის ავტორიტეტს და ნდობას იხვეჭენ მშრომელ მასებში.

15. დამცველთა კოლეგიის კოლექტივები მუშაობენ საკუთარი საშუალებებით. თვითანაზღაურების საფუძველზე. ორგანიზაციის ყველა ხარჯები იფარება რესპუბლიკის, ოლქების და მაზრების ცალკე კოლექტივების შემოსავლიდან.

ჩვენ არ შევეხებით საკითხის დეტალებს და აღვნიშნეთ მხოლოდ დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციის პრინციპიალური მომენტები, იმედი გვაქვს, რომ მშრომელთა ფართო მასების აზრთა გაცვლა-გამოცვლა, დამცველთა კოლეგიის წევრების ფხიზელი და ობიექტიური მიდგომა და იუსტიციის მუშაკთა სათანადო ინტერესი საკითხისადმი ხელს შეუწყობს ისეთი შეხედულების შემუშავებას, რომელიც შეეფერება ახალი ცხოვრებისა და საბჭოთა საზოგადოებრიობის თვალსაზრისს აღძრულ საჭირბოროტო საკითხებზე.

ი. ვარძიელი.

---

*) ვათავსებთ რა დისკუსიის წესით ამხ. ვარძიელის წერილს, წინადადებას ვაძლევთ ამხანაგებს გამოსთქვან თავიანთი აზრი ამ საკითხის შესახებ.

რედ.

პარტიული ცხოვრება

აგიტპროპმუშაობის მორიგი ამოცანები

სოციალისტური მშენებლობის ეხლანდელი ეტაპი მრავალ მოთხოვნილებას უყენებს პარტიის აგიტმუშაობას. ერთი მხრით სამეურნეო მშენებლობისა და სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელობის საქმეში მუშათა და მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა, თვითკრიტიკისა და პროლეტარული დემოკრატიის გატარება და მეორე მხრით, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოცოცხლება, ბურჟუაზიულ ელემენტებისა და ნაციონალისტური ინტელიგენციის ცდა გააძლიერონ თავისი გავლენა მშრომელთა შორის კულტურულ - იდეოლოგიური ხაზით,—ყოველივე ეს მოითხოვს კომუნისტური აგიტაციისა და კულტურული მუშაობის მაქსიმალურად განვითარებას.

ამავე დროს ქვედა საფეხურის ორგანოების საგიტაციო - საპროპაგანდო და კულტურულ მუშაობის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ეს მუშაობა ჩამორჩენილია მასიური მუშაობის ეხლანდელი ამოცანებისაგან, ხოლო ზოგან კი—მეტად სუსტადაა დაყენებული.

ჩვენი აგიტპროპმუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებებს წარმოადგენს ის, რომ სუსტადაა განვითარებული აგიტაცია სამეურნეო მშენებლობის საკითხების გარშემო, არ სწარმოებს ჯგუფური აგიტაცია და სუსტადაა დაყენებული კედლის გაზეთების მუშაობა და ნებაყოფლობითი საზოგადოებების უჯრედების საქმიანობა.

აგიტმუშაობის ამ ნაკლოვანებათა მიზეზები მიეწერება უჯრედების ბიუროებისა და პარტკომების ხელმძღვანელობის სისუსტეს. უჯრედებში დიდი ხანია არსებობს აგიტპროპკომისიები, მაგრამ ისინი მუშაობენ მოდუნებით, „გამოცოცხლების ლოზუნგი“ მათ ჯერ არ შეხებია. ზოგიერთი კომისია რეგულიარულად არ იწვევს თავის სხდომებს, შესდგება სუსტად მომზადებულ პირებისაგან, და მოკლებულია პარტუჯრედის დირექტივებს.

უჯრედებმა და პარტკომებმა ყურადღება უნდა მიაქციონ აგიტკომისიების გამოცოცხლებას და მათი მუშაკების ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას.

დღევანდელ პირობებში აგიტაციის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საკითხებს წარმოადგენს საერთაშორისო მდგომარეობა, წარმოების რაციონალიზაცია, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, თვითკრიტიკის გატარება და პარტიაში მუშების მიღება.

განსაკუთრებით სუსტად სწარმოებს აგიტაცია რაციონალიზაციისათვის. უახლოეს დროში მუშათა კრებებზე და კედლის გაზეთებში საჭიროა ჩავატაროთ რაციონალიზაციის საკითხებზე გამოტანილ პარტიულ გადაწყვეტილებათა და სარაციონალიზაციო მუშაობის მსვლელობის ახსნა-განმარტება.

სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი აგრეთვე აგიტაციის გაუმჯობესებასაც. აგიტაციას უნდა მიეცეს ცოცხალი ხასიათი. აგიტაციამ არა მარტო უნდა დაარწმუნოს მუშები პარტიის პოლიტიკის სისწორეში, არამედ უნდა დარაზმოს კიდეც ისინი ამ პოლიტიკის ცხოვრებაში გასატარებლად და ჩვენი მშენებლობის დეფექტების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ მიზანს აგიტაცია მიაღწევს იმ შემთხვევაში, თუ ის ზოგად საკითხებს დაუკავშირებს ადგილობრივ ცხოვრებას.

საგიტაციო მუშაობის გაძლიერების მიზნით პარტორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მუშა-აგიტატორების, აგიტკოლექტივების და საინსტრუქციო თათბირების მოწყობის გზით.

სერიოზული ყურადღების ღირსია ჩვენი აგიტაციის ფორმები. დღემდე აქ სჭარბობს მარტივი ფორმა—კამპანიები და მოხსენებები. აგიტაციის საკამპანიო ხასიათი ვერ აღწევს სისტემატიურ ზემოქმედებას, ვერ აკმაყოფილებს სხვადასხვა მოთხოვნილებებს და მუშათა მასის სხვადასხვა ფენებს. ამიტომ აუცილებელია აგიტკამპანიებთან ერთად ჯგუფური აგიტაციის ფორმების გამოყენებაც, ჯგუფური აგიტატორების გამოყოფა პოლიტიკურად უფრო მომზადებულ პარტიულ ამხანაგებიდან და უპარტიო აქტივიდან, მათი დარაზმვა აგიტკოლექტივებში და ინსტრუქციებით უზრუნველყოფა აგიტაციის შინაარსისა და მეთოდიკის საკითხებზე.

პრესა ჩვენი აგიტაციის მეტად მნიშვნელოვანი ფორმაა. ყველა წარმოებებში გამოდის კედლის გაზეთები, მაგრამ მათი ღირსება ვერ აკმაყოფილებს მასის მოთხოვნილებებს. საჭიროა ამ მდგომარეობის შეცვლა. უჯრედებმა და ქარხკომებმა სისტემატიური დახმარება უნდა გაუწიონ კედლის გაზეთებს. სრულიად დაუშვებელია, როცა ქვედა საფეხურის პროფორგანოები რეგულიარულად არ სდებენ ან და რაღაც გროშებს სდებენ კედლის გაზეთების გამოსაცემად და მუშკორთა წრის საჭიროებისათვის. კედლის გაზეთებისა და მუშკორებისადმი ასეთი უყურადღებობისათვის წინააღმდეგ უნდა გაჩაღდეს ბრძოლა როგორც პრესაში, ისე მუშათა კრებებზე.

პარტიისა და პროფორგანოების საქმიანობაში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია კულტურულ მუშაობას. კულტმუშაობის სუსტ მხარეს წარმოადგენს ის, რომ ეს მუშაობა არ სწარმოებს მუშათა მთელ მასაში და სუსტადაა დაყენებული საწარმოო აღზრდა. მასიურ კულტმუშაობაში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მუშების საწარმოო-ტეხნიკურ განვითარებას და სამეურნეო მშენებლობის პრაქტიკულ საკითხების ახსნა-განმარტებას. ამ მიზნით აუცილებელია მასიური ტეხნიკური ლიტერატურის გავრცელება, ლექციების მოწყობა ტეხნიკისა და წარმოების ორგანიზაციის საკითხებზე და პროფტეხნიკური განათლების ქსელის გაფართოება. (პროფტეხნიკური წრეები და სხ.) საკლუბო მუშაობაში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საწარმოო პროპაგანდას და გაუმჯობესდეს პარტიის პოლიტიკური ლოზუნგების მხატვრული განსახიერება.

მასიურ კულტურულ - პოლიტიკურ მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ნებაყოფლობით საზოგადოებების უჯრედებს, რომლებიც ზოგან გაყინული არიან. წარმოებები დატვირთულია მრავალი ნებაყოფლობითი საზოგადოების უჯრედებით. საჭიროა ამ ნაკლის გამოსწორება: წარმოებებში უნდა დარჩეს მხოლოდ რემედასის, თავდაცვა-ავიაქიმის და ქალაქისა და სოფლის დამხმარე საზოგადოების უჯრედები, დანარჩენი საზოგადოებები კი—გადატანილ იქნენ კლუბებში.

პარტიის აგიტმუშაობის მთავარ ამოცანებს ამჟამად წარმოადგენს ანტირელიგიური პროპაგანდა და ბრძოლა ყოფაცხოვრებაზე ბურჟუაზიული ზეგავლენის წინააღმდეგ. სრულიად დაუშვებელია ის ინდიფერენტული დამოკიდებულება ანტირელიგიური მუშაობის საკითხებისადმი, რომელსაც ადგილი აქვს პროფორგანოებში. დღემდე სუსტად ტარდება ცხოვრებაში პარტიის დირექტივა „ულმერთოთა“ კავშირისა და ანტი-რელიგიურ წრეების მოწყობის შესახებ. უჯრედებმა და აგიტკომისიებმა უახლოეს დროში უნდა გააცხოველონ ანტირელიგიური მუშაობა და ჩააბან მასში კომკავშირი და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა. საჭიროა აგრეთვე საგიტაციო და კულტურულ მუშაობის გაძლიერება ყოფა-ცხოვრების საკითხების გარშემო. უჯრედებმა და პარტკომებმა ყურადღებით უნდა შეისწავლონ პარტგანათლების შედეგები და მოამზადონ პირობები მისი გაუმჯობესებისათვის მომავალ წელში.

დაბოლოს შევჩერდეთ ჩვენი საგიტაციო-საპროპაგანდო და კულტურულ მუშაობის პოლიტიკური ხაზის საკითხზე. პარტიის ლოზუნგი კულტურული რევოლუციის შესახებ მოასწავებს მუშათა კლასის შეტევაზე გადასვლას კულტურულ - იდეოლოგიურ ფრონტზე. ამ პირობებში ჩვენი აგიტაციისა და კულტურული მუშაობის ძირითად ამოცანად უნდა გახდეს მასების კომუნისტური განათლების უზრუნველყოფა მათთვის კლასობრივი ბრძოლის კონკრეტიულ ფორმების ჩვენება, კლასობრივი მტრის სახის გამოაშკარავება, ვინაიდან ახ. ეკონომიური პოლიტიკის პირობებში „ჩვენ ყოველთვის გარკვევით ვერ ვარჩევთ ვინაა ჩვენი მტერი და მოყვარე“ (ლენინი) და ამ მტრის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა. ამაში მდგომარეობს აგიტაციისა და კულტურული მუშაობის კლასობრივი პოლიტიკური ხაზი.

[illegible]. გედია.

ცეკას მომართვის დამუშავება თბ. ორგანიზაციაში

ბიუჯეტის „დაცვის“ ნიმუში

(სახმედვაჭრობის უჯრედი, თბილისი)

სახმედვაჭრობის წარმოება-დაწესებულებათა კომუჯრედის უკანასკნელი ღია კრებაზე განხილულ იქნა საქ. კომპ. ცეკას მიმართვა პარტიის წევრებისა და მშრომელებისადმი. მომართვის გარჩევას დიდი ინტერესით მოეპყრენ მუშა-მოსამსახურეები. საკითხის ირგვლივ გაიმართა ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ორატორების საილიუსტრაციოდ მოყავდათ კონკრეტიული მაგალითები, ხაზს უსვამდენ თვითკრიტიკის მნიშვნელობა-საჭიროებას და მოითხოვდენ მის უზრუნველყოფას, კრებაზე შემოტანილი იყო წინადადება, რომ ცეკას მომართვა გამოიკრას თვალსაჩინო ადგილზე სახმედვაჭრობის ყველა წარმოება-დაწესებულებებში, რათა ამ გზით მუშა-მოსამსახურეების მასა უფრო ფართოდ გაეცნოს მას.

მეორე საკითხად კრებამ მოისმინა კომუჯრედის მიერ გამოყოფილი კომისიის მოხსენება აღნიშნულ კომისიას დავალებული ჰქონდა შეემოწმებია თუ რამდენად გაატარა სახმედვაჭრობამ დირექტივა ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების 20 პროც. შემცირების შესახებ. კომისიის მასალიდან აშკარად სჩანს, რომ 1927—28 წ. პირველ ნახევრის ხარჯები 26—27 წ. პირველ ნახევართან შედარებით ხარჯთაღრიცხვაში შემცირებულია. მაგრამ ხარჯთაღრიცხვა არაა დაცული. ამის მიზეზად კომისიის დასკვნაში აღნიშნულია, რომ გადაჭარბება გამოწვეული იყო აუცილებელი მოულოდნელი ხარჯებით.

თუ რა აუცილებლობას წარმოადგენდა ეს ხარჯები, ამაზედ გვიპასუხებს თვით კომისიის მასალა: პერსონალური ხელფასი კოლხელშეკრულებებში გაუთვალისწინებლად გადიდებულია 1,200 მან., თითო შტატის შესანახი ხარჯები გაზრდილია 6.000 მან., სამივლინებო ხარჯები—1.150 მან., კერძო, არა სპეციალისტ პირის ავტოს შეკეთებაში მიეცა 1.500 მან., 500 მანეთად შეძენილი ავტოს შეკეთებაზე დაიხარჯა 4.239 მან. და სხვა.

კომისიის მოხსენების ირგვლივ კამათში განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდენ როგორც პარტიული, ისე უპარტიო მუშები. კრებამ კომისიის მიერ გამომუშავებული ღონისძიებანი მოიწონა და საჭიროდ სცნო მათი დაუყოვნებლივ გატარება ცხოვრებაში.

კომბალი.

საქ. კომკავშირის ცეკას პლენუმი

მეოთხე სხდომა

გუშინ დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. **ნესტეროვის** მოხსენების გარშემო.

ილაპარაკეს ამხ. გიორგობიანმა, ხეჩუმოვმა და სხვ. კამათის შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. **ნესტეროვი**. მან მიუთითა, რომ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ორგანიზაციის შემდგომ ზრდის პროცესში ღარიბ და მოჯამაგირე ახალგაზრდობის მიღებას.

დღემდე არავითარი მუშაობა არ სწარმოებდა მოჯამაგირე ქალთა შორის, ეხლა საჭიროა მათ შორისაც ვაწარმოოთ მასიური ეკონომიური მუშაობა და ყოველმხრივ ვეცადოთ, რათა მოჯამაგირე ქალიშვილები ჩავაბათ კომკავშ. ამასთანავე უნდა სწარმოებდეს მუშაობა დიასახლის ქალთა შორისაც. ამ მხრივ ჩვენ გვაქვს ზოგიერთი მიღწევა. უკვე მოეწყო მეოჯახე ქალთა წრეები და სხვა.

ჩვენ ვსთქვით, რომ პარტბირთვი აბსოლიუტურად გაიზარდა, მაგრამ იგი ორგანიზაციის ზრდას მაინც ჩამორჩება. საჭიროა პარტბირთვის გაზრდის მიზნით პირველ რიგში გადავრიცხოთ 1906 წელში და ადრე დაბადებული ამხანაგები. ასეთები კი ჩვენს ორგანიზაციაში მრავალია. სოფლადაც პარტბირთვი უნდა იზრდებოდეს ღარიბ გლეხების და მოჯამაგირეთა ხარჯზე. ჩვენ უნდა დავამუშაოთ უახლოეს ხანებში სათანადო ასაკგადაცილებულთა შორის მუშაობის ფორმები.

მეხუთე სხდომა

საღამოს სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ საკიანის ინფორმაცია პურის დამზადების შესახებ.

პლენუმმა ინფორმაცია მიიღო ცნობად პარტიის ცეკას დადგენილება კი—სახელმძღვანელოდ და დაავალა პრეზიდიუმს დაგზავნოს ადგილებს (უმთავრესად იქ, სადაც მოჰყავთ პური) პრაქტიკული მითითებანი კომკავშირის მონაწილეობის შესახებ პურის დამზადების საქმეში.

ამხ. საკიანის ინფორმაციის შემდეგ პლენუმმა ისმინა ამხ. **ქარსანიძის** მოხსენება აჭარისტანის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ.

განვლილ პერიოდში—აღნიშნავს მომხსენებელი,—უმთავრესი ყურადღება ექცეოდა მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების შემოღებას. მიუხედავად მთელი რიგი თავისებური პირობებისა, რომელიც დიდ დაბრკოლებებს ქმნიან მუშაობისათვის, აჭარისტანის ორგანიზაციას მაინც აქვს თვალსაჩინო მიღწევანი.

ჩვენი უჯრედები გადავიდნენ შინაარსიან მუშაობაზე, ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას წარმოების და აპარატის რაციონალიზაციის საქმეში უჯრედები იმუშავებენ პრაქტიკული ხასიათის წინადადებებს, რომლებიც ტარდებიან ცხოვრებაში.

ზოგიერთი საწარმოო უჯრედები ცდილობენ მუშათა ახალგაზრდობის კვალიფიკაციის აწევას მაგ. აჯგერის უჯრედმა დაარსა „მხატვართა წრე“. ამ მუშაობას ხშირად ხელს უშლის ადმინისტრაციის გულგრილობა და დაუდევრობა. სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში კომკავშირი დიდ უნარს იჩენს, მთელ რიგ ადგილებში დაარსებულია კოლექტიური მეურნეობანი, არტელები და სხვ.

რაც შეეხება მუშათა ახალგაზრდობის დაწინაურებას უნდა ითქვას, რომ ჩვენი კომიტეტების შემადგენლობაში თითქმის სამოცი პროცენტი უკვე მუშებია.

მომხსენებელი შეეხო ორგანიზაციის ზრდის საკითხებს და სთქვა, რომ წინად არ იყო გამორკვეული თუ ვინ არის „ფუხარა“ და ვინ ბობოლა. დღეს ეს საკითხი მტკიცედაა განსაზღვრული.

1927 წ. იანვრიდან 1928 წ. მაისამდე ორგანიზაციაში მივიღეთ 1184 კაცი, ამათში უმრავლესობა მუშა და ღარიბი ახალგაზრდობაა. ორგანიზაციის პროლეტარული ბირთვი უკანასკნელ პერიოდში თვალსაჩინოდ გაიზარდა.

ამხ. ქარსანიძის მოხსენების შემდეგ თანამოხსენებით გამოდის ხულოს მაზრკომის მდივანი ამხ. **მეგრელიძე**.

ჩვენს მაზრაში მუშაობას ხელს უშლის კულტურული ჩამორჩენილობა—ამბობს ამხ. მეგრელიძე,—და ნაწილობრივ ანტი-საბჭოთა ელემენტების გავლენა. ჩვენ გადამწყვეტი ბრძოლა გვიხდება ყოველგვარ პროვოკაციულ ხმების გასაფანტავად.

ამას წინედ, როდესაც აჭარისტანის მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რომ მომავალში აჭარლებსაც გაიწვევენ წითელი არმიის რიგებში, ანტისაბჭოთა ელემენტები სოფლად ავრცელებდენ ათასგვარ პროვოკაციას.

სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში გვაქვს მიღწევები. ერთ სოფელში კომკავშირელებმა შეიძინეს რძის პროდუქტების დასამუშავებელი „სეპარატორი“. აქამდე კი რძის ნაწარმოები მუშავდებოდა პრიმიტიულ საშუალებებით. ამ მაგალითს უპარტიოებმაც მიბაძეს.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. **გოძიაშვილის** მოხსენება სიღნაღის სამაზრკომის მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი ეხება ორგანიზაციის საერთო მდგომარეობას, კულტურულ განმანათლებელ მუშაობას, სასოფლო მეურნეობის კოლექტიურ საფუძველზე გარდაქმნას და კომკავშირელთა მონაწილეობას კომუნებში, არტელებში და სასოფლო სამეურნეო კოლექტივების საქმიანობაში.

ფიზკულტურის დარგში მუშაობა მოისუსტებს ხელმძღვანელთა კადრის უქონლობის გამო, სადაც კი გვაქვს ფიზკულტურელთა წრეები მათი მატერიალური მდგომარეობა ძალზე ცუდია.

ამხ. გოძიაშვილის მოხსენების შემდეგ ველისციხის თემკომის მუშაობის შესახებ თანამოხსენებით გამოვიდა ამხ. **კაზარიანი**, რითაც დაიხურა საღამოს სხდომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულაკი თუ კოლექტიური მეურნეობა

ამხ. ი. იაკოვლევის მოხსენება კოლმეურნეობათა საკავშირო ყრილობაზე

წვრილი მეურნეობიდან მსხვილ მეურნეობაზე გადასვლისათვის არსებობს ორი გზა: ერთი--კულაკის საშუალებით, თუ ის დააგროვებს პროდუქციის ძირითად მასას, განავითარებს წარმოებას, გახდება ბატონ-პატრონი სოფლად, გახდება მიწად-მოქმედების ტეხნიკურ პროგრესის მატარებელი.--ეს შესაძლოა მრავალი მილიონი წვრილი გლეხური მეურნეობის გალატაკების საშუალებით.

არსებობს მეორე გზა წვრილი მეურნეობიდან მსხვილ მეურნეობაზე გადასვლისათვის. ეს არის საწარმოო კოოპერაციის განვითარების გზა, წვრილ და უწვრილეს გლეხურ მეურნეობათა საწარმოო გაერთიანების გზა, ეს არის არტელების და კომუნების განვითარების გზა, სოფლის სოციალისტურ ნიადაგზე განვითარების გზა.--ამ გზას უხსნის სოფელს საბჭოთა ხელისუფლება.

I. რას წარმოადგენს წვრილი გლეხმეურნეობა

არა მარტო ჩვენს ქვეყანაში რევოლუციამდე, არამედ ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში გლეხის მეურნეობა ყოველთვის ვითარდებოდა ისე, რომ მის ერთ მხარეზე იბადებოდა სოფლის კაპიტალისტ-კულაკების, სოფლის ბურჟუების მცირე ჯგუფები და მეორე მხარეზე წარმოიშობოდა გალატაკებულ, ცხოვრების უაღრესად ცუდ პირობებში მყოფ ღარიბთა უდიდესი მასები.

ასე მიდიოდა ყოველთვის სოფლის განვითარება და მას სხვაგვარად არ შეეძლია განვითარება კაპიტალიზმის დროს. მდიდარ მეურნეობათა უმნიშვნელო ჯგუფები არიან მთელი კაპიტალისტური პროგრესის მატარებელი ისინი ითვისებენ ახალ ტეხნიკას, ისინი იძენენ მანქანებს, ისინი არიან პროგრესის მატარებელი სასოფლო მეურნეობაში.

სოფლის ამგვარი განვითარება სწარმოებს ისეთი გზით, რომ სოფლის ყოველ გამდიდრებულ კაპიტალისტზე მოდის მრავალი ათეული გალატაკებული გლეხი, წვრილი, გარეგნულად დამოუკიდებელი მეურნეობა იქცევა კაპიტალისადმი, კერძოდ მევახშური კაპიტალისადმი სავსებით დამორჩილებულ მეურნეობად.

ასე ხდებოდა რუსეთში რევოლუციამდე. ასე ხდება ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში. და აი, ძირითადი საკითხი, რომელიც ეხლა ჩვენს წინაშე სდგას, ეს არის საკითხი იმის შესახებ, რომ ასე უნდა ხდებოდეს თუ არა და ასე მოხდება თუ არა ჩვენში—საბჭოთა ქვეყანაში.

როგორ მდგომარეობაშია ჩვენში წვრილი მეურნეობანი?

ყველასათვის ცნობილია,—ეს არა ერთხელ იქნა დამტკიცებული გლეხის მეურნეობის განვითარების შესახებ არსებული მასალების მიხედვით,—რომ ჩვენში, ღარიბ, უწვრილეს მეურნეობათა წილი კი არ იზრდება, არამედ ეცემა, თუმცა ძალიან ნელა.

მაგრამ ეს გარემოება არავითარ შემთხვევაში არ ამტკიცებს იმას, რომ მოხსნილ უნდა იქნას ღარიბ მეურნეობათა—უწვრილეს მეურნეობათა მდგომარეობის თავისებურების საკითხი და აგრეთვე საშუალო მეურნეობათა ძირითადი მასის საკითხი, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში აგრეთვე წვრილ მეურნეობებს წარმოადგენენ.

შეუძლებელია სისწორით იქნას დასახული კოლექტიურ მოძრაობის განვითარების გზა, თუ დაკვირვებით არ ჩაუფიქრდებით წვრილი მეურნეობის მდგომარეობას, და თუ ამასთანავე მის მდგომარეობას არ შევადარებთ მსხვილ-კულაკური მეურნეობის მდგომარეობას.

ჩვენს განკარგულებაში არსებული ცნობები ამტკიცებს, რომ **ფუთი რძის თვითღირებულება კულაკურ მეურნეობას ორჯელ ნაკლები უჯდება, ვიდრე ღარიბი გლეხის მეურნეობას.**

ძროხა თითქმის ერთი და იგივე უნდა იყოს ყოველგვარი სახის მეურნეობაში. მაგრამ ცნობები ამტკიცებს, რომ რაც წვრილია მეურნეობა, მით უფრო ნაკლები რაოდენობით იძლევა რძეს ძროხა და პირიქით, რაც მსხვილია მეურნეობა, მით უფრო მეტი რაოდენობით იძლევა რძეს ძროხა. **მსხვილ მეურნეობაში ძროხა 1 ნახ. —2 ჯერ მეტ რძეს იძლევა, ვიდრე ღარიბი გლეხის მეურნეობაში.**

როცა კულაკის მეურნეობას ვადარებთ ღარიბი და საშუალო გლეხის მეურნეობას, ჩვენ ვხედავთ, რომ კულაკი ძროხისაგან მეტ რძეს იღებს და რძის თვითღირებულებაც ნაკლები უჯდება.

ეს კულაკი შეიძლება მოვიდეს ჩვენთან და გვითხრას: „რატომ არ მაძლევთ მე იმ უფლებას და იმ შესაძლებლობას, რომელსაც მაძლევს კაპიტალისტი? ჩემ მიერ დამზადებული რძის თვითღირებულება ხომ გაცილებით ნაკლები ჯდება, ვიდრე ღარიბისა და საშუალო გლეხისა?“.

ამასთანავე კულაკი, რასაკვირველია, კრინტსაც კი არ დასძრავს იმაზე, რომ იგი ამ წარმატებას აღწევს სხვების გალატაკებით, აუარებელი წვრილი და უწვრილესი მეურნეობის გაძარცვით, ღარიბთა დაუნდობელი ექსპლოატაციით.

ავიღოთ სელის მოსავალი პსკოვის გუბერნიაში. სელის მოსავალი კულაკის მეურნეობაში 1 ნახ.-ჯერ აღემატება სელის მოსავალს ღარიბთა მეურნეობაში. ამასთანავე სელის თვითღირებულება მსხვილ მეურნეობას უფრო ნაკლები უჯდება, ვიდრე წვრილ მეურნეობას.

ყველაზე უფრო ძვირად სელი უჯდება წვრილ მეურნეობას, რომელსაც არ აქვს საკმაო საწარმოო საშუალებანი, რომელსაც ნათესის უმნიშვნელო სივრცე აქვს. კულაკს კი, რომელსაც აქვს საკმაო საწარმოო საშუალებანი, ნათესის მეტი სივრცე, სელის თვითღირებულება უჯდება 1 ნახ.-ჯერ ნაკლები.

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ კულაკი ერთი დესეტინა სელიდან იღებს თითქმის ორჯერ მეტ შემოსავალს, ვიდრე წვრილი მეურნე. ვინაიდან კულაკს ნაკლები უჯდება ფუთი სელის თვითღირებულება, ვიდრე ღარიბ გლეხს, ვინაიდან ის უფრო მეტ მოსავალს იღებს, ვიდრე ღარიბი გლეხი, ხოლო ფუთ სელში იგი იმდენივეს იღებს რამდენსაც დანარჩენი გლეხები (სახელმწიფო და კოოპერაცია ყველას ერთნაირ ფასებს აძლევს), ამიტომ ეს მდიდარი გლეხი ყოველი დესეტინიდან გაცილებით მეტ შემოსავალს იღებს, ვიდრე სხვები.

რატომ ხდება ასე?

ავიღოთ საწარმოო საშუალებათა ღირებულება ერთ დესეტინაზე. მსხვილ მეურნეობებს თითო დესეტინა მიწაზე ორჯერ მეტი საწარმოო საშუალებანი აქვთ, ვიდრე წვრილ მეურნეობებს; მსხვილ მეურნეობებს აქვთ მიწის მეტი სივრცე და უკეთესად მოწყობილი მეურნეობა.

ყოველივე ამის გამო კულაკი ყოველი დესეტინა სელიდან 2-ჯერ მეტ შემოსავალს იღებს, ვიდრე ღარიბი გლეხი ,თუმცა ღარიბი იმავე დესეტინის დამუშავებას გაცილებით მეტ დროს ანდომებს, ვიდრე კულაკი. აი, ამხანაგებო, ამაზე უნდა ჩავფიქრდეთ. ჭვავისა და ხორბალის მოსავლის დარგში იგივე სურათი გვაქვს.

ყველა ეს ცნობები ამტკიცებს, რომ **არ არის სასარგებლო წვრილი მეურნეობანი. წვრილ მეურნეობაში გლეხები ჭაპანწყვეტით ეწევიან მუშაობას, ხარჯავენ უდიდეს შრომას, წელებზე ფეხს იდგამენ, მუშაობენ ხშირად 16—18 საათი და მასთანავე მათთვის არ არსებობს ნორმალური კვება.**

რა შეუძლია წვრილ მეურნეობას დაუპირდაპიროს მსხვილ მეურნეობას, გარდა თავისი ფიზიკური ძალების უაღრესად დაძაბვისა და თავისი საარსებო დონის მაქსიმალურად შემცირებისა?

ჩემ მიერ მოყვანილი ცნობები გვიჩვენებს, რომ წვრილი მეურნეობიდან წარმოიშობა კაპიტალიზმი, თუ ყველა ბერკეტები, რომლებიც აქვს საბჭოთა სახელმწიფოს, ყველა ძალები, რომლებსაც გვაძლევს ღარიბ და საშუალო მეურნეობათა შეკავშირება, არ იქნა გამოყენებული იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ისეთი განვითარების გზა, რომლის დროსაც კულაკი იქნება მიწათმოქმედების პროგრესის მატარებელი. მე ვფიქრობ, რომ ყოველი თქვენთაგანი დამეთანხმება ამაში.

II. კულაკი თუ კომუნა?

სოფლის კაპიტალიზმის ეს განვითარების გზა, რომელიც ძირითად საწარმოო საშუალებებს აგროვებს უმნიშვნელო უმცირესობის ხელში, ხოლო გლეხობის ძირითად მასებს აგდებს სილატაკის, ბარბაროსობის და სიღარიბის უფსკრულში, ეს არ არის ჩვენი განვითარების გზა.

საკითხი, რომელიც ამჟამად ჩვენს წინაშე სდგას, ეს არის საკითხი იმის შესახებ, რომ გვაქვს თუ არა ჩვენ თვით საბჭოთა სახელმწიფოს სისტემაში საკმაო ძალები და შესაძლებლობანი იმისათვის, რომ ავიშოროთ განვითარების ეს ტიპი და კაპიტალისტური განვითარების გზას დაუპირდაპიროთ სოფლის განვითარების სხვაგვარი ტიპი.

აქ მხოლოდ რწმენით ვერ დაამტკიცებს ამას. აქ საკმაო არ არის სთქვა: მე მწამს, რომ ჩვენს სოფელს შეუძლია განვითარდეს ახალი გზით, მე მწამს, რომ ჩვენს სოფელს შეუძლია მთელს მსოფლიოს უჩვენოს განვითარების ახალი გზა. მხოლოდ ეს არ არის საკმარისი.

აქ საჭიროა ნამდვილი კრიტიკული შეფასება, ნამდვილი ცოდნა იმისა, რაც ხდება საბჭოთა სოფელში.

კერძოდ, ყოველ თქვენთაგანს აქვს უფლება დასვას ამგვარი საკითხი: **მართლაც გვიჩვენა თუ არა განვლილმა წლებმა, რომ ჩვენ გვაქვს სრული შესაძლებლობა კაპიტალისტური განვითარების გზას დაუპირდაპიროთ სოფლის განვითარების სხვაგვარი გზა—სოციალისტური გზა?**

რასაკვირველია, პასუხი ამ კითხვაზე არ შეიძლება მეტად მარტივი იყოს. თქვენ, ცხადია, დამაკმაყოფილებლად არ სცნობთ ჩემს პასუხს, თუ მე დავადასტურებ ჩვენ მიერ არა ერთხელ დამტკიცებულ ფაქტს სოფლად კაპიტალიზმის ნელი ტემპით განვითარების შესახებ, თუ მე თქვენ ერთხელ კიდევ დაგიმტკიცებთ იმ ფაქტს, რომ ჩვენში საშუალო გლეხი კი არ ისპობა, არამედ პირიქით, საშუალო გლეხის ხვედრითი წონა იზრდება საშუალო გლეხის დონემდე მისული ღარიბი გლეხების ხარჯზე.

თქვენთვის რომ ასეთი პასუხი გამეცა, თქვენ უფლება გექნებოდათ გეთქვათ, რომ კულაკების უფრო ნელი ტემპით განვითარება ჩვენში ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანასთან შედარებით ჯერ კიდევ არ ამტკიცებს იმას, რომ ჩვენ გვაქვს საშუალება მართლაც ავიცილოთ თავიდან ჩვენი სოფლის კაპიტალისტური განვითარების ტიპი.

ჩვენ არ შეგვიძლია ვსთქვათ აგრეთვე ,რომ შესაძლოა არ დაუშვათ კაპიტალისტების არსებობა სოფლად და ამ გზით გადავსწყვიტოთ ჩვენს წინაშე მდგომი სოფლის სოციალისტური განვითარების ამოცანა. ეს იქნებოდა საკითხის მეტად მარტივად გადაწყვეტა და ამასთანავე ნაკლებ საფუძვლიანი.

3—4 პროცენტი კულაკის დახჩობა—ეს შედარებით მარტივი ამოცანაა. **თუ სოფლის 90 პროც. დაეტაკება კულაკების 3—5 პროც. მათი სრული განადგურების მიზნით, ყოველი თქვენთაგანი თავისი საკუთარი გამოცდილების ნიადაგზე დამეთანხმება იმაში, რომ ამ კულაკებისაგან მოგონების მეტი თითქმის არაფერი დარჩება. მაგრამ ამ შედარებით მარტივი საშუალებით ჩვენ მოვსპობდით კაპიტალიზმის წყაროს ჩვენს სოფელში.**

ჩვენ ეხლა, რასაკვირველია, ვავიწროებთ კულაკს, და ძალიანაც ვავიწროებთ. როცა ამ წელში კულაკი შეეცადა შემოეტია ჩვენთვის, ჩვენ ვუპასუხეთ ისეთი კონტრშეტევით, რომ მათ ეს ალბად ძალიან კარგად დაამახსოვრდებათ. მათ დაინახეს, რომ არ დაჟანგებულა პროლეტარიატის დიქტატურის იარაღი (მრავალი ხმები: მართალია!).

მომავალ წელში ჩვენ განვავითარებთ შეტევას კულაკის წინააღმდეგ. კერძოდ მას საგრძნობლად შეავიწროებს ახალი სასოფლო სამეურნეო გადასახადი.

მაგრამ კიდევ ვიმეორებ, რომ მხოლოდ ეს არ სწყვეტს ამოცანას.

დავუშვათ, რომ მოვსპეთ სოფლის კაპიტალისტები და ამასთანავე წვრილი და უწვრილესი გლეხური მეურნეობა დავსტოვეთ ეხლანდელ მდგომარეობაში. ჩვენ დაგვრჩება წვრილი მეურნეობანი, არახელსაყრელი მეურნეობანი, რომლებშიაც ხალხი წელში სწყდება აუტანელი შრომით, და მათი ცხოვრების დონე აღწევს თითქმის პირუტყვის ცხოვრების დონემდე, და ამასთანავე ეს მეურნეობანი მათ აძლევს არაჩვეულებრივად ძვირ და არაჩვეულებრივად ცუდი ხარისხის პროდუქტს.

ეს გზა არ შეიძლება იყოს ჩვენი განვითარების გზა. ჩვენ არ შეგვიძლია ერთი ხელის დაკვრით მოვსპოთ კულაკი და ამით დავკმაყოფილდეთ. ჩვენ რომ ამ გზით წავიდეთ, ბოლოსდაბოლოს წვრილი მეურნეობებიდან კვლავ წარმოიშობა კულაკური, კაპიტალისტური მეურნეობანი და ისევ შემოგვიტევს კულაკი. მართალია თუ არა ეს? (მრავალი ხმები: მართალია!).

ჩვენი გზა

აი, აქ სდგება ჩვენს წინაშე ძირითადი საკითხი **თუ ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ განვითარების ასეთ გზას სოფლად, რომლის დროსაც კაპიტალისტების უმნიშვნელო რაოდენობა კისრულობს პროგრესის საქმეს მიწათმოქმედებაში დანარჩენი მრავალი მილიონი გლეხების გალატაკების ხარჯზე, თუ ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ განვითარების ისეთი გზითაც, რომლის დროსაც ერთად ერთი ბატონ-პატრონი სოფლად იქნება არამწარმოებელი, ღატაკი, წვრილი და უწვრილესი მეურნეობა, მაშინ ჩვენ გვრჩება მესამე და ერთად ერთი შესაძლებელი გზა.—ჩვენი წვრილი მეურნეობების გადიდება საწარმოო კოოპერაციაში შეკავშირების საშუალებით.**

რეალურია თუ არა ეს გზა? გვაქვს თუ არა ისეთი ცნობები, რომლებიც გვიმტკიცებს, რომ არტელებს და კომუნებს კოლექტიური შეკავშირების საშუალებით შეუძლიათ გაუწიონ კონკურენცია კულაკს?

მე ვფიქრობ, რომ ყოველ თქვენთაგანს ამ გამოცდილების შესწავლის ნიადაგზე შეუძლია სთქვას: განვლილმა წლებმა გვიჩვენა, რომ არტელებისა, კომუნებისა და კოლექტიური მოძრაობის სახით ჩვენ გვყავს კულაკის ისეთი მეტოქე, კონკურენტი, რომელიც გლეხის მეურნეობის განვითარების ახალ გზას გვიხსნის.

შევადაროთ ღარიბი, საშუალო გლეხები, კულაკები და კოლექტიური მეურნეობანი. თქვენ ნუ გეწყინებათ, რომ აქ კულაკებს გადარებთ (სიცილი). უმთავრესი საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ მეურნეობის კულტურის დონით, წარმოების ორგანიზაციის ხასიათით, მეურნეობის სარგებლიანობის მიხედვით იდგეთ კულაკზე მაღლა. ამაში მდგომარეობს ჩვენი ძირითადი ამოცანა. ამიტომ საწყენი არ უნდა იყოს თქვენი შედარება კულაკთან, და საწყენი არ უნდა იყოს აგრეთვე იმის აღიარება, რომ კულაკი ზოგიერთ ადგილას ჯერ ჯერობით კოლექტიურ მეურნეობებზე უკეთესად მუშაობს, თუმცა საერთოდ და მთლიანად ყველა ჩვენს განკარგულებაში მყოფი ცნობები ამტკიცებს, რომ კოლმეურნეობათა სახით, **კომუნების სახით კულაკს უკვე ეხლავე ჰყავს ყველაზე ძლიერი და მისთვის ყველაზე უფრო საშიში კონკურენტი.**

ავიღოთ 1925—26 წლის მოსავალი უკრაინის მინდვრიან რაიონში.

თუ შევადარებთ საშემოდგომო ხორბალის, საგაზაფხულო ხორბალის და მზესუმზირას მოსავალს სხვადასხვა მეურნეობებში: წვრილ მეურნეობაში (რომელშიც საერთო პროდუქცია უდრის 1.000 მანეთამდე), საშუალო მეურნეობაში (საერთო პროდუქცია—2.500 მანეთამდე), მსხვილ მეურნეობაში (საერთო პროდუქცია—2.500 მან. ზევით) და კოლმეურნეობებში, ჩვენ მივიღებთ შემდეგ სურათს.

საშემოდგომო ხორბალის მოსავალს კოლექტიური მეურნეობანი უფრო მეტს იღებენ, ვიდრე გლეხის მეურნეობის ყველა ჯგუფები. კოლექტიურ მეურნეობათა ეს მოსავალი აღემატება არა მარტო ღარიბთა მეურნეობების უმნიშვნელო დონეს, არამედ მსხვილი მეურნეობების მოსავლის დონესაც.

საინტერესო მდგომარეობაა საგაზაფხულო ხორბალის მოსავლის დარგში. მეურნეობები, რომელთა საერთო პროდუქცია უდრის 1.000 მანეთს,—თითო დესეტინაზე იღებენ 34 ფუთ მოსავალს, საშუალო მეურნეობის მოსავალი დესეტინაზე შეადგენს 40 ფუთს, მდიდარი მეურნეობების მოსავალი კი უდრის 56 ფუთს, ხოლო კოლექტიურ მეურნეობათა მოსავალი უდრის 50,4 ფუთს, რაც აღემატება საშუალო გლეხის მოსავალს, მაგრამ ვერ აღწევს კულაკის მოსავლის დონემდე.

ხმა.—სამაგიეროდ საშემოდგომო ნათესების მოსავალი მეტი აქვთ კოლმეურნეობებს!

იაკოვლევი—ეს არ მიმაჩნია საკმაო სერიოზულ განმარტებად.

ხმა.—აქ ჯერ კიდევ მიწათმოწყობა არ არის გატარებული!

იაკოვლევი—აი, ხედავთ, აქ უკვე ცდილობენ მოძებნონ გამამართლებელი საბუთი (სიცილი).

მე ვფიქრობ, რომ აქ საქმე იმაში კი არ არის, რომ გამამართლებელი საბუთი მოვიყვანოთ, არამედ იმაში, რომ გვახსოვდეს შემდეგი: საშემოდგომო ხორბალის მოსავლის მხრივ ჩვენ ვაჯობეთ არა მარტო წვრილ მეურნეობებს, არამედ კულაკურ მეურნეობებსაც, ხოლო საგაზაფხულო ხორბალის მოსავლის მხრივ ვაჯობეთ წვრილ და საშუალო მეურნეობებს, მაგრამ ვერ მივაღწიეთ კულაკური მეურნეობის დონემდე.

ავიღოთ მზესუმზირა, ცოტად თუ ბევრად ახალი კულტურაა. აქ ჩვენი კოლმეურნეობანი ღრმა ორმოში არიან ჩაფლული. მზესუმზირას მოსავალი ასეთია: წვრილი მეურნეობა—27 ფუთი, საშუალო მეურნეობა—44 ფუთი, მსხვილი (კულაკური) მეურნეობა—78 ფუთი, კოლმეურნეობანი კი მხოლოდ—37,6 ფუთი. საშუალო მეურნეობის მოსავლის დონემდეც კი ვერ აღწევს. (ხმები: „მივაღწევთ! კოლმეურნეობის მოსავალი სულ იზრდება!“). ეს, რასაკვირველია, კარგია, რომ სულ იზრდება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ 1925—26 წელში ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ გაიზარდა,—ეს კარგად უნდა დავიმახსოვროთ.

სწორია თუ არა, რომ ჩვენ ასეთ შედარებას ვახდენთ? (ხმები: „სწორია!“) დიახ, სწორია, წინააღმდეგ შემთხვევაში შედარება არ შეიძლება. კოლმეურნეობათა წარმატებანი ჩვენ უნდა გავზომოთ არა საშუალო მეურნეობის, და მით უფრო წვრილი მეურნეობის მოსავლის დონის მიხედვით, რომელიც, როგორც ჩვენ დავინახეთ, არის უაღრესად არახელსაყრელი მეურნეობა; კოლმეურნეობათა წარმატებანი უნდა გავზომოთ ჩვენს სოფელში კაპიტალისტური განვითარების უაღრესი მიღწევების მიხედვით.

ეს ჯერ ჯერობით. უახლოეს წლებში კი კოლმეურნეობათა წარმატებანი უნდა გავზომოთ სხვა, უფრო დიდი საზომით, ევროპისა და ამერიკის კაპიტალისტური მეურნეობების საზომით. (ტაში).

და თუ ჩვენ ასეთ შედარებას გაუძლებთ, და კულაკს აქაც ვაჯობებთ, მაშინ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს უფლება ექნებათ სთქვან: სოფლის განვითარების კულაკურ ტიპს უპირდაპირდება ისტორიაში არნახული, გაუგონარი განვითარებისა და პროგრესის გზა, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ საუკეთესო ხარისხის მოსავალი, საუკეთესო ხარისხის ნედლეული, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ახალი მასა მიღებულ იქნას არა კაპიტალიზმის, არამედ სოციალიზმის საშუალებით.

ეხლა მოვიყვან ცნობებს უკრაინის პრაქტიკიდან, რამდენადაც უკრაინის საბიუჯეტო ცნობები, ჯერ ჯერობით საბჭოთა კავშირში არის ერთად ერთი, რომლებიც ცოტად თუ ბევრად სისტემატიურადაა დამუშავებული.

ამ ცნობების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია გავითვალისწინოთ წვრილი, საშუალო, მსხვილი მეურნეობის და კოლმეურნეობის საერთო მოსავალი ერთ დესეტინა ნათესზე.

აქ ჩვენ ასეთი სურათი გვაქვს: კოლმეურნეობა 1 ნახ.-ჯერ მეტ მოსავალს იღებს დესეტინაზე, ვიდრე წვრილი მეურნეობა, მაგრამ კოლმეურნეობის მოსავლის დონე ვერ აღწევს არა მარტო კულაკის, არამედ საშუალო მეურნეობის მოსავლის დონემდე.

ხმა.—ციფრები სწორი არ არის.

იაკოვლევი.—სავსებით სწორი ციფრებია. არ შეიძლება, ამხანაგებო, ასეთი მიდგომა, რომ თუ ციფრები ლაპარაკობს კოლმეურნეობათა ნაკლოვანებებზე, მაშასადამე, ისინი სწორი არ არის (სიცილი).

ამგვარად ჩვენ შევადაროთ რამდენი სამუშაო დღე იხარჯება ერთ დესეტინა ნათესზე.

უკრაინის იმავე მინდვრიან რაიონში საშემოდგომო ნათესის 1 დესეტინაზე წვრილი მეურნეობა ხარჯავს 13,3 სამუშაო დღეს, საშუალო—12,4, კულაკური მეურნეობა—11,8 და კოლმეურნეობა—11,8 დღეს.

ეს უკვე პროგრესია, ეს იმას ნიშნავს, რომ მუშაობის დაყენების მხრივ კოლმეურნეობანი კონკურენციას უწევენ კულაკს, ხოლო საგაზაფხულო ხორბალის და ქერის მოყვანისათვის დახარჯული შრომის მხრივ ჯობნიან კიდეც მას.

საგაზაფხულო ხორბლის ნათესის 1 დესეტინაზე წვრილი მეურნეობა ხარჯავს—15 სამუშაო დღეს, საშუალო—12 ნახ. დღეს, მდიდარი მეურნეობანი—11 ნახ. დღეს, ხოლო კოლმეურნეობანი—10,7 დღეს.

ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია. თუ სამხრეთ უკრაინაში კოლმეურნეობამ საქმე დააყენა ისე, რომ 1 დესეტინა ნათესზე ხარჯავს ნაკლებ სამუშაო დღეებს, ვიდრე კულაკი, ეს იმას ნიშნავს, რომ კოლმეურნეობა თავის წარმოების ორგანიზაციით სჯობნის კულაკს.

ეხლა ავიღოთ ქერი. აქ სურათი კიდევ უფრო ნათელია. ხორბალის ნათესის ერთ დესეტინაზე ღარიბი მეურნეობანი ხარჯავენ 16,7 სამუშაო დღეს, საშუალო—12,2 დღეს, მდიდარი—11,3 და კოლმეურნეობანი—7,8 სამუშაო დღეს. აქ, როგორც ხედავთ, კოლმეურნეობამ თავისი მეურნეობის საქმე გაცილებით უკეთესად დააყენა, ვიდრე კულაკმა.

ვის სასარგებლოდ მუშაობს დრო?

გარდა ამისა, ჩვენ მოვიყვანოთ კიდევ ერთი შედარება. ჩვენ ავიღოთ კოლმეურნეობანი, რომლებიც შექმნილია 1921 წლამდე, შემდეგ —1923 წლამდე, დაბოლოს 1924 წლამდე და შევადაროთ მათი საერთო პროდუქცია 1 სამუშაო დღეზე და მჭამელზე.

ცნობები ამ კოლმეურნეობათა შესახებ ამტკიცებს, თუ ვის სასარგებლოდ მუშაობს დრო. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ დრო სწორედ ჩვენს სასარგებლოდ მუშაობს! 5—8 წლის წინედ შექმნილი კოლმეურნეობანი 2-ჯერ მეტ პროდუქციას იძლევიან მჭამელზე, ვიდრე ახალი მეურნეობანი.

ამ ცნობებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ რაც უფრო დიდი ხნისაა კოლმეურნეობა, მით უფრო მეტ ნაყოფიერებას იძლევა, მით უფრო ნაკლებ სამუშაო დღეს ხარჯავს იგი. ეს ცნობები განსაკუთრებით საყურადღებო და სამაგალითოა ახალი კოლმეურნეობებისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ გაზაფხულზე შექმნილ კოლმეურნეობებს შეუძლიათ სთქვან: ჩვენ პირველად არ გვექნება საგრძნობი წარმატებანი, მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ როგორ ვითარდებოდნენ წინედ შექმნილი კოლმეურნეობანი. ჩვენ ვიცით, რომ რაც უფრო დიდი ხნისაა კოლმეურნეობა, მით უფრო მეტ წარმატებებს აღწევს. ეს იმას ნიშნავს, რომ ახლად შექმნილი კოლმეურნეობა უნდა ელოდეს უეჭველ წარმატებებს.

როგორ არის კულაკის საქმე? დრო ყოველთვის არ მუშაობს კულაკის სასარგებლოდ. ამ წელმა განსაკუთრებით ნათლად გვიჩვენა, რომ დრო საბჭოთა ქვეყანაში კულაკის საზიანოთ მუშაობს. **თუ ამას მივიღებთ მხედველობაში და ჩაუფიქრდებით ჩემ მიერ მოყვანილ იმ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ 5—6—8 წლის წინედ შექმნილი კოლმეურნეობანი 2-ჯერ მეტ პროდუქციას იძლევა მჭამელზე, ვიდრე ახალი მეურნეობანი—ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გვაქვს კოლმეურნეობათა მოძრაობის ცხოველმყოფელობის დამამტკიცებელი საუკეთესო, სავსებით უდაო საბუთი.**

კოლმეურნეობათა მიღწევების საერთო შედეგები

კოლმეურნეობათა უმეტეს ნაწილში, დაახლოებით 58 პროც., ცენტრ. სტატისტიკური სამმართველოს ცნობებით, 1926 წლის განმავლობაში უკვე შემოღებულ იქნა მრავალმინდვრიანი სისტემა. ამასთანავე კომუნებში ასეთი მეურნეობების რიცხვმა მიაღწია სამ მეოთხედამდე, ხოლო არტელებში ნახევრამდე და ამხანაგობებში ნახევრამდეც ვერ მიაღწია.

ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს ცნობებით, **საერთო შემოსავალი ერთ სულზე კოლექტივებში უფრო მეტია, ვიდრე საშუალო გლეხურ მეურნეობაში.**

ინვენტარის გამოყენების შესახებ მე არ შემიძლია არ მოვიყვანო ტაგანროგის ოლქის ცნობები, რომლებსაც უნდა ჩაუფიქრდეს ყოველი ინდივიდუალური მეურნე.

ავიღოთ ცნობები თუნდაც იმის შესახებ თუ რამდენი ჰექტარი ნახნავი მოდის ერთ თარაღზე ამ ოლქის ინდივიდუალურ მეურნეობაში და კოლექტივებში.

ავიღოთ გუთანი. 1 გუთანი გლეხის ინდივიდუალურ მეურნეობაში მოდის 11 ჰექტარზე, ხოლო კოლმეურნეობაში მოდის 9[illegible] ჰექტარზე. ერთი მთესავი მანქანა გლეხის ინდივიდუალურ მეურნეობაში მოდის 10 დესეტინაზე, კოლექტიურ მეურნეობაში 60 დესეტინაზე და სხვ.

რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ ინვენტარის იმავე რაოდენობით, რომლითაც გლეხი ძლივს უძლევება სამუშაოს, ვინაიდან ეს ინვენტარი შეუძლებელია მიზანშეწონილად იქნას გამოყენებული მიწის ცალკე ნაჭრებზე, მსხვილ კოლექტიურ მეურნეობაში შეიძლება მიღებულ იქნას მრავალჯერ მეტი შედეგები. ეს დასკვნა გამოგონილი არ არის, ის ემყარება ერთ-ერთი აგრონომის მიერ ჩაწერილ ცნობებს.

მე მინდა კიდევ მოვიყვანო ზოგიერთი ცნობები, რომლებიც გვიჩვენებს, რომ ეს საერთო დახასიათება მტკიცდება მისი შემოწმებით ცალკე მაგალითებზე. მე მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს, ამასთანავე ვეცდები, რომ ავიღო ისეთი კომუნები, რომლებმაც პრემიები მიიღეს კონკურსებზე. ე. ი. საუკეთესო კომუნები.

ჩვენ მრავალი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ ცუდად არის დაყენებული საქმე ზოგიერთ კოლმეურნეობებში. მაგრამ ეხლა ეს საჭირო არ არის, როცა ჩვენ გვინდა შევამოწმოთ კოლმეურნეობათა სასიცოცხლო ძალა, ჩვენ უნდა ავიღოთ კოლმეურნეობის საუკეთესო მიღწევანი, რამდენადაც ეს მიღწევანი გვიჩვენებს იმ შესაძლებლობებს, რომლებიც ყოველი კოლმეურნეობის წინაშე იშლება საქმის კარგად დაყენების დროს.

ავიღოთ ყველასათვის ცნობილი ქსავეროვის კომუნა ვოლინის ოლქში (უკრაინა). აქ მთელ რიგ დარგებში მიღწეულ იქნა ძალიან სერიოზული შედეგები. ძროხა ამ კომუნაში იძლევა 220 ფუთ რძეს წელიწადში. ძროხები ყველანი ერთი ჯიშისაა, სისუქნე ერთი და იგივეა. ერთ-ერთი ძროხა იძლევა 280 ფუთ რძეს წელიწადში. ამავე კომუნამ, რომელსაც ჰყავდა მხოლოდ 56 ძროხა, 20—30 ვერსის მანძილზე მოახერხა საგრილებელი პუნქტების და სარძეო განყოფილებათა გახსნა. ამ კომუნას ჰყავს თავისი კონტროლიორ-ასისტენტები, ჯიშის დამამზადებლები, ტრაქტორისტები და სხ. **დეე კულაკმა იცოდეს, რომ ვერ შესძლებს სოფელში გაბატონებას!** (ტაში).

ავიღოთ მეორე კომუნა—„მოლოტი“ ციმბირში.

ამ კომუნას დიდი მიღწევები აქვს მის მახლობლად მდებარე სოფლებთან შედარებით. ეს მტკიცდება, როგორც ხორბლეულის მოსავლის, ისე მატყლის, რძის და სხვა პროდუქტების მიღების მხრივ. **რაც უფრო ახლოა სოფელი კომუნასთან, მით უფრო მეტი შემოსავალი აქვს. ეს, ადგილობრივი აგრონომის ცნობებით, აიხსნება კოლმეურნეობის გავლენით.** და ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ ჩვენ წარმატებით შეგვიძლია დავიპყროთ უძნელესი გამოცდა.

მესამე მაგალითი—კომუნა „კომუნისტიჩესკი მაიაკ“ თერგის ოლქში. აქ ჩვენ გვაქვს სამი წლის ცნობები და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

1925 წელში ხორბალის მოსავალი დესეტინაზე კომუნაში უდრიდა 117 ფუთს, გლეხის მეურნეობაში—80 ფუთს; 1926 წელში ეს მოსავალი კომუნაში უდრიდა 92 ფუთს, გლეხის მეურნეობაში—75 ფუთს, 1927 წელში ხორბალის მოსავალი კომუნაში უდრიდა—100 ფ., გლეხის მეურნეობაში 25 ფუთს.

რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ კომუნა ყოველ წლობით არა მარტო მეტ შემოსავალს იძლეოდა, ვიდრე ინდივიდუალური მეურნეობა; კომუნამ მიაღწია აგრეთვე იმას, რომ მისი მოსავალი უფრო მტკიცეა და მკვიდრი მაშინ, როდესაც გლეხის მოსავლის რაოდენობა ძალიან მერყეობს—80-დან 25 ფუთამდე. კომუნაში მერყეობის მაქსიმუმი შეადგენს 117-დან 92 ფუთამდე, ე. ი. კომუნა არა მარტო მეტ მოსავალს იძლევა, არამედ ეს მოსავალი უფრო მკვიდრი და მტკიცე ხდება ყოველწლობით.

სხვა კულტურების დარგშიაც ჩვენ იგივე მდგომარეობა გვაქვს. ჩვენ დამშვიდებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ კოლმეურნეობანი ასეთი წარმატებების მეოხებით შეიძლება გახდნენ და ზოგ ადგილას კიდეც გახდნენ რაიონის დასაყრდენ პუნქტებად ყოველგვარ კულტურულ საქმიანობაში.

ამის ცოცხალ მაგალითს წარმოადგენს ზემოხსენებული კომუნა და მრავალი სხვა კომუნები. ეს კომუნა ავრცელებს თესლებს, გლეხები კომუნაში მიდიან თესლის, ქათმების, იხვების შესაძენად; თესვის დროსაც იქ მიდიან თესლის გასაწმენდად და სხ. რასაკვირველია, ამ კომუნას აქვს ნაკლოვანებანიც, მაგრამ ჩვენ ეხლა ამაზე არ ვლაპარაკობთ.

ცხოვრების მიერ შემოწმებული დასკვნა

ამგვარად, ჩვენ მოვახდინეთ კოლმეურნეობათა მკაცრი და ობიექტიური შედარება გლეხის მეურნეობასთან. ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ წვრილ მეურნეობას, როგორც ასეთს, არ შეუძლია გლეხს მისცეს ცოტად თუ ბევრად ნორმალური ცხოვრების პირობები, და არ შეუძლია ქალაქს მისცეს საჭირო პური, ტეხნიკური კულტურები, პური და სხ. **წვრილი მეურნეობა გამღატაკებელია თვით წვრილი მეურნეობისათვის.**

წვრილი მეურნეობიდან მსხვილ მეურნეობაზე გადასვლისათვის არსებობს ორი გზა, ერთი—კულაკის საშუალებით, თუ ის დააგროვებს პროდუქციის ძირითად მასას, განავითარებს წარმოებას, გახდება ბატონ-პატრონი სოფლად, გახდება მიწადმოქმედების ტეხნიკური პროგრესის მატარებელი; ეს შესაძლებელია მიღწეულ იქნას მრავალი მილიონი წვრილი გლეხური მეურნეობის გალატაკების საშუალებით.

არსებობს მეორე გზა წვრილი მეურნეობიდან მსხვილ მეურნეობაზე გადასვლისათვის. ეს არის საწარმოო კოოპერაციის განვითარების გზა, წვრილი და უწვრილესი გლეხური მეურნეობების საწარმოო გაერთიანების გზა, ეს არის არტელების და კომუნების განვითარების გზა, სოფლის სოციალისტურ ნიადაგზე განვითარების გზა.

ამ გზას უხსნის სოფელს საბჭოთა ხელისუფლება.

ეს შესაძლო ხდება საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით, ქალაქის კაპიტალისტების მოსპობის მეოხებით, იმ გადამჭრელი იერიშების მეოხებით, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებას მიაქვს მევახშეობის წინააღმდეგ, მიწის ნაციონალიზაციის მეოხებით, წვრილ და უწვრილეს გლეხურ მეურნეობათა კოოპერაციაში შეკავშირების მეოხებით, რასაც ხელს უწყობს საბჭოთა ხელისუფლება.

ამ გზის ცხოველმყოფელობა არა ერთხელ იქნა შემოწმებული ამ წლების განმავლობაში. **უმკაცრეს შემოწმებას წარმოადგენდა სამოქალაქო ომის წლები, როცა გამოუცდელი კომუნარები შეუდგნენ საწარმოო გაერთიანებას ისეთ პირობებში, რომლის დროსაც მათ წინააღმდეგ მოქმედებდნენ არა მარტო თეთრი ჯარები, არამედ ხშირად თავისივე სოფლის გლეხების მნიშვნელოვანი მასები.**

ეს იყო კოლმეურნეობათა მოძრაობის ცხოველმყოფელობის პირველი საკმაოდ მკაცრი შემოწმება. ყველა კოლმეურნეობებმა ვერ გაუძლეს ამ გამოცდას. მაგრამ ის კომუნები, რომლებმაც გაუძლეს ამ გამოცდას, რომლებმაც გადალახეს სამხედრო დროის დაბრკოლებანი, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი წლების სიძნელენი, როცა კომუნები და კოლმეურნეობანი სერიოზულ დახმარებას ვერ იღებდნენ სახელმწიფოსაგან,—ასეთი კომუნები ცოცხალი მაგალითია იმისა, თუ რამდენად **ცხოველმყოფელი და მტკიცეა კოლმეურნეობათა მოძრაობა.**

თუმცა კოლმეურ. დღემდე წარმოადგენენ მხოლოდ ერთგვარ კუნძულებს ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა უდიდეს ზღვაში, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მომავალი ჩვენია. ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ განვლილმა ათმა წელმა აშკარად დაგვიმტკიცა, რომ კოლექტივებს შეუძლია დაამარცხოს და ბოლოს დაამარცხებს კულაკს (ტაში).

III. მარტივი გაერთიანება თუ მსხვილი სამანქანო მეურნეობა

რაკი ეს ასეა, ჩვენს წინაშე პირისპირ ისმება ძირითადი პრაქტიკული საკითხი, რომელზედაც თვითეულმა კოლმეურნეობის მუშაკმა უნდა გასცეს პირდაპირი პასუხი, — ეს საკითხია ის, თუ **რა ტიპის კოლმეურნეობებს და კომუნებს შეუძლიათ ნამდვილად დაამარცხონ კულაკი**, შეუძლიათ ნამდვილად განახორციელონ შესაძლებელი პროგრესი მიწადმოქმედებაში.

შეიძლება თუ არა, რომ ადგილი ექნეს ამ პროგრესს, თუ ჩვენი კოლმეურნეობები იქნებიან მხოლოდ და მხოლოდ წვრილ და უწვრილეს მეურნეობების პიროვნულ და მატერიალურ საშუალებათა მარტივი გაერთიანებანი?

თუ საერთო მუშაობისათვის ერთიანდება 3-5-10 კომლი, ხოლო სასოფლო - სამეურნეო იარაღები მათ ძველი რჩება, მუშაობის წესები უცვლელი, მათი მიწის ნაკვეთები არ ერთიანდება ერთ ვრცელ მინდვრად,—პიროვნებათა ასეთი მარტივი გაერთიანება გადაჭრის თუ არა ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანას?

აი ის საკითხები, რომლებიც ჩვენ უნდა წამოვაყენოთ და რომლებზედაც პირდაპირი პასუხი უნდა გავცეთ. ეს საკითხები ჩვენ განსაკუთრებული სიმწვავით უნდა წამოვაყენოთ, იმიტომ, რომ (ამაზე მე შემდეგ უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებ) იმ დიდძალ კოლმეურნეობათა შორის, რომლებიც მიმდინარე წელში წარმოიშვენ, უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ სრულიად მარტივი ამხანაგობანი.

ამ უმარტივეს, მიწის კოლექტიურად დამმუშავებელ ამხანაგობებს ზოგჯერ მეტის მეტად მარტივ ამხანაგობებს (მარტივებს იმ მხრივ, რომ მიწის საზოგადოებრივად დამუშავებაც კი მათში ჩანასახ მდგომარეობაშია),—ჩვენ პირდაპირ უნდა დავუყენოთ მთელი რიგი საკითხები.

კოლმეურნეობათა მიწის სივრცის სიდიდე

პირველი საკითხია — კოლმეურნეობათა მიწის სივრცის სიდიდის საკითხი.

ჩვენ ასეთი სურათი გვაქვს.

ერთ კოლმეურნეობაზე (ეს მიმდინარე წლის მოწოდებამდე — მიმდინარე წლის მოწოდებამ მოგვცა განსაკუთრებით დიდძალი მეტად წვრილი გაერთიანებანი) რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში საშუალოდ მოდის 198 ჰექტარი, უკრაინის ს. ს. რესპუბლიკაში 84 ჰექტარი, ბელორუსიაში 115, უზბეკისტანში 46 და სხვ. ესე იგი **ერთ კოლმეურნეობაზე მოდის იმდენი მიწა, რაც აშკარად არასაკმაოა იმისათვის, რომ წარმატებით და ხელსაყრელად იქნას გამოყენებული რთული მანქანები.**

რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ცენტრის ცნობებით, ერთ კომუნაზე საშუალოდ მოდის 297 ჰექტარი, ხოლო დათესილია მხოლოდ 87 ჰექტარი, ესე იგი მიწების ერთი მესამედი ნაწილიც კი ვერ არის დათესილი. **აბა სინჯეთ ხელსაყრელი სატრაქტორო მეურნეობის აგება 80 ჰექტარზე—არაფერი არ გამოგივათ!** წელებზე რომ ფეხი დაიდგათ, მაინც არაფერი გამოვა.

არტელებში საშუალოდ ითვლება 199 ჰექტარი, ნათესები კი 52 ჰექტარი.

ამხანაგობებში 175, ნათესები კი 72.

რა ნიშნავს ეს?

ეს უწინარეს ყოვლისა ნიშნავს იმას, რომ ძველ კოლმეურნეობებშიაც კი მიწების სივრცე აშკარად არასაკმაოა რაციონალური მსხვილი მეურნეობის საწარმოებლად.

ამასთანავე არსებული სივრცე ჯერ-ჯერობით ძლიერ სუსტად არის გამოყენებული, რაც კიდევ უფრო აუარესებს მდგომარეობას.

ამ გაზაფხულზე ახლად შექმნილი უმეტეს ნაწილად წვრილი კოლმეურნეობანი კიდევ უფრო აუარესებენ სურათს.

რას იძლევა და რის მოცემა შეუძლია ტრაქტორს

ამ მხრივ საჭიროა ცოტა რამე ვთქვათ ტრაქტორების შესახებ.

შეიძლება ითქვას, რომ ტრაქტორი ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ყველაზე უფრო პოპულიარული მანქანაა. ტრაქტორებს ჩვენში მიათრევენ იქითაც და აქეთაც, იქ, სადაც ისინი საჭიროა, ზოგჯერ კი იქაც, სადაც ისინი საჭირო არაა, ამ ტრაქტორებს ზოგჯერ ისე უვლიან, როგორც საჭიროა, უმეტეს ნაწილად კი ისე, როგორც არ არის საჭირო.

აი ამიტომ მიწის სივრცის სიდიდის საკითხიდან ჩვენ პირდაპირ, უშუალოდ უნდა გადავიდეთ იმ საკითხზე, თუ **რა შეუძლია მოგვცეს ტრაქტორმა** და რას აძლევს ის სხვებს, თუნდაც ამერიკელებს, იმას, რასაც

ქალთა მონაწილეობა საბჭოების მუშაობაში

ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი მოქალაქობრივი და პოლიტიკური უფლებები ქალმა უნდა განახორციელოს საბჭოების საშუალებით. ყველა ის უფლებები, რომლებიც რევოლუციამ მიანიჭა ქალს, კანონმდებლობითი წესით იქნა ჩამოყალიბებული. ჩვენი რესპუბლიკის ძირითად კანონში, კონსტიტუციაში, ნათლად არის აღიარებული, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში ქალი სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომლითაც მამაკაცი, და მასაც დაკისრებული აქვს ყველა ის მოვალეობა მშრომელთა წინაშე, რაც მამაკაცს. გარდა ამისა, საბჭოთა ხელისუფლება მრავალ ღონისძიებას ხმარობს რომ ქალი უშუალოდ ჩააბას სახელმწიფოებრივ მშენებლობაში და გახადოს იგი მამაკაცთან ერთად ყოველივე ჩვენი კულტურული, სამეურნეო და აღმშენებლობის სხვადასხვა დარგში მუშაობის აქტიურ მონაწილეთ. კომუნისტური პარტიისა და ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები საბჭოების თითოეული არჩევნების წინ, იძლევიან გარკვეულ დირექტივას: აუცილებლად საკმარისი ადგილი დაეთმოს ქალებს საბჭოებში და ადგილობრივმა ამხანაგებმა ანგარიში გაუწიონ იმ გარემოებას, რომ საბჭოებში მამაკაცთან ერთად არჩეულ იქნეს მშრომელი გლეხი და მუშა ქალების საკმაო რაოდენობა. გარდა ამისა, საჭიროა მათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა არჩევითი ორგანიზაციებში, როგორიც არის მაგალითად, აღმასკომი, კულტურული და სამეურნეო დაწესებულებანი, გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტები და სხვა. დედაკაცი მამაკაცთან ერთად არჩეული უნდა იქნეს ყველა იმ დაწესებულებაში, რომელიც ფართო სამსახურს უწევს მშრომელ მასებს. ასეთია პარტიისა და ხელისუფლების მიერ აღებული მტკიცე ხაზი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქალები საბჭოებში ჰპოვებენ თავიანთ უფლებათა განხორციელებას. თუ თვალს გადავავლებთ 1927 წლის არჩევნებს, დავინახავთ, რომ სხვადასხვა მშრომელ ფენებთან ერთად ქალთა აქტივობაც საგრძნობლად გაზრდილა. თუ წინა წლებში ქალები შედარებით ნაკლებ მონაწილეობას იღებდენ საბჭოთა არჩევნებში, წარსული წლის საბჭოების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, ისინი ძუძუმწოვარა ბავშებით ხელში მოდიან საარჩევნო კრებებზე. ავიღოთ შედარებითი ციფრები 1926 წლ. და 1927 წ. არჩევნებისა. 1926 წ. არჩევნებში თემების მიხედვით მთელს საქართველოში 175,178 ქალმა, ესე იგი 31,8 პროც. მიიღო მონაწილეობა, 1927 წელს კი ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან მონაწილეობა მიიღო 200.000-მდე—ქალმა, ესე იგი 37,7 პროც. ეს ამტკიცებს იმას, რომ ქალთა აქტივობა გასულ წელთან შედარებით 6 პროცენტით გაზრდილა. ქალაქის საბჭოებში 1926 წელს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 14.866 ქალმა, ან ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 29 პროც., —1927 წელს კი 15.000 ქალმა. ესე იგი 37 პროც. აქაც ვხედავთ აქტივობის ზრდას 8 პროცენტით.

ეხლა განვიხილოთ როგორია საბჭოების შემადგენლობა, გაიზარდა თუ არა ქალთა რიცხვი საბჭოებში? თემობრივ 1926 წელს არჩეული იყო მხოლოდ — 2,000 ქალი, ესე იგი 8,4 პროც., 1927 წელს კი 2,203 ქალია არჩეული, ესე იგი 8,7 პროც., ქალაქის საბჭოებში— 1926 წელს არჩეული იყო 196 ქალი, ესე იგი 10,3 პროც., წელს ქალაქის საბჭოებში არჩეულია გაცილებით მეტი, და მათი რიცხვი პროცენტულად 11,8 პროც. უდრის.

როგორია ქალების მონაწილეობა აღმასკომებში? 1926 წ. ყველა თემაღმასკომებში არჩეული იყო 25 ქალი, ესე იგი 1,6 პროც. წელს კი არჩეულია 27 ქალი, ესე იგი 1,8 პროც. მაზრის აღმასკომებში ჩვენ გვაქვს ქალთა მონაწილეობის საგრძნობი ზრდა, გასულ წელს არჩეული იყო 46 ქალი, ან 5,2 პროც. წელს—59 ქალი, ესე იგი 6,3 პროც. ეს ციფრები ნათლად გვიმტკიცებენ, რომ ქალთა აქტივობა გაიზარდა და მათი რიცხვი საბჭოებსა და აღმასკომებში თანდათან მატულობს. მაგრამ ჯერ კიდევ არ შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ამ მხრივ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. საჭიროა მომავალში უფრო მეტი ყურადღება მიექცეს საბჭოებში და განსაკუთრებით კი მათ პრეზიდიუმებში ქალების არჩევას.

რაში გამოიხატებოდა ქალთა აქტივობა საარჩევნო კრებებზე? ისინი მიდიოდენ საარჩევნო კრებებზე, აყენებდენ თავიანთ კანდიდატებს და მტკიცედ იცავდენ მათ. იყო ისეთი შემთხვევები, რომ მამაკაცები იჩენდნენ გულგრილობას, ან არ უნდოდათ ქალების მიერ დასახელებული კანდიდატების არჩევა, მაგრამ ქალები გააფთრებით იცავდნენ თავიანთ კანდიდატებს და ხშირად დემონსტრატიულად სტოვებდენ საარჩევნო კრებას, თუ მათ მიერ წამოყენებულ კანდიდატებს კრება არ ირჩევდა. ამრიგად, ისინი მტკიცედ იცავდენ თავიანთ უფლებებს.

ზოგიერთ მაზრებში ადგილობრივი ყოფა-ცხოვრების პირობების მიხედვით მოწვეულ იქნა ცალკე ქალთა საარჩევნო კრებები, ქალთა ასეთი საარჩევნო კრებები ჩვენ მოვიწვიეთ ახალციხის, ბორჩალოს, ახალქალაქის მაზრებში და აჭარისტანში, ვინაიდან არსებული პირობების გამო ამ ადგილებში ქალი ჯერ კიდევ მეტათ ჩამორჩენილია თავის შეგნებით, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებში. იქ ქალს ერიდება მამაკაცთან ერთად გამოცხადდეს საარჩევნო კრებაზე და მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. რომ ასეთ გარემოებას არ ემოქმედნა აქტივობაზე, საარჩევნო კამპანიის ჩატარების დროს ადგილობრივმა საარჩევნო კომისიებმა მიზანშეწონილად სცნეს ქალთა ცალკე საარჩევნო კრებები მოეწვიათ. ამ კრებებზე განხილულ იქნა ქალთა მიერ წამოყენებული კანდიდატები და მოხდა საბჭოებში მათი არჩევა. საარჩევნო კამპანიის დროს დიდი როლი ითამაშა ქალთა სადელეგატო კრებებმა; დელეგატ-ქალებმა წინასწარი კრებები ჩაატარეს ქალთა შორის, გააცნეს ამომრჩეველ ქალებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოებში ქალების მონაწილეობას და ამრიგად დარაზმული და მომზადებული ქალები მივიდნენ არჩევნებზე. ქალთა შორის წინასწარ მუშაობის ჩატარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მხრივ, რომ ამით საგრძნობლად გაიზარდა ქალთა აქტივობა, ვინაიდან ისინი უფრო ფხიზლად შეხვდნენ ამ არჩევნებს, რასაც შედეგათ მოჰყვა საბჭოებში ქალთა რიცხვის გადიდება.

როგორია ქალების მონაწილეობა საბჭოების მუშაობაში? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საბჭო არის ისეთი ორგანიზაცია, რომლის მეშვეობითაც მშრომელი მასა ანხორციელებს თავის ბატონობას. საბჭო არის მუშურ-გლეხური ხელისუფლების ორგანიზაცია და აი, სწორედ ამ საბჭოში ქალებმაც უნდა განახორციელონ თავიანთი პოლიტიკური უფლებები.

საერთოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მიუხედავად დეპუტატ-ქალთა რიცხვის ზრდისა, ჯერჯერობით საბჭოებში ქალების მუშაობას ნაკლები ადგილი აქვს დათმობილი, საბჭოების მუშაობაში ქალები შედარებით უფრო ნაკლებ აქტივობას იჩენენ ვიდრე მამაკაცები. რით აიხსნება ეს? ამას აქვს მრავალი მიზეზი. ერთი მიზეზთაგანია ის, რომ ჯერჯერობით არ არის ამოფხვრილი ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთები. ამ ყოფა-ცხოვრებისა და ზნეჩვეულებათა გავლენით მამაკაცებს განსაკუთრებით სოფლად, ისეთი შეხედულება აქვთ, თითქოს ქალს საბჭოში არაფრის გაკეთება არ შეუძლია. მისი საბჭოში არჩევა ზედმეტია, მან ოჯახს უნდა მოუაროს და მეტი არაფერი. რა თქმა უნდა, ასეთ შეხედულებას უნდა შევებრძოლოთ, რადგან მას არაფერი საერთო არა აქვს საბჭოთა ხელისუფლების შეხედულებასთან ამ საკითხზედ. ასეთი შეხედულება ახდენს ერთგვარ უარყოფით გავლენას ქალების მუშაობაზე საბჭოებში. საჭიროა, რომ ქალები აუცილებლად ჩაბმულ იქნენ საბჭოს ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში და მის საქმიანობაში მხურვალე მონაწილეობას იღებდენ. ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ადგილობრივ თემის ხელმძღვანელნი ქალების საბჭოს მუშაობაში ჩაბმას ფორმალურად უდგებიან, მექანიკურად მიამაგრებენ ქალებს ამა თუ იმ სექციას და ამით იხდიან თავის მოვალეობას. არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევენ შემდეგში, არ სვამენ პრეზიდიუმის სხდომაზე მოხსენებებს მათი მუშაობის შესახებ, არავითარ დავალებებს მათ არ აძლევენ და ამრიგად უნებლიედ ქალები ხდებიან საბჭოს პასიურ წევრებად. ამიტომ საჭიროა სექციებში მომუშავე ქალებს უშუალოდ ხელმძღვანელობა გაუწიოს საბჭოს პრეზიდიუმმა (ანუ აღმასკომმა), ვინაიდან ქალების მარტო ფორმალური მიმაგრება სექციებზე არაფერ შედეგს არ გამოიღებს. საჭიროა საბჭოს წევრი ქალი ისეთ სექციაში ჩავაბათ სამუშაოთ, რომელიც მას უფრო აინტერესებს. თუ მაგალითად საბჭოს წევრ-ქალს სურს მუშაობა კოოპერატიულ სექციაში, ის უნდა მუშაობდეს სწორედ ამ სექციაში, მისი მუშაობა სწორედ აქ მოიტანს მეტ ნაყოფს და არა სხვა რომელიმე სექციაში. თუ ასე იქნება განაწილებული საბჭოებში წევრი ქალების მუშაობა, მაშინ მათი აქტივობის გაზრდაც შესაძლებელი იქნება. თემის ხელმძღვანელმა ორგანომ ალღო უნდა აუღოს მათ მისწრაფებას, ინდივიდუალურად შეისწავლოს და გამოარკვიოს, თუ ვის, რომელ დეპუტატ-ქალს სად სურს, რომელ დარგში შეუძლია მუშაობა.

ქალების მონაწილეობა აღმასკომებში და სხვა არჩევითი ორგანოებში, როგორიცაა გლეხკომები ჯერჯერობით ძლიერ სუსტია. მომავალში აუცილებლად უნდა შემოვიღოთ ისეთი წესი, რომ ის ქალი, რომელიც დაამტკიცებს თავის საქმიანობას, გამოიჩენს საქმისადმი სიყვარულს და უნარიანობას, დავაწინაუროთ და უფრო საპასუხისმგებლო სამუშაოზე გავაგზავნოთ.

დღემდე არ იყო დაყენებული სასურველ სიმაღლეზე ანგარიშგება წევრ ქალებისა ამომრჩევლების წინაშე, ქალი საბჭოს წევრი იშვიათად, თითქმის არასოდეს არ უკეთებდა მოხსენებას თავის ამომრჩევლებს. არსებული დებულების მიხედვით, საბჭო სამ თვეში ერთხელ უდგენს საანგარიშო მოხსენებას თავის ამომრჩევლებს. ყოველდღიური პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს იშვიათად ხორციელდება, და თუ ადგილი აქვს ანგარიშის ჩაბარებას, უმთავრესად ამომრჩევლებს მოხსენებას საბჭოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე, ან კიდევ აღმასკომის სხვა რომელიმე წევრი — მამაკაცი უკეთებს. არც ერთხელ არ ყოფილა მაგალითი, რომ ქალს გაეკეთებინოს მოხსენება. საჭიროა, რომ საბჭოს წევრი ქალები სისტემატიურად აკეთებდნენ მოხსენებას თავიანთ ამომრჩევლების წინაშე და აგრეთვე ქალთა სადელეგატო კრებებზედაც, რომლებიც წარმოადგენს ქალთა ისეთ ორგანიზაციას, სადაც მათ ჭირვარამს და მდგომარეობას ექცევა განსაკუთრებული ყურადღება.

უნდა აღინიშნოს, რომ ის ქალთა კრებები და თათბირები, რომლებიც წინ უძღოდა საბჭოების დეპუტატ-ქალთა საკავშირო ყრილობას, იყო პირველი შემთხვევა. აუცილებლად ჩვენ მომავალშიც უნდა ვმართავდეთ ასეთ თათბირებს; მმართველმა ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ პრაქტიკული ღონისძიებანი საბჭოებში მუშა და გლეხ ქალების ჩაბმის შესახებ. იმ მიზნით, რომ საბჭოს წევრმა ქალებმა მტკიცედ შეიგნონ და შეისწავლონ თავისი მოვალეობა და მუშაობის საგანი ახლო მომავალში ცაკის საორგანიზაციო განყოფილების მიერ მოწყობილ იქნება მცირევადიანი მოსამზადებელი კურსები. ქალთა თათბირებზე უნდა კეთდებოდეს მოხსენებები საბჭოს წევრ ქალების მიერ. დეპუტატ-ქალმა გარკვევით უნდა იცოდეს, თუ რა სამუშაოთი შეუძლიან მას მოუტანოს სარგებლობა საბჭოთა აღმშენებლობას.

დღემდე ჩვენ ვხედავთ, რომ ადგილობრივი თემის მომუშავენი ძალიან გულგრილად ეპყრობიან საბჭოებში მომუშავე ქალებს; ამის გამო ქალები იშვიათად ესწრებიან საბჭოს სხდომებს; ხშირად მათ არც კი იწვევენ კრებებზე და მათ არ იციან როდის და სად ხდება საბჭოს სხდომა; ხოლო თუ ესწრებიან, იშვიათად იღებენ მონაწილეობას საკითხების განხილვაში. ეს რა თქმა უნდა, უარყოფითი მოვლენაა, რომელსაც უნდა სასტიკათ ვებრძოლოთ.

აი დაახლოებით ის მოვალეობანი, რომლებიც აწევს ქალს — საბჭოს წევრს. მან უნდა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა საბჭოების მუშაობაში და აგრეთვე საბჭოს სექციების საქმიანობაში. იგი განსაკუთრებით უნდა მუშაობდეს იმ სექციაში, სადაც მას უფრო ეხალისება, სადაც უფრო შეეგუება მუშაობის ხასიათს, და დავალებებსაც უფრო კარგად შეასრულებს. საჭიროა ქალთა თათბირზე იყოს შესწავლილი, თუ სად და როგორ უნდა იმუშაონ დეპუტატ-ქალებმა. აგრეთვე მჭიდრო კავშირი არ უნდა გაიწყვიტოს ამომრჩეველთა და საბჭოში არჩეულ ქალთა შორის; სასურველია, რომ ამის შესაძლებლობა გამონახოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ, საბჭოების საანგარიშო კამპანიაში დეპუტატ-ქალების ჩაბმის საშუალებით. აგრეთვე მიზანშეწონილი იქნება, თუ ადგილობრივი ხელისუფლება შესაძლებლობის ფარგლებში მოაწყობს მოკლევადიან კურსებს, სადაც დეპუტატი ქალები შეისწავლიან ამ კანონმდებლობას, რომლითაც მათ უნდა იხელმძღვანელონ თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში, და სადაც ისინი გაეცნობიან იმ პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომლებსაც მიმართავს საბჭოთა ხელისუფლება მათ საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმისათვის.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოების დეპუტატ-ქალთა ყრილობის მოწვევას ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავზე. ამ ყრილობამ ჯამი გაუკეთა მთელ იმ მუშაობას, რომელიც ჩატარებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ ქალთა შორის, ქალების საბჭოთა აღმშენებლობაში ჩაბმის საქმეში. ამ ყრილობამ აღნიშნა ყველა ჩვენი მიღწევანი და დამაბრკოლებელი მომენტები, რომლებიც ხელს უშლიდა ქალთა აქტივობას საბჭოების მუშაობაში. გარდა ამისა, ყრილობამ დასახა საბჭოს წევრქალთა შორის ჩატარებული მუშაობის უახლოესი გზები და ამოცანები. ამ ყრილობამ ნათლად გამოხატა აგრეთვე, რომ საბჭოთა ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს სახელმწიფო აღმშენებლობაში ქალების მონაწილეობას. მან ერთხელ კიდევ დაანახვა ბურჟუაზიულ ქვეყნებს, რომ საბჭოთა რესპ. კავშირში ქალები მამაკაცებთან ერთად მტკიცედ ეწევიან სოციალისტურ აღმშენებლობას, რომ დედაკაცები მამაკაცებთან ერთად ებრძვიან უვიცობას, ყოველგვარ ნაკლოვანებებს, რომლებიც თავისთავად ცხადია, თან სდევენ ჩვენს ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობას.

დ. აფციაური.

ჩვენ გვაძლევს, თუ კიდევ ცოტა რამ მეტს იმაზე, რასაც ჩვენ გვაძლევს.

ამ ცოტა ხნის წინად შრომისა და თავდაცვის საბჭოს დავალებით ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა ჩაატარა იმის გამოკვლევა, თუ როგორ იყენებენ ტრაქტორებს ჩვენში, კერძოდ სამანქანო - სატრანსპორტო ამხანაგობებში.

ალმოჩნდა, რომ სამანქანო - სატრაქტორო ამხანაგობათა 38 პროცენტს აქვს 75 ჰექტარზე ნაკლები ნათესი სივრცე.

და ეს იმ დროს, როდესაც გამოკვლეულ კომუნებში მთელ რიგ შემთხვევებში ტრაქტორი ამუშავებს 180-მდე ჰექტარს, საბჭოთა მეურნეობებსა და არტელებში კი 120-მდე ჰექტარს!

38 პროცენტ სამანქანო სატრაქტორო ამხანაგობებში ნათესი სივრცე 75 ჰექტარზე ნაკლებია, მაშინ, როდესაც ტრაქტორს შეუძლია შევრად უფრო დიდი სივრცის დამუშავება და ხვნის გარდა შეუძლია შეასრულოს მთელი რიგი სხვა სამუშაოები, რომლებსაც ზოგიერთი თქვენთაგანი ძალიან კარგად იცნობს.

ჩვენში კი ისეთი შემთხვევებიც არის, რომ 40 ჰექტარ მიწაზე კოლმეურნეობას აქვს 2 ტრაქტორი! თერგის ოლქში არსებობს არტელი, რომელსაც ეწოდება „მაშინიზაცია“, მაგრამ მას „მაშინიზაცია კი არ უნდა ერქვას, არამედ „ობდურიზაცია“ (მოტყუება, გაბრიყვება), იმიტომ, რომ 40 ჰექტარზე 2 ტრაქტორის მოცდენა, — ეს ნიშნავს ხალხის ფულის ფუჭად ფლანგვას და საბჭოთა ხელისუფლების ბოროტად მოტყუებას.

ორიოლის გუბერნიის კოლექტიურ მეურნეობებში 1 ტრაქტორი მოდის საშუალოდ 65 ჰექტარზე, სმოლენსკის გუბერნიაში 1 ტრაქტორი 51 ჰექტარზე. რა თქმა უნდა 51 ჰექტარზე ტრაქტორს ვერავითარ შემთხვევაში ხელსაყრელად ვერ გამოიყენებ. უაღრესად ნიჭიერიც რომ იყო, თუნდაც ფორდი იყო და ფორდსაც სჯობნიდე მოსაზრებით, — 50 ჰექტარზე ტრაქტორს ხელსაყრელად მაინც ვერ გამოიყენებ.

ამასთანავე ისიც ალმოჩნდა, რომ თერგის ოლქის 14 გამოკვლეულ არტელებში ტრაქტორი მუშაობს მთელი წლის მხოლოდ 27 პროც., ურალის ოლქში — წლის 29 პროც.

რომ ტრაქტორი კარგად იქნეს გამოყენებული, ის მარტო ფარცხვაში, ნამჯის შეკვრაში, და ხვნა-თესვაში კი არ უნდა გამოვიყენოთ, არამედ ისეთ სამუშაოებზედაც, სადაც ტრაქტორს ღვედის საშუალებით მოძრაობაში მოჰყავს მანქანები. ტრაქტორი შეიძლება იყოს ნამდვილად რენტაბელური, შემოსავლიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მთლიანად იქნება გამოყენებული. ამისათვის კი საჭიროა მასთან ერთად გამოყენებულ იქნას სხვა შესაფერი მანქანებიც. ხოლო ტრაქტორზე მისაბმელ მანქანების მხრივ ჩვენში სრულებითაც არ არის ყველაფერი რიგზე. ჩვენ ასეთი მანქანები მოგვეპოვება მხოლოდ 10-20 პროცენტის რაოდენობით იმ საჭიროებასთან შედარებით, რაც შეეფერება ტრაქტორების არსებულ რიცხვს. ამაზე ჩვენ აუცილებლად უნდა ვიფიქროთ.

ჩვენ არ გვაქვს ორი უმნიშვნელოვანესი პირობა იმისათვის, რომ ტრაქტორი ხელსაყრელი იყოს, — სათესი სივრცე იმ მეურნეობებში, რომლებიც იყენებენ ტრაქტორს, მთელ რიგ შემთხვევებში უკიდურესად არასაკმაოა და ამასთანავე სათანადო იარაღების უქონლობის გამო, კულტურების არასაკმაოდ გამოყენების გამო. კოლმეურნეობები ვერ მიიჩვევიან მიიღონ ტრაქტორისაგან ის, რის მოცემაც მას შეუძლია.

მაგალითად, ამერიკაში, მიწათმოქმედების დეპარტამენტის ცნობებით, სამხრეთ შტატების 191 ფერმაში ტრაქტორი ასრულებდა შემდეგ სამუშაოებს: ხვნას, მიწის დაფხვნას, ფარცხვას, დატკეპვნას, თესვას, თივის დატვირთვას, თივის გადაბრუნებას, მკას, სიმინდის მოჭრას, ნაკელის გაშლას, გადაზიდვას, ხეების გაყვანას და შეკეთებას, არხების გაყვანას, ღობეების გაკეთებას, პურის ლეწვას და სიმინდის დაფხვნას, საელევატორო სამუშაოებს, სიმინდის დაჭრას, თივის დაპრესვას, შეშის ჭრას, საკვების დაფხვნას, წყლის ამოქაჩვას, მორწყვას, ბეტონის დამზადებას.

აი რას აკეთებინებენ ტრაქტორს ამერიკელები. რითი ვართ ჩვენ მათზე უარესი? მხოლოდ იმით, რომ ზოგიერთი რამე კიდევ ვერ ვისწავლეთ, და აგრეთვე იმით, რომ ჩვენ არ გვიყვარს ხშირად გავიგონოთ ჩვენს შესახებ ცუდი რამე. და როდესაც ცუდი რამე გვესმის ჩვენზე, ჩვენ არ ვერიდებით იმას, რომ ეს ცუდი რამ არ არსებულად გამოვაცხადოთ, როგორც ამას ამ ყრილობაზე ჰქონდა ადგილი ნახევარი საათის წინ.

ჩვენ მარტო ის კი არ გვესაჭიროება, რომ წვრილი მეურნეობანი, რომლებიც დარწმუნდნენ, თუ რამდენად ძნელია განკერძოებულად მუშაობა, გაერთიანდნენ იდეურ მოსაზრებათა გამო, არამედ ჩვენს წინაშე სდგას მსხვილ სამანქანო მეურნეობათა მოწყობის ამოცანა, ხოლო ამისათვის პირველ რიგში საჭიროა მიწის ისეთი სივრცე, რომელიც უნდა იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ ტრაქტორები გამოყენებულ იქნან მთელი 100 პროცენტით.

საჭიროა, რომ ტრაქტორი გამოყენებულ იქნას არა მარტო ხვნაზე და ამას გარდა სამ-ოთხ სხვა სამუშაოზე, როგორც ეს ჩვენში ხდება, არამედ იმ 30 და 40 სამუშაოზედაც, რომლებსაც ასრულებს ის ამერიკაში. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არაფრით არა ვართ ამერიკელებზე უარესი. თუ ისინი ახერხებენ ამას, ჩვენც მოვახერხებთ, მხოლოდ ჯერ ერთი უნდა გვქონდეს ცოდნა და მეორე — სწორა უნდა მოვაწყოთ საქმე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა კოლმეურნეობებს მიწის სივრცე მცირე აქვთ ნამდვილი სამანქანო მეურნეობის განსავითარებლათ, მთელ რიგ შემთხვევებში ისინი მაინც იჩენენ მისწრაფებას განკერძოებისაკენ. ხშირად კოლმეურნეობები ასე ფიქრობენ, — რაკი მოეწყო განსაზღვრული ჯგუფი, სჯობია სხვები აღარ მივიღოთ, — მაშინ კრედიტიც მეტი მოგვიწევს თითო ოჯახზე და ნაკლები დავიდარაბაც დაგვჭირდება უცხოსთანო... ხოლო ასეთი მისწრაფება განკერძოებისაკენ უდიდეს საფრთხეს უქადის კოლმეურნეობათა მშენებლობას.

მეურნეობის ტიპის შესახებ

მაგრამ ეს ორი პირობაც — მიწის შედარებით დიდი სივრცე და რთული მანქანების გამოყენება — არ არის საკმაო იმისათვის, რომ ესა თუ ის მეურნეობა აღიარებულ იქნას მსხვილ მეურნეობად, რომელიც ნამდვილად იყენებს იმ უპირატესობებს, რომლებიც აქვს მსხვილ მეურნეობას წვრილთან შედარებით. ნამდვილად მსხვილი წესიერად მოწყობილი მეურნეობა გულისხმობს აგრეთვე კულტურების სათანადო შეფარდებას, მთელ რიგ ტეხნიკურ კულტურების არსებობას, სწორ თესლბრუნვას და სხვ.

მე მოგიყვანთ თქვენ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობებს ტეხნიკური კულტურების შესახებ კოლმეურნეობებსა და გლეხურ მეურნეობებში. ჩრდილო - დასავლეთ რუსეთში ტეხნიკური კულტურები შეადგენენ კოლმეურნეობებში ნათესების 1,8 პროცენტს, გლეხურ მეურნეობებში 7,8 პროც., მოსკოვის სამრეწველო რაიონში — კოლმეურნეობებში 2,65 პროც., გლეხურ მეურნეობებში 6,1 პრ., ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკაში — კოლმეურნეობებში — 2,6 პროც., გლეხურ მეურნეობებში 4,6 პროც., დასავლეთ რუსეთში— კოლმეურნეობებში — 5,3 პროც., გლეხურ მეურნეობებში — 8,5 პროც.

რას გვიჩვენებს ეს ცნობები? ეს ცნობები გვეუბნება, რომ კოლმეურნეობანი ჩამორჩებიან გლეხურ მეურნეობებს ტეხნიკურ კულტურების განვითარების ხარისხის მხრივ.

ეს ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, თუ რამდენად ბევრი რამე უკლიათ კოლმეურნეობებს იმაზე, რომ გადაიქცენ ნამდვილ მსხვილ, წესიერად მოწყობილ მეურნეობად.

უახლოეს წლებში ჩვენ უნდა მივაღწიოთ გადამჭრელ გარდატეხას ყველა დარგებში. **კოლმეურნეობებმა უნდა გადალახონ თავისი საზღვრების კედელი, მათ კარი უნდა გაუღონ ყოველ გლეხს, რომელიც წავა ამ საქმეზე, მათ უნდა გააფართოონ კოლმეურნეობის მიწის სარგებლობა, რათა იმდენად გაადიდონ იგი, რომ შესაძლებელი გახდეს რთული მანქანების ხელსაყრელად გამოყენება.**

კოლმეურნეობებმა უნდა ისწავლონ ტრაქტორების და სხვა რთული მანქანების სავსებით გამოყენება. კოლმეურნეობებმა უნდა მიაღწიონ კულტურების ისეთ შეფარდებას, რომ გლეხურ მეურნეობას მაინც არ ჩამორჩებოდნენ, თორემ ისე გამოდის, რომ ახალი კულტურების კოლმეურნეობებს უფრო ეშინიათ, ვიდრე ინდივიდუალურ მეურნეობას.

კოლმეურნეობათა შემადგენლობის ცვალებადობის შესახებ

თუ ჩვენ ნამდვილად გვინდა გადავაქციოთ კოლმეურნეობები მსხვილ სამანქანო მეურნეობებად მთელი ხაზით—შრომის ნაყოფიერების ხაზითაც და პროდუქციის თვითღირებულების ხაზითაც, ისეთ მეურნეობებად, რომლებიც აჯობებენ კულაკს და შორს მიატოვებენ წვრილ მეურნეობებს,—ამთავითვე უნდა გავაფრთხილოთ ყველა, რომ ამ ამოცანის განხორციელებისათვის არ შეიძლება ბრძოლა წმინდა ადმინისტრატიული ზომებით.

ჩვენში კი ასე ხდება ხოლმე,—გამოვცემთ ბრძანებას და გვგონია, რომ ყველაფერი თავის რიგზეა.

მაგალ. ავიღოთ ზომები კოლმეურნ. შემადგენლობის ცვალებადობის შესახებ. **შემადგენლობის ცვალებადობას ჩვენ აუცილებლად უნდა ვებრძოლოთ, ვინაიდან ეს კოლმეურნეობათა უდიდესი ბოროტებაა.** ჩემს მოხსენებაში კოლმეურნეობათა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, სადაც ლაპარაკი იყო ამ ყრილობისათვის მომზადების შესახებ, მე მოვიყვანე კომუნა „მოლოტ“-ის მაგალითი. ეს კომუნა, რომელზედაც დღესაც იყო ლაპარაკი, გვარიანად მუშაობს, მაგრამ მიუხედავათ კომუნის მთელ რიგ სამეურნეო წარმატებებისა, მისი შემადგენლობის ცვალებადობამ საშინელ ზომამდე მიაღწია.

მაგრამ ამ ამოცანების გადაჭრის დროს მაინც **არ უნდა გაგვიტაცოს წმინდა ადმინისტრატიულმა ზომებმა.** სამწუხაროდ ზოგიერთებს აქვს ასეთი განწყობილება, ხოლო თუ რა გამოვა აქედან,—თქვენ თითონ იცით.

თვითეულ თქვენთაგანს შეუძლია აღნიშნოს არა ერთი მაგალითი, თუ როგორ შეუძლია კომუნაში ან არტელში ერთ ნამდვილად მავნე ცხვარს გააფუჭოს მთელი ფარა.

აქ უნდა ვეძიოთ უფრო მოქნილ საშუალებები, ვიდრე კომუნიდან გამოსვლის პირდაპირ აკრძალვა ან სხვა ამის მზგავსი ბრძანებები.

მთავარი საშუალება შემადგენლობის ცვალებადობასთან საბრძოლველად არის კოლმეურნეობათა გადაქცევა ნამდვილ მსხვილ სამანქანო მეურნეობებად. თუ ჩვენ შევქმნით ასეთ მეურნეობებს, ცვალებადობა თავისთავად გაქრება.

რა თქმა უნდა, განსაზღვრული ადმინისტრატიული ზომები საჭიროა. ჩვენ, მაგალითად, არ შეგვიძლია დაუშვათ, რომ თვითეულმა კოლმეურნეობიდან გამომსვლელმა დააქუცმაცოს კოლმეურნეობის მიწის სივრცე. თუ ვინმე გადის კოლმეურნეობიდან, მას შეიძლება გამოეყოს მიწა ან საზოგადოების მიერ ან რაიმე სხვა საშუალებით, მაგრამ ისეთი მიწა, რომელიც კიდევ არ არის შეტანილი კოლმეურნეობის წესიერ თესლბრუნვაში.

თუ კოლმეურნეობის რომელიმე წევრს სურს გავიდეს კოლმეურნეობიდან, მას შეუძლია დაიბრუნოს თავისი პაი, მაგრამ, რა თქმა უნდა, იმ დაგროვების წილი კი არა, რომელიც მიღებულია კოლმეურნეობაში სახელმწიფოს მიერ შეღავათიან პირობებში მსხვილი მანქანების, სააღმშენებლო საშუალებების კრედიტის მიწოდების წყალობით.

ასეთი გარანტიები უნდა დაწესდეს, ასეთ ადმინისტრატიულ ღონისძიებებს შეიძლება ჰქონდეს ადგილი, მაგრამ მთავარი ეს როდია. **თვითეული თქვენთაგანი დაეთანხმება იმას, რომ თუ ჩვენ გვინდა აღმოვფხრათ შემადგენლობის ცვალებადობა, ამ სენის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალება ჩვენ უწინარეს ყოვლისა ბრძანებებში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ იმაში, რომ შევქმნათ მსხვილი სამანქანო მეურნეობა.** როდესაც ჩვენ შევქმნით ასეთ მეურნეობას, მაშინ არავინ აღარ მოისურვებს, რომ კოლმეურნეობიდან დაბრუნდეს ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობას. აი რას უნდა ვცდილობდეთ. თუ ამას მივაღწევთ, მაშინ აღარც გვექნება საკითხი შემადგენლობის ცვალებადობის შესახებ.

ჩემი მოხსენების ეს ნაწილი არსებითად მხოლოდ ერთ რამეს ამბობს. როგორც დავინახეთ, ჩვენ მთელ რიგ დარგებში უკვე ვჯობნით კულაკს. როგორც ჩვენ სრულიად ობიექტიურად, მიუფერადებლად, დავრწმუნდით, კოლმეურნეობებმა მთელ რიგ დარგებში მიაღწიეს ბევრად უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს, ვიდრე კულაკებმა, და რომ კოლმეურნეობებს შეუძლიათ იკისრონ პროგრესის საქმე სოფლის მეურნეობაში.

მაგრამ მაინც კოლმეურნეობათა მშენებლობაში ადგილი აქვს მთელ რიგ უაღრესად სახიფათო გარემოებებს, აქედან სამი არის განსაკუთრებული მნიშვნელოვანი:

1) კოლმეურნეობათა უდიდესი ნაწილის არა საკმაო სიდიდე, რაც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ნამდვილად განვითარდეს სამანქანო მეურნეობა;

2) მსხვილი მანქანების უკიდურესი ნაკლებობა და იმის უნარის უქონლობა, რომ არსებული მანქანები ისე იქნენ გამოყენებული, რომ იძლეოდნენ ყველა შესაძლებელ სარგებელს.

3) კოლმეურნეობათა და კულტურის დაბალი დონე, ხოლო უმთავრესად ამასთან დაკავშირებით ტეხნიკურ კულტურების მეტისმეტად სუსტი განვითარება მათში.

სამივე ამ ხაზით ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ ამ ყრილობის შემდეგ მოხდეს ნამდვილი **გარდატეხა, რათა დაირღვეს ამ 50—70—100 ჰექტარიან კოლმეურნეობათა საზღვრები, რათა კოლმეურნეობების სივრცე იმდენად გაფართოვდეს, რომ შესაძლებელი გახდეს პიროვნებათა ის მარტივი გაერთიანებანი, რომლებიც შექმნილია საერთო შრომისათვის, გადაიქცენ მსხვილ ინდუსტრიალურ სამანქანო მეურნეობად.**

ჩემი მოხსენების ამ ნაწილიდან გამომდინარეობს კიდევ ერთი პრაქტიკული ხასიათის დასკვნა. **ჩვენ გადამჭრელ გარდატეხას უნდა მივაღწიოთ კოლმეურნეობებისათვის ტრაქტორების მიწოდების საქმეში.**

აქ ძნელია ყველა სათანადო გამოანგარიშებათა მოყვანა. ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ უახლოეს წლებში ჩვენ ამოცანად უნდა დავისახოთ მივაწოდოთ კოლმეურნეობებს 25—30 ათასი ტრაქტორი მაინც. ამჟამად პრაქტიკულად ირჩევა კოლმეურნეობებისათვის მიმდინარე წელშივე ტრაქტორების გაძლიერებული მიწოდების შესაძლებლობანი. მთავრობა ამ შემთხვევაში გამოდის იმ აუცილებლობის აღიარებიდან, რომ მომავალი წლის ყველა დაბრკოლებათა მიუხედავათ, უკვე 1928—29 წ. გაძლიერებულ იქნას ტრაქტორების მიწოდება.

ეს იმას ნიშნავს, რომ 1928—29 წ. ჩვენ 15 ათასი ტრაქტორი მაინც უნდა მივაწოდოთ სოფლის მეურნეობას,—წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევქმნით უმნიშვნელოვანეს წინასწარ პირობას ახლად შექმნილ კოლმეურნეობათა გაფართოებისათვის, მათ ნამდვილ მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებად გადასაქცევად, ახლად შექმნილ კოლმეურნეობებისათვის მეტად თუ ნაკლებად მკვიდრი სამანქანო საფუძვლის შესაქმნელად. ტრაქტორების მიწოდების საქმეში უნდა მივაღწიოთ გადამჭრელ გარდატეხას.

IV. კაპიტალების განსაზოგადოებული ნაწილის შესახებ

გადავდივარ მეორე საკითხზე—საკითხზე სიმდიდრის დაგროვების ფორმების შესახებ.

ეჭვს გარეშეა, არსებობს რამდენიც გნებავთ იმდენი მაგალითი, როდესაც ფიქრობენ, რომ დაგროვება განსაზოგადოებულია, ნამდვილად კი ეს არის მხოლოდ სინამდვილის შეფარდება, რომელიც ფარავს უბრალო ინდივიდუალურ დაგროვებას.

ავიღოთ თუნდაც ეგრედ წოდებული განუყოფელი კაპიტალები, რომელთა სიდიდეს ზოგიერთი კოლმეურნეობები ძლიერ იკვეხნიან. „კარლ მარქსის“ კომუნაში აღმოჩნდა, რომ 16.000 მანეთ განუყოფელ კაპიტალიდან 80 პროცენტი მოდის სახელმწიფო საადგილმამულო ქონების წილად. ზინოვიევის სახელობის კომუნაში კი აღმოჩნდა, რომ 50.000 მანეთ განუყოფელ კაპიტალიდან 78 პროცენტი მოდის სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების წილად.

ეს განუყოფელი კაპიტალი ცოტა არ იყოს ყალბია, მას მატლი აქვს შიგნით. ამიტომ უბრალო პროცენტებით აქ მხოლოდ თავს მოვიტყუებთ.

მაგალითად, კოლმეურნეობამ ააშენა წისქვილი, სახელმწიფომ ამ საქმეში შეიტანა თავისი პაი. შემდეგ კი თურმე არტელის თვითეული წევრი ღებულობს შემოსავალს მის მიერ შეტანილი პაის მიხედვით, ხოლო სახელმწიფო, რომელმაც შეიტანა საშუალებათა უდიდესი ნაწილი, არაფერს არ ღებულობს, და რატომღაც ამას უწოდებენ კოლექტიურ საკუთრებას, მაშინ, როდესაც ეს არსებითად არის წვრილი საქციო ამხანაგობის ფორმა. ამ საკითხში დაგროვების ხასიათის შესახებ—ინდივიდუალური თუ კოლექტიური დაგროვების შესახებ—ჩვენ უაღრესად დიდი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ. აქ არ შეიძლება დიდი იმედები დავამყაროთ ციფრებზე, არამედ უნდა დავინახოთ, თუ რა იფარება ამ ციფრების იქით.

საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ სალ კოლმეურნეობად მხოლოდ ისეთი ითვლებოდეს, რომელშიც განსაზოგადოებული კაპიტალის წილი შეუწყვეტლივ იზრდება. ის მცირეოდენი ცნობები, რომლებიც მოგვეპოვება ამ მხრივ, გვიჩვენებს, რომ ამ დარგში ადგილი აქვს განსაზღვრულ წარმატებებს.

ასე, მაგალითად, 51 კოლმეურნეობის (უკრაინის) ცნობებიდან სჩანს, რომ იმ კოლმეურნეობებმა, რომლებიც შეიქმნენ 1921 წლამდე, თავისი განსაზოგადოებული კაპიტალი გაადიდეს ოთხჯერ, 1923 წლამდე დაარსებულებმა 5 ნახ. ჯერ, 1924 წლამდე დაარსებულებმა—სამჯერ. მაგრამ ამ განსაზოგადოებული კაპიტალის რა ნაწილი მოდის განუყოფელ კაპიტალზე—ეს არ ვიცით.

შესაძლებელია, რომ იმ კაპიტალის უდიდესი ნაწილი, რომელიც იმყოფება კოლმეურნეობის სარგებლობაში, გაწერილია ცალკე წევრების ანგარიშებით და შეიძლება ყოველ წუთში განაწილებულ იქნას კოლმეურნეობის ლიკვიდაციის დროს. მაშასადამე, საჭიროა ყურადღება მიექცეს კაპიტალის არა მარტო იმ ნაწილს, რომელიც იმყოფება კოლმეურნეობის საერთო სარგებლობაში, არამედ იმასაც, თუ მისი რა ნაწილია განუყოფელი.

ამ შენიშვნების შემდეგ, რომელთა მიზანს შეადგენს აღუძრას თვითეულ თქვენთაგანს მაქსიმალურად კრიტიკული დამოკიდებულება ყოველგვარი ციფრებისადმი ამ დარგში, მე გადავალ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრაქტიკულ საკითხზე, რომელიც დაკავშირებულია მთელ იმ თემასთან.

კრედიტების საკითხი

ჩვენს წინაშე სდგას საკითხი კოლმეურნეობებისათვის კრედიტების მიწოდების მნიშვნელობის შესახებ.

იგივე ცნობები უკრაინის კოლმეურნეობათა მდგომარეობის შესახებ საშუალებას გვაძლევს შევადგინოთ შემდეგი ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა გავლენას ახდენს კრედიტების მიწოდება საკუთარი თანხების ზრდაზე.

კოლმეურნეობათა დავალიანება საკუთარი კაპიტალის 100 მანეთზე

კოლმეურნეობათა ჯგუფები		წლის დასაწყისში — 1925 წლის 1 აპრილისათვის	წლის ბოლოს —1926 წლის 1 აპრილისათვის	საკუთარი კაპიტალის მომატება წლის ბოლოს — საკ. კაპიტ. 100 მანეთზე
1-ლი ჯგ.—კოლმეურნეობანი, რომელთაც აქვთ საკუთარი კაპიტალი	10.000 მ.	46 მ. 90 კ.	28 მ. 20 კ.	57 მ. 50 კ.
2-რე „ „ „ „	20.000 მ.	23 მ. 30 კ.	28 მ. 00 კ.	38 მ. 60 კ.
3-მე „ „ „ „	30.000 მ.	19 მ. 10 კ.	17 მ. 80 კ.	18 მ. 60 კ.
4-ხე „ „ „ „	50.000 მ.	27 მ. 00 კ.	20 მ. 90 კ.	24 მ. 40 კ.
5-თე „ „ „ „	50.000 მ. ზევით	10 მ. 01 კ.	6 მ. 50 კ.	15 მ. 90 კ.

ეს ცხრილი გვიჩვენებს, თუ როგორ ნაწილდება საკუთარი კაპიტალის 100 მანეთზე დავალიანება და საკუთარი კაპიტალის ზრდა სხვადასხვა ჯგუფის კოლმეურნეობებში.

ჩვენ ვამჩნევთ ახირებულ მოვლენას—რამდენადაც უფრო წვრილია კოლმეურნეობა, მით უფრო დიდია დავალიანება და, პირიქით, რამდენადაც უფრო დიდია კოლმეურნეობა, მით უფრო ნაკლებია დავალიანება საკუთარი კაპიტალის 100 მანეთზე (არა აბსოლიუტურ ციფრებში, არამედ საკუთარი კაპიტალის 100 მანეთზე).

ჩვენ ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, რომ თვით ჩვენი საკრედიტო სისტემა წარმოადგენდეს სტიმულს კოლმეურნეობათა გაფართოებისათვის.

ეს ცხრილი სხვათა შორის გვიჩვენებს, რომ ჩვენი საკრედიტო სისტემა ვერ არის მაინც და მაინც ძლიერ შეთანხმებული იმ ამოცანასთან, რომ კოლმეურნეობებზე ეკონომიური ზეგავლენის ზომებით გამოიწვიოს მათში მისწრაფება გაფართოებისაკენ. აქ კი ადმინისტრატიული ზომებით ვერაფერს ვერ გააკეთებ, ხოლო საკრედიტო ზომებით ყოველთვის მეტს გააკეთებ, ვიდრე ადმინისტრატიული ჯოხით.

ამ ცხრილიდან ვხედავთ, თუ რა შედეგები მოსდევს კრედიტების მიწოდებას. აქ ნაჩვენებია საკუთარი კაპიტალის მომატება წლის ბოლოს 100 მანეთზე: პირველი ჯგუფის კოლმეურნეობებში მომატება შეადგენს 57 მანეთს, მეორე ჯგუფში—39 მანეთს, შემდეგ 19 მანეთს, 24 მანეთს, 16 მანეთს.

ეს იმას ნიშნავს, რომ საერთოდ და მთლიანად ის მგოდებელნი, რომლებიც დადიან და ჰგოდებენ იმ თემაზე, თუ სად მიგვაქვს ჩვენ ფული, იმ თემაზე, რომ ჩვენ ამ ფულს წყალში ვყრით,—ეს მგოდებელნი არაფრად არ ვარგიან.

თუმცა რამდენიც გნებოთ იმდენია გამონაკლისები და იმის მაგალითები, რომ ფული მართლა წყალში იყრება, მაგრამ საერთოდ და მთლიანად გამოდის, რომ **კრედიტების მიწოდების შედეგად საკუთარი კაპიტალების ზრდა კოლმეურნეობებში ცუდად არ მიდის.** ეს ადასტურებს ჯანსაღ ზრდას და საუკეთესოდ მოწმობს იმას, რომ მთელ რიგ გამონაკლისების მიუხედავად, კოლმეურნეობებს შეუძლიათ კრედიტების გამოყენება.

რათა საბოლოოდ მოვრჩე მგოდებლებს, მე იძულებული ვარ მოვიყვანო კიდევ ერთი ცნობა. წვრილი გლეხური, საშუალო და ღარიბი მეურნეობების განსავითარებლად გვალვიან რაიონში, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს საჭიროდ მიაჩნია მიაწოდოს ამ მეურნეობებს კრედიტი 400-დან 600 მანეთამდე. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი არაერთხელ ამტკიცებდა, რომ ეს მინიმალური თანხა უნდა მიეცეს მეურნეობას გვალვიან რაიონში, რათა ეს მეურნეობა მოღონიერდეს.

იმ კოლმეურნეობებში, რომლებიც შეიქმნენ 1924 წლამდე, 1926 წლის აპრილამდე მიიღეს კრედიტი 179 მანეთი ოჯახზე. მაშასადამე, ჩვენ მათ მაინცდამაინც ბევრს ვერაფერს ვაძლევთ.

შემდეგ ორ ფაქტზე სერიოზულად უნდა იფიქრონ ყველა იმ პირებმა, რომლებსაც ეხალისებათ ცრემლის ღვრა იმის გამო, თითქოს მთავრობა ტყუილა აძლევს ფულს კოლმეურნეობებს:

1) მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ საკმაოდ ბევრი კოლმეურნეობები კოტრდება, იქ, სადაც ჩვენ კრედიტებს ვაწვდით კოლმეურნეობებს, სწარმოებს საკუთარი კაპიტალების ჯანსაღი ზრდა, და

2) იმ კოლმეურნეობებმა, რომლებიც შეიქმნენ 1924 წლამდე, 2 ნახ. წლის განმავლობაში მიიღეს მხოლოდ მესამედი იმ თანხის, რის მიცემაც საჭიროდ მიაჩნია მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, რომ გვალვიანი რაიონის წვრილი გლეხური მეურნეობა გადაიქცეს ცოტად თუ ბევრად ღონიერ მეურნეობად.

კრედიტების მიწოდების დარგში საქმე იმაში კი არ მდგომარეობს, რომ კოლმეურნეობებს განსაკუთრებული მოწყალება მიეცეთ. ასეთი გრძნობა როდი უნდა გავაღვივოთ მათში. არავინ არ ფიქრობს მათთვის მოწყალების მიცემას.

საქმე ეხება პროლეტარულ სახელმწიფოს განსაზღვრულ **ანგარიშს** და ამ ანგარიშის შემოწმებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კოლმეურნეობებისათვის, სახელმწიფო თანხების გადიდებით, ჩვენ ამ თანხებს სწორა ვიყენებთ, იმიტომ, რომ მხოლოდ მსხვილ სამანქანო მეურნეობას შეუძლია შექმნას გლეხური მეურნეობის ნამდვილი აღდგენის შესაძლებლობა. ეს დაამტკიცა ყველაზე უფრო მკაცრმა შემოწმებამ, პრაქტიკულმა შემოწმებამ,—მიუხედავად მარცხის ათეულ შემთხვევებისა. საერთოდ ჩვენ გვაქვს ფაქტი, რომ კოლმეურნეობები ამ ხაზით საერთოდ იჭერენ გამოცდას. კერძოდ უმრავლეს შემთხვევებში კოლმეურნეობებისათვის კრედიტების მიწოდება იწვევს მათი საკუთარი კაპიტალების ჯანსაღ ზრდას, მეურნეობის ორგანიზაციის გაუმჯობესებას.

ამასთანავე ამ კაპიტალების ზრდა პირდაპირ დამოკიდებულია კოლმეურნეობებისათვის მიწოდებული კრედიტების სიდიდეზე.

როგორ უნდა შეიქმნას განუყოფელი კაპიტალები

აქ ისევ უნდა დავუბრუნდეთ განუყოფელი კაპიტალების საკითხს.

სავსებით აშკარაა, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ზედმეტად შევაფასოთ ჩემ მიერ მოყვანილი ცხრილის მნიშვნელობა, ეს ცხრილი ამტკიცებს საკუთარი კაპიტალების ზრდას კრედიტების მიწოდების სიდიდესთან შეფარდებით, მაგრამ ის კიდევ არაფერს გვეუბნება იმაზე, თუ რა იფარება ცნებაში „საკუთარი კაპიტალი“.

კოლმეურნეობათა სრულიად რუსეთის ყრილობა ჩატარდა იმ ნიშან ქვეშ, რომ საჭიროა გადიდებულ იქნას განსაზოგადოებულ კაპიტალების ნაწილი და კერძოდ —განუყოფელი კაპიტალები. ეს სრულიად უდავოა. ამას სავსებით ამტკიცებს ზემოთ გამოთქმული მოსაზრებანი. ეს ამოცანა აუცილებლად უნდა გადაიჭრას.

მაგრამ აქაც უნდა გვახსოვდეს ზედმეტი ადმინისტრატიული ზომების საფრთხე. რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ყრილობის შემდეგ საკითხი სდგას არა იმის შესახებ, რომ საჭიროა გადიდებულ იქნას კაპიტალების განსაზოგადოებული ნაწილი, არამედ იმის შესახებ, თუ რა მეთოდებით უნდა ვცდილობდეთ ამ კაპიტალების გადიდებას.

შეიძლება გამოჩნდნენ ისეთები, რომლებიც იტყვიან: ყველაფერი, რასაც სახელმწიფოსაგან მიიღებ, გადარიცხე განუყოფელ კაპიტალში. ყველაფერი განუყოფელი იქნება და ყველაფერი კარგად იქნებაო.

საკითხისადმი ასეთი მიდგომა არაფრად არ ვარგა.

მაგრამ არაფრად არ ვარგა ისეთი მიდგომაც, რომელიც ამბობს: „ნურაფერს ნუ გადარიცხავთ განუყოფელ კაპიტალში. საქმე ისე მოაწყვეთ, რომ შემთხვევის დროს ადვილად გაიყოთ, ისე დაიშალოთ, რომ გაყოფა უდავიდარაბოდ მოახდინოთო“.

ყველა ეს მაგალითები მოყვანილი იყო ჟურნალ „კოლექტივისტ“-ში. აი ერთი მაგალითი. კომუნა „კრასნაია სიბირ“-ში კოლექტივის მიერ დაგროვილი ყველა თანხები გაანაწილეს წევრებს შორის შეტანილი წილის მიხედვით. ეხლა ზოგი კარგად ცხოვრობს, ზოგი კი პირველებთან მოჯამაგირეებად დადგომასაც არ დაიწუნებს“. („კოლექტივისტ“-ი, № 4, 1928 წ.).

საჭიროა ამაზე დაფიქრება, საჭიროა ამისათვის რეალური ანგარიშის გაწევა. თუ კოლექტივი ჩვენს პირობებში შეიძლება გახდეს იმის გზად, რომ მოხდეს ჩვეულებრივი ფენებად დაყოფა და კოლექტივიზაციის მარკით ხდებოდეს ჩვეულებრივ ზოგის გამდიდრება და ზოგის გაღარიბება,—ასეთი მდგომარეობა არაფრად არ ვარგა. სჯობია, რომ კულაკი აშკარად იზრდებოდეს. ვხედავთ მას მაინც.

მეორე მაგალითი. იმავე „კოლექტივისტ“-ის № 2-ში სწერენ:

— არტელის წევრები ამბობენ, როგორც კი რამეს იტყვიან ძირითად კაპიტალში გადარიცხვაზე, თითქოს გულზე დანა დაგვისვესო.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გლეხი ყველაფერზე უფრო ცდილობს ცოტა რამ შემოინახოს, რათა მომავალისთვის უზრუნველჰყოს თავი და ოჯახი. ის დღეს თანახმა როგორმე გაჭირვებით გაიტანოს თავი (მარტო პურით და წყლით), მხოლოდ დარწმუნებული იყოს, რომ ხვალისთვის უზრუნველყოფილია. და ეს ტყუილა როდია, ვინაიდან **მისი ცხოვრების პირობებმა წარსულში, და ნაწილობრივ ეხლაც, მიაჩვიეს ის იმას, რომ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი ჰქონდეს,** და არა სხვა ვინმესი. თუ ავიღებთ მუშას, მას, ავად გახდება თუ არა, მკურნალობენ და აძლევენ თვიურ ჯამაგირს; თუ შრომის უნარი დაჰკარგა—მაშინაც ღებულობს დამზღვევი სალაროდან თავის ძველ ჯამაგირს. მიუხედავად ამისა, მუშები მაინც სცდილობენ თავისი თვიური ჯამაგირის ნაწილი შეიტანონ შემნახველ სალაროში და შემოინახონ შავი დღისთვის. („კოლექტივისტ“-ი № 2, 1928 წლ.).

პენზის გუბერნიიდანაც ამნაირადვე იწერებიან: „კაცი დაკუნტდა და უსაშუალოდ დარჩა. რა უნდა ქნას? ამჟამად შესაძლებელია მხოლოდ ორი გამოსავალი — კოლმეურნეობის წევრს ან გამოაქვს თავისი პაი და მით ცხოვრობს და მკურნალობს, ან გადადის ნათესავებთან და მათთან სცხოვრობს. მაგრამ რა ქნას ისეთმა ინვალიდმა, რომელსაც არც ნათესავები ჰყავს და არც კაპიტალი აქვს?“

საქმე იმაშია, რომ აქ სწორი და ყალბი ერთმანეთშია არეული. მართლაც, თუ კოლმეურნეობებში ისე იქნა საქმე დაყენებული, რომ მათი წევრების თვალისწინ ყოველთვის იქნება ასეთი საფრთხე: „ერთბაშად დავკარგე შრომის უნარი, კოლმეურნეობიდან გამომაგდებენ, სადღა წავიდე, — კიდევ კარგი, თუ ნათესავებმა შემინახეს, მაგრამ თუ ნათესავებიც არ მყავს,“ — თუ ასე იქნა საქმე, რა თქმა უნდა განუყოფელ კაპიტალების მიმართ სწორედ ისეთ განწყობილებებს ექნება ადგილი, როგორც იწერება ორი ზემოთ დასახელებული ავტორი: „როგორც კი რამეს იტყვიან ძირითად კაპიტალში საშუალებათა გადარიცხვაზე თითქოს გულზე დანა დაგვისვესო.

როგორ უნდა აღმოვფხვრათ ასეთი განწყობილებები? რა თქმა უნდა, შეიძლება ადმინისტრატიული წესით გავცეთ მექანიკური ბრძანება, მაგრამ ბრძანებით აქ ბევრი არაფერი გაკეთდება. **ისეთი ცხოვრების პირობები უნდა შეიქნას არტელებსა და კომუნებში, რომ გლეხის ასეთ განწყობილებას ნიადაგი გამოეცალოს, რომ კაცი დარწმუნებული იყოს საქმის სწორად დაყენებაში, რომ მან იცოდეს, რომ, თუ რაიმე უბედურება შეემთხვა, მას არ გადააგდებენ, რომ მას აქვს ესა თუ ის საშუალება თავი დააღწიოს უბედურებას.** თუ ასეთი რწმენა ექნება არტელებს ან კომუნის თვითეულ პატიოსან წევრს, ჩვენ ნამდვილად აღმოვფხვრით იმ განწყობილებებს, რომლებზედაც მე ვლაპარაკობდი.

პენზის გუბერნიიდან იწერებიან, რა უნდა ვქნათ, თუ კოლმეურნეობის წევრი დაკუტდა და უსაშუალოდ დარჩაო?

შეგვიძლია თუ არა ჩვენ გავექცეთ პასუხის გაცემას ამ კითხვაზე? არა, არ შეგვიძლია. ხოლო რადგანაც არ შეგვიძლია გავექცეთ ამ პასუხს, ამასთან დაკავშირებით უნდა დავსვათ ყველაზე უფრო ძირითადი საკითხი დაგროვების გზებისა და საშუალებების შესახებ.

ამრიგად, მე ვფიქრობ, რომ საერთოდ ჩვენ უეჭველად გვაქვს კაპიტალის განსაზოგადოებული ნაწილის ზრდა.

იმისათვის, რომ კოლმეურნეობები საბოლოო ანგარიშით არ გადაიქცნენ მხოლოდ საფარად ინდივიდუალური დაგროვებისათვის, უნდა ვცდილობდეთ, რომ იზრდებოდეს კაპიტალის განსაზოგადოებული ნაწილი კერძოთ კაპიტალის განუყოფელი ნაწილი, ამასთანავე არ უნდა ვცდილობდეთ კაპიტალის განსაზოგადოებული ნაწილის მაინც და მაინც მაქსიმუმამდე აყვანას; საჭიროა, რომ განუყოფელი კაპიტალი არ წარმოადგენდეს არტელის მოსპობის საშუალებას, ვინაიდან თუ გლეხს წარუდგინე შეუსრულებელი მოთხოვნილება, ის ყველაფერს მიაფურთხებს და წავა, საბოლოოდ კი არავითარი არტელი აღარ დარჩება.

აქ უნდა წარვადგინოთ გონივრული მოთხოვნილებები განსაზოგადოებული კაპიტალის თანდათანობით გადიდების შესახებ, განუყოფელი კაპიტალის გადიდების შესახებ. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ კოლექტიური მეურნეობა მისცემს თავის წევრს ცხოვრების პირობების ისეთსავე მინიმუმს და ამასთან ერთად ისეთსავე გარანტიებს სიბერის დროისათვის, ქალიშვილის გათხოვების შესაძლებლობისათვის და სხ., როგორსაც აძლევს მას ინდივიდუალური მეურნეობა.

მხოლოდ იმ პირობით, თუ კაცს შეუძლია ნამდვილად დაენდოს არტელს და დარწმუნებული იყოს, რომ არტელი მას არ უღალატებს რაიმე უბედური შემთხვევის დროს, ჩვენ შეგვიძლია მტკიცე იმედი ვიქონიოთ, რომ კაპიტალის განსაზოგადოებული ნაწილი შეუწყვეტლივ გაიზრდება და ამით მოისპობა იმის შესაძლებლობა, რომ არტელს ან კომუნას ამა თუ იმ მომენტში პაებად დაანაწილებენ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა იმ შემთხვევაში, რომელზედაც მე თქვენ გელაპარაკეთ.

(გაგრძელება იქნება)

საბჭოთა მეურნეობანი აჭარისტანში

უკანასკნელ ხანებში აჭარისტანში ჩატარებული იქნა საბჭოთა მეურნეობების რეორგანიზაცია, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს ამ მეურნეობისათვის ხელმძღვანელობის გაწევას.

ამჟამად საბჭოთა მეურნეობები აჭარისტანში არსებობს მხოლოდ შავი ზღვის ნაპირებზე; ეს მეურნეობები, უმთავრესად, საჩვენებელი სუბტროპიკული მეურნეობანია, რომლებიც ამზადებენ ჩაის თესლს, მანდარინის და სხვა სუბტროპიკულ მცენარეების ნერგებს.

უმაღლეს ორგანოების (საქართველოს ცაკის მესამე სესია) დადგენილებით, საბჭოთა მეურნეობებს შეუერთდება ნაციონალიზაციაქმნილი ნაკვეთები, რიცხვით 100-დე, რომლებსაც აქამდე იჯარით სცემდა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი. ამ ღონისძიების მიზანია მსხვილი და მძლავრი სუბტროპიკული მეურნეობის შექმნა ზღვის სანაპიროებზე, რომელიც საჩვენებელი მეურნეობა იქნება აჭარისტანის გლეხობისათვის.

რეორგანიზაციამდე საბჭოთა მეურნეობების მთელი სივრცე უდრიდა 207,5 ჰექტარს, აქედან ნარინჯოვან კულტურებს, ჩაის, ხილის ბაღებს და დეკორატიულ მცენარეულობას ეჭირა 157 ექტარი. ამჟამად საბჭოთა მეურნეობების სივრცე გაიზარდა 468 ჰექტარამდე, ამასთანავე კულტურულ მცენარეულობათა სივრცე გადიდდა 276 ჰექტარამდე; აქედან მანდარინის პლანტაციებია 120 ჰექტარი, ჩაი—86 ჰექტარი.

საბჭოთა მეურნეობების ძირითადი კაპიტალი რეორგანიზაციამდე უდრიდა 1892189 მანეთს, ეხლა უდრის 2.716.344 მანეთს; ამაში შედის კულტურული მცენარეულობა 2.048.750 მან., შენობების ღირებულება 653.994 მან. და სხვა.

ნედლეულ კულტურათა განსავითარებლად

ა. კ. ეკონომსაბჭოს უკანასკნელ სხდომაზე განხილული იქნა საკითხი ნედლეულ კულტურათა განვითარების შესახებ ამიერ-კავკასიაში.

ა. კ. სახ. საგეგმო კომისიას წინადადება მიეცა ამიერ-კავკასიის სახ. მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმების შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ნედლეულობის ბაზის გამაძლიერებელ ღონისძიებებს. უახლოეს პერიოდის ამოცანას შეადგენს სასოფლო-მეურნეობის საქონლიანობის გადიდება.

ეკონომსაბჭოს საჭიროდ მიაჩნია, რომ 1928—29 წელში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სოფლის მეურნეობის ნედლეულის ბაზრის მოწყობას.

ა. კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატს წინადადება მიეცა თავის დროზე შეუდგეს გეგმიან დამზადებას და სათანადო გეგმების დამუშავებას.

სასოფლო-მეურნეობის ნედლეულის ძირითად დამამზადებელ ორგანიზაციად მიჩნეულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია. იმ შემთხვევაში, თუ კოოპერაცია ვერ შესძლებს ამა თუ იმ დამზადების მთლიანათ შესრულებას, საქმეში ჩაბმული უნდა იქნან ჯერ სამომხმარებლო კოოპერაცია და შემდეგ სახ. ვაჭრობის სამმართველოები; დამზადების საქმეში კერძო კაპიტალი შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

ეკონომსაბჭო აღნიშნავს, რომ უგზოობის და გადაზიდვის საქმის სიძნელის გამო ადგილებზე რჩება დიდძალი ნედლეული. ადგილებზე არ მოიპოვება საწყობები ნედლეულის ხანგრძლივად შესანახად.

ა. კ. საგეგმო კომისიას წინადადება მიეცა პერსპექტიული გეგმის შედგენის დროს მხედველობაში მიიღოს ეს გარემოება და გაითვალისწინოს კაპიტალური ღონისძიებები.

ა. კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატს წინადადება მიეცა 1928—29 წელში ნედლეულის დამზადების გეგმის შედგენის დროს დეტალურათ დაამუშაოს ფასების პოლიტიკის საკითხები და მიიღოს ზომები, რომ ნედლეულის ბაზარზე კერძო ვაჭრობამ არ შექმნას ფასების მერყეობა.

ყოფილ თავად-აზნაურთა გავლენა სოფლად

და მათი დამოკიდებულება გლეხობასთან

(წერილი შორაპნის მაზრიდან)

შორაპნის სამაზრო პარტიულმა კომიტეტმა მოახდინა მაზრის ყოფილ თავად - აზნაურთა და ყოფილ მემამულეთა გლეხობაზე გავლენის საკითხის გამოკვლევა.

აღებული იყო შორაპნის მაზრის სამი პუნქტი: 1) საჩხერის რაიონი—სამი თემი, 2) ქიათურის რაიონი — სამი თემი და 3) ხარაგოულის რაიონი — 4 თემი.

რაიონის გამოკვლევას კომისიამ საშუალოდ ათი დღე მოანდომა.

მიწის რეფორმა

მიწის რეფორმის ჩატარების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა მიწის რეფორმა ჩატარდა, დაკვრითი წესით, მაგრამ, როგორც ირკვევა, კომისიებს რეფორმის ჩატარების დროს სრულიად არ მიუღიათ მხედველობაში მიწის კოდექსის ის მუხლი, რომელიც მიწის სარგებლობის უფლებას ანიჭებს მხოლოდ მათ, ვინც მიწას თავის შრომით ამუშავებს, — ამრიგათ მაზრაში ხშირია შემთხვევები, როდესაც სრული და სრულზე მეტიც მიწის ნორმა დატოვებული აქვთ ვაჭრებს და სხვა არამშრომელებს, რომელთაც მეურნეობასთან არავითარი კავშირი არა აქვთ, საერთოდ კი მემამულეებს მიწას უტოვებენ განურჩევლათ იმისა, ამუშავებს თუ არა ის ამ მიწას საკუთარი შრომით.

იჯარა

ყოფილი თავადები თითონ, თუ გამონაკლისს არ მივიღებთ მხედველობაში, მიწას თავის შრომით არ ამუშავებენ. მათი მიწების 90 პროც. მუშავდება ფარული იჯარის სახით. ეს ხდება მიუხედავათ იმისა, რომ იჯარა ურეგისტრაციო კანონით აკრძალულია და კერძო ყოფ. მემამულეთ კი არ აქვთ უფლება იჯარით მიწის გაცემისა.

თუ რა პირობებია იჯარის აღებისათვის? მაგალითად ფრიდონ და ამირიდონ წერეთლის მამული აქვთ აღებული გლეხებს შემდეგ პირობებით:

გლეხების ერთი ჯგუფი აძლევს პატრონს ვენახის შოსავალის ორ მესამედს ვენახში დათესილ სიმინდისა, მოსავლის ერთ მეოთხედს. მეორე კი ვენახის შოსავალს უტოვებს სრულიად მეპატრონეს — მიაქვს მხოლოდ ვენახებს შუა დათესილი სიმინდი; როგორც თვით გლეხები გადმოგვცემენ — ასეთ მძიმე საიჯარო პირობებს, ძველ დროში იშვიათად თუ შევხვდებოდითო. რა ზომებს იღებენ ადგილობრივი ალმასკომები?

მათ იციან, რომ იჯარა ყოფ. თავად აზნაურებზე არ ვრცელდება, იციან ისიც, რომ იჯარა საერთოდ დამტკიცებული უნდა იყოს სამაზრო საადგილმამულო განყოფილებისაგან, იციან ისიც, თუ ვინ სცემს იჯარით მიწას და ვინ თავის შრომით ამუშავებს, მაგრამ სათანადო ზომებს მაინც არ ღებულობენ (ალბათ იმიტომ, რომ ჩვენს მაზრაში იჯარას „ღალას“ ეძახიან). არის ისეთი, თუმცა გამონაკლისი შემთხვევებიც, როდესაც ადგილობრივმა ალმასკომებმა აღძრეს საჩივარი სასამართლოში, სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში ის მდგომარეობა, რომ მოპასუხე თავის შრომით მიწას არც ამუშავებდა და ვერც დაამუშავებს, და რომ მოპასუხემ დაარღვია მიწის იჯარის წესები, დაადგინა ჩამოერთვას მიწა მოპასუხე არამშრომელ ელემენტს. მიუხედავად ასეთ სამართლიან და კოდექსთან შეფარდებულ განაჩენისა, უზენაესმა სასამართლომ დაარღვია ასეთი გადაწყვეტილება და სპეციალური ცირკულიარიც გამოსცა, იმის შესახებ, რომ ჩამორთმევა არ შეიძლება, უნდა აღდგენილ იქნას პირვანდელი მდგომარეობაო.

მიუხედავად ასეთი ცირკულიარისა, არის ისეთი შემთხვევაც ზესტაფონის საუბნო სასამართლოში, როდესაც ყველა დადგენილებები ასეთივე ხასიათის: (მიწის ჩამორთმევის) მტკიცდება ამავე უზენაეს სასამართლოს მიერ. სასამართლოს ორგანოების ასეთი აბნეულება ხელს უწყობს რა თქმა უნდა მიწის იჯარის უკანონოდ გამოყენების და პარაზიტებისაგან გლეხების გაყვლეფას.

ზოგიერთ ჩამორთმეულ მიწების ბედი

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც რეფორმის დროს ჩამორთმეული მიწები გადაცემული გლეხობაზე უკანვე დაიბრუნეს მემამულეებმა და კულაკგლეხებმა.

მაგალითისათვის ავიღოთ ქორეთის თემი. უნდა ითქვას, რომ ქორეთის თემში მიწის საკითხი სხვა თემებთან შედარებით მეტად ცუდათ არის მოგვარებული.

ზაქარია მოსესძე მოცრაძეს ქონდა ჩამორთმეული 3 ნახ. დეს. მიწა, ნაწილი ამ მიწისა მან დაიბრუნა უკანვე, როგორც დაკითხვიდან სჩანს, მიტომ, რომ მოკვლას ემუქრებოდა მას, ვისაც გადასცეს ჩამორთმეული მიწა.

ტერენტი შავიძეს, კულაკს, როგორც გლეხების დაკითხვიდან სჩანს აქვს არა ნაკლებ 50 ქცევა მიწა, ნაწილი ამ მიწებისა მას ჩამოართვეს. ის „ყოფილი“ მენშევიკია, ასეთი კაცი ერთ დროს აურჩევიათ საბჭოს წევრად და ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილეთ. ტერენტისაც ნელ-ნელა დაუბრუნებია თავის მიწები, როდესაც მას შევეკითხეთ, თუ როგორ მოხდა, ეს ამბები, მან გვიპასუხა: „ჩემ მიწაში არავინ (?) შევიდა და მე თვითონ დავამუშავე-ო; ტყეს კი ჩემი დარაჯი ადგია თავზე, რომ არავინ გაანადგუროს, სანამ მთავრობა მოუვლის“-ო. როგორც ხედავთ, მთავრობის დიდი ერთგული კაცია ტერენტი, მაგრამ უღარიბეს გლეხთა კრებაზე გამოირკვა, რომ გლეხებს ეშინოდათ ტერენტის, ვინაიდან ის გავლენიანი კაცი იყო და ამასთანავე ალმასკომის თავმჯდომარის თანაშემწე.

დაახლოებით ასეთივე, მაგრამ თავის უძნგავსობით ამაზე მეტად დამახასიათებელი მაგალითი ვნახეთ ქალის თემში. ვასილ ქიმაძემ, ღარიბ გლეხმა მიიღო ალმასკომიდან ვაჭარ ქველაძეების 15 წლის მოუხნავი და დაუთესავი მიწა; ვაჭარმა ქველაძემ დაავალა მის ძმას, სოფლის მეურნეს, რომ რადგანაც მე ჯერ წარვსდგები სასამართლოში მიწაზე სადაოთ, გამოდენე ქიმაძე „ჩემ“ ყანიდანო. ძმამ პირნათლად შეასრულა ეს დავალება და გლეხი თავგატეხილი იქნა გამოგდებული ადგილიდან.

კიდევ მაგალითი. პავლე და პეტრე კობერიძეები მაგარი კულაკებია, მათ ჩამოართვეს მიწები, ამ მიწებში შეიყვანეს უღარიბესი გლეხობა კოლექტივის სახით, პეტრე და პავლე დაემუქრა გლეხებს: „ამ მიწის საფასურ ფულს არ დავიშურებ და მიწას თქვენ არ დაგიბრუნებ“-ო. არ ვიცით, ვის დაახარჯეს ფულები, მათ, მაგრამ მიწაც დაიბრუნეს და მოყვანილი მოსავალიც წაართვეს გლეხობას.

ასეთი მაგალითები ბევრია, ყველას ჩამოთვლას აქ ვერ შევუდგებით; გადავიდეთ შემდეგ საკითხზე.

მიწის ყიდვა-გაყიდვა

ეს საკითხიც მწვავეთ სდგას ჩვენს მაზრაში, მოქეიფე თავად - აზნაურობა, ძველად დროს ატარებდა მამაპაპეულ მიწების გაყიდვით, ეხლაც, თუ კი რამე დარჩათ, ამავე წესს მიმართავენ, საჩხერეში ფრიდონ წერეთელს დაუმტკიცდა, რომ მან გაყიდა მიწა., სასამართლომ წერეთელს მიწა ჩამოართვა და ყიდველსაც და გამყიდველსაც ლატუსალება მიუსაჯა, საოლქო სასამართლომ განაჩენი დაამტკიცა, უზენაესმა სასამართლომ განაჩენი დაარღვია და ფრიდონ წერეთელს დაუბრუნა მიწა., ეს მაშინ, როდესაც მყიდველები გამოტყდნენ დანაშაულში და ფაქტი ყოველ მხრივ დადასტურებული იყო. ჩამორთმეული მიწა გადაცემული ქონდა უღარიბეს გლეხობას, ფრიდონის მეუღლემ, (თვით ფრიდონი გადასახლებულია, როგორც ანტი - საბჭოთა ელემენტი) გამორეკა უღარიბესი გლეხები და მიწა გადასცა მონასტრის ბერს.

როგორ უქცევენ გვერდს კანონებს

არის ყოფ. თავად-აზნაურობა, რომელიც პირდაპირ მუშტი - კრივით მოდის; უფრო „კულტუროსანი“ და მოხერხებული ყოფ. თავად - აზნაურნი კი არჩევენ საქმის მიტმასნებით გატანას.

ვინ არ იცნობს ჩვენს მაზრაში „აბლაკატ“ კოტე აბდუშელიშვილს; ეს ყოფილი აზნაური მემამულეც იყო. ვექილობის თუმცა არაფერი იცის, მაგრამ გლეხებს მაინც ატყუილებს. ამასთან ერთად, ის რამოდენიმე წელს ზედი - ზედ საჩხერის საბჭოს წევრიც იყო. მან რაღაც ხრიკებით და ვიღაცეების შეწევნით შეინარჩუნა 15 ქცევამდე მიწა (მათ შორის ერთი ქცევა ბაღი); აბდუშელიშვილმა იცის, რომ მას, როგორც არამშრომელს მიწა არ ეკუთვნის; მაგრამ თუ კი ვისმე გააბრიყვებს და მიწას შეინარჩუნებს, მასაც ეს უნდა. აბდუშელიშვილს ყავს მოჯამაგირე. მოუნდომა მან ჯერ მოჯამაგირეს გაგდება; ეს ვერ მოახერხა. მალე გასაჭირიც მიადგა კარზე. დაიწყეს ლაპარაკი, რომ აბდუშელიშვილს მიწები უნდა ჩამოვართვათო; აბდუშელიშვილი არ დაიბნა, მან გამოუცხადა მოჯამაგირეს, რომ ის ძმათ იხდის მას. აბა ვინ ჩამოართმევს ამის შემდეგ ბაღს კოტეს, როდესაც შიგ მისი ძმა მუშაობს. ამას გარდა აბდუშელიშვილის სხვა ადგილები გაცემულია იჯარით გლეხებზე; იცის კოტემ, რომ მას ეს ადგილები არ შერჩება, მაგრამ არც ისეთი ბეცია, რომ დაიბნეს — მივიდა და ჩამოაყალიბა კოლექტივი. ცხადია, კოლექტივის წევრათ და ხელმძღვანელათ თავის - თავი დაასახელა. კოტე საჩხერეში „იაბლაკატებს“, კოლექტივი იმუშავებს. კოტეს, როგორც კოლექტივის დამაარსებელს, მოუვა თავის „ღალა“, ასე ფიქრობს ჯერ - ჯერობით ყოფ. აზნაური და გაქექილი აბლაკატი კოტე აბდუშელიშვილი.

„კულტურული მიდგომის“ მეორე მაგალითი. ჩვენ ვლაპარაკობთ არჩილ მაჭავარიანის შესახებ, ხარაგოულის რაიონში (კიცხის თემი). ძველათ რეაქციონერი, გლეხების უსასტიკესი მტერი, დღეს მან თავის სახლში გაუხსნია, „წარიამ ორახელაშვილის სახელობის“ სამკითხველო, შიგ სამკითხველოში კი მეფე ერეკლის, გაბრიელ ეფისკოპოზის და სხვების სურათები ჰკიდია. რომ მთლათ ძველ ხალხთან კავშირი არ დასწამონ, ახალი ეფისკოპოზის ციცქიშვილის სურათიც წამოუჭიმავს. არ იფიქროთ, რომ ვასილ მაჭავარიანი ისეთი ბეცია, რომ მან არ იცოდეს, რომ ეს სურათები საკმარისი არ არის, ამიტომ მან ერთ კუთხეში მარქსის პატარა სურათიც ჩამოჰკიდა.

ვის რა აქვს საწინააღმდეგო?

ვასილ მაჭავარიანი „კულტურული“ კაცია, ის გლეხებს ათვითცნობიერებს, ვინ დაუშლის მას მიწის იჯარით გაცემას.

არის ჭოლითის თემში ალექსანდრე წერეთელი. მას ყავს ნაშვილევი დიდებულიძე; რისთვის? აბა სხვანაირად როგორ უნდა მიელო მას მიწის ორი ნორმა? მიწა სივრცით 23 ქცევა. დიდებულიძე ბათომში მსახურობს, ნორმა წერეთელს — მუშაობა გლეხების, მოსავალი კიდევ წერეთელს. ვის შეუძლია ასეთი საქმის ჩადენა თუ არა ყოფ. ნიკოლოზის დროის მაზრის უფროსს—ალექსანდრე წერეთელს.

ვარდენ ყიფიანი რკინის გზის მორიგე აგენტია, ჯამაგირსაც საკმაოთ ღებულობს, არ გეგონოსთ, რომ ის მარტო აგენტია და მისი მოღვაწეობა ამით განისაზღვრება? ის პოეტიც არის, თუმცა ლექსების წერა მას მაინცა და მაინც არ ეხერხება, მაგრამ მას აქვს თავის ლექსთა კრებულში, „მუხის ამონაკვნესი“ „ვირის ამონაკვნესი“ და სხვა. ერთხელ, როდესაც საქართველოში აჯანყებული მშრომელები მენშევიკებს ბათომისაკენ მიერეკებოდნენ, თვით ვარდენმაც ამოიკვნესა და თვალცრემლიანმა გაისტუმრა მიმავალნი. ეს კაცი ხუმარაა, საჩხერეში, როდესაც „ნადური“ გაიგონა ყანაში, გაგვიმარტა, რომ გლეხები მღერიან, მუშაობა ჩვენ და მოსავალი ყიფიანსო.

შემდეგ დასძინა, რომ ერთი დრო „ცეზარსაც“ არ შერჩენიაო და ამიტომ უმჯობესი იქნება თქვენთვის — მიწა დაგვიბრუნოთო. ჩვენ ვერ მოვასწარით მიწის დაბრუნება, მაგრამ როგორც გამოირკვა ცენტრმა მიიღო მხედველობაში ვარდენის „საზოგადოებრივი მოღვაწეობა“ და ნახევარი ნორმა დაუბრუნა მასო.

ვინ არ იცის თბილისში რესტორანი „ელდორადო“ და მისი პატრონი ყოფ. აზნაური კოლია კიკნაძე. ეს კოლია სცხოვრობდა ოდესღაც მოლითის თემში, მას ყავს შვილი გრიშა, რომელმაც რამოდენიმე თვე წაიმსახურა მარელისის ფაბრიკაში, შემდეგ ჩქურით ხელში გამოცხადდა ხარაგაულის თემში, როგორც „მუშა“ გრიშა კიკნაძე პარტიაშიც მიიღეს და მიწის კომისიაშიც აირჩიეს. მიწის კომისიამ მამას და მას დაუტოვა საკმაო რაოდენობის მიწა და სახლები. გრიშა მიწას იჯარით სცემს—თვით კი, როგორც ძველი სტუდენტი, ხატყეო ტრესტშია მოკალათებული. ბინის ქირავებაც არ დასჭირდება, მამას რესტორანი აქვს. ამბობენ, რომ მას დღესაც უდევს ჯიბეში პარტიული მანდატიო.

არის მოჯამაგირეთა დაუზოგავი და მაზრაში და ცენტრში საჩივლელად მიდის, განგებ დაგლეჯილ ტანსაცმელს იცვამს, თავს ისაწყლებს და შეცდომაში შეყავს იქაური მუშაკები.

მოჯამაგირეთა მდგომარეობა

მოჯამაგირეების უკანტროლო ექსპლოატაციის ყველაზე უფრო გავრცელებული ხერხია მოჯამაგირის შვილად აყვანა. არ გეგონოსთ რომ შვილობილი მეკომურეთა სიაში ყავდესთ, როდესაც მოეპრიანება „ბატონს“ შვილია, მოსწყინდება და აიყვანს მეორე შვილობილს.

არის მოჯამაგირეთა დაუზოგავ და აშკარა ექსპლოატაციის ფაქტებიც. „უნდა მემსახუროს, არაფერი არ უნდა მიიღოს“-ო, ასე ამბობს კატია ივანეს ასული წერეთელი, თუ არ გჯერათ მომყავს საჩხერის მოჯამაგირეთა კომიტეტის 18 აპრილის ოქმიდან ამონაწერი“.

„დაკითხული ამ საქმეზედ დამქირავებელი კატია ივანეს ასული წერეთელი აღნიშნავს, რომ მე წავიყვანე სახლში სოფიო ქიღლაძე ალექსანდრე წერეთლიდან—შემდეგ სამუშაოზე: უნდა გაეკეთებია სადილი, აგრეთვე უნდა გამოეცხო მჭადი,—და უნდა დაელაგებია, დაესუფთავებია ოთახი, უნდა დაერეცხა სარეცხი და ყველა საოჯახო საქმეები უნდა შეესრულებია, ყოველივე ზემოხსენებულის გასაკეთებლად ფული არაფერი არ უნდა მიმეცა გარდა ტანისამოსისა — ერთი ხელისა. ჩემ ჩვენებას ხელს ვაწერ — ეკატერინე ივანეს ასული წერეთელი“.

ყოფილ თავად - აზნაურების თავხედობა

მერევის თემში სერგო წერეთელმა დაპატიჟა უღარიბესი გლეხობა. ჯერ შექეიფიანდა, მერმეთ კი მოსდგა და ცხვირი და პირი დაამტვრია თავის სტუმრებს — თანაც გაიძახოდა, რამდენჯერაც შევსძლებ ასეთი საქმეების მოწყობას — იმდენი ათი წლის სიცოცხლე მომემატებაო.

კატია ივანეს ასულმა წერეთელმა, როდესაც გაიგო, რომ მოიჯარადრის დაკითხვა გვინდოდა, გამოიქცა ალმასკომის თავმჯდომარესთან, თავმჯდომარეს პოუსა ქვია სახელათ. წერეთლის ქალი, როგორ იკადრებს სწორად „მუჟიკს“ სახელი უწოდოს, ამიტომ მან შემდეგნაირათ მიმართა თავმჯდომარეს—„პოუსია“ რატომ დაგიბარებიათ „ჩემი“ გლეხებიო.

ქალაში ვიქტორ აბაშიძემ დინამიტები ორიგინალურად გამოიყენა, მან ფეხსადგილი ააფეთქა როდესაც ის კედლის გაზეთში გასწერეს, გათავხედებულმა თავადმა კედლის გაზეთიდან კორესპონდენცია ამოგლიჯა და იძახოდა მე ვქენიო.

გადასახლებულ საჩხერელ თავადის პეტრე აბაშიძის ქალიშვილი მასწავლებლობს, მას ყავს ერთი მოურავი, ერთი მოჯამაგირე (არ ვიცი „შვილებულია“ თუ „საქმრო“ კავშირის წევრი კი არ არის და არც ხელშეკრულება აქვს დადებული), როდესაც ამ მასწავლებელ „ქალბატონის“ მამულში გავიარეთ აღმოჩნდა, რომ მას ყანაში ჩამოუყვანია 7-წლედიდან სამი მოწაფე,—თან ერთი გლეხიც უსასყიდლოთ ეხმარებოდა.

აბაშიძეს მოუკვდა ბატკანი — მოხერხებულმა ყოფილ თავადმა მკვდარი ბატკანი ფანჯრიდან სამკითხველოში ჩაუშვა, აბა რა გასაკვირია თავადისაგან ასეთი ხუმრობა, იყო დრო, როდესაც სამკითხველოში ხუმრობით თავადი სხვა მოთხოვნილებებსაც იკმაყოფილებდა.

გლეხმა აბაშიძის საქონელი თავის ყანაში დაიჭირა— სავლე და მოსე აბაშიძემ — მის ნაცვლად, რომ ზარალი აენაზღაურებია — მოუნდომეს გლეხს ხიდიდან გადაგდება, როგორ გაბედე ჩვენი საქონლის დაკავებაო.

მშვიდობიანობის მოყვარულმა ალმასკომის თავმჯდომარემ აჯობინა გლეხების შერიგება თავადებთან, იმის ნაცვლად, რომ გათავხედებული თავადები დაეჭირა.

მათი ერთობა

ყოფ. თავად-აზნაურთა მთავარი დევიზია „ერთად ვიყვეთ გასაჭირში“.

ქალის თემში ჩიკვაიძეს ჩამოერთვა ადგილი, ვინაიდან ის მსახურობს ქუთაისში და მიწასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ალმასკომს განზრახული აქვს იქ სკოლის აგება. აბაშიძეებმა, რომ ამ საქმეს ხელი შეუშალონ, მოულოდნელად იშვიათი გულკეთილობა გამოიჩინეს სოფლის საქმისადმი. მათ განიზრახეს წყლის ნაპირების გამაგრება და ეკლესიის ეზოში სკოლის დადგმა, ჩვენ ვკისრულობთ ამ საქმის მოგვარებასო. ამბობენ ისინი. რატომ იწუხებენ აბაშიძეები თავს?

ისინი ასე მსჯელობენ: თუ ჩიკვაიძის ადგილში სკოლა ჩადგეს, დრო, რომ შებრუნდეს, ძნელი იქნება მიწის დაბრუნებაო, ამიტომ მოდი სკოლა ეკლესიის გალავანში ავაგოთო.

ამბობენ ამ საქმეში ხელი ურევია ნიკო აბაშიძეს — პარტიის წევრს და რკინის გზის რევიზორსო.

მერევიდგან გადასახლებულია ბანდიტი პეტრე წერეთელი — თავად-აზნაურობა ხელისმოწერას აწარმოებს, რომ პეტრე „პატიოსან“ კაცათ დაუსახოს ხელისუფლებას.

რა ამაგრებს ყოფ. თავად-აზნაურთა გავლენას

რა აიძულებს გლეხებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში კიდევ ემსახურონ ბატონს უმთავრესი მიზეზი არის ის, რომ საუკეთესო მიწები რეფორმის გატარების დროს დარჩათ ნორმაში თავად - აზნაურებს. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ჩვენს მაზრაში საერთოდ მიწის სივიწროვეა და ყოფ. თავადებს კი დაურჩათ 16 — ქცევა მიწის ნორმაში, ისინი დღესაც მემამულეები არიან გლეხებთან შედარებით.

ამასთანავე ურეგისტრაციო იჯარა არ საზღვრავს მიწის სარგებლობის ვადას, უმიწაწყლო გლეხს ეშინია მემამულემ მას მიწა არ ჩამოართვას და სხვა მოიჯარადრეს არ გადასცეს.

მეორე მიზეზია, უღარიბეს გლეხობის შეუკავშირებლობა. არ ეწყობა ღარიბთა კრებები. როდესაც ქორეთის თემში ჩვენ საკითხი დავსვით ჩვენი ნარკვევების შესახებ, ერთმა ღარიბმა გლეხმა შემდეგი განაცხადა: „ჩვენ ბედნიერი ვართ დღეს, რომ ჩვენ კრებაზედ არ არიან მდიდრები და თავადები, თორემ მათთან ვერაფერს ვერ ვიტყოდითო“. ამ გლეხმა მაგალითიც მოიყვანა იმის შესახებ, რომ სას.-სამ. გადასახადის ობიექტების აღრიცხვის დროს კომისიებში კულაკებმა ძალით თავის კანდიდატები გაიყვანესო.

ხშირად ალმასკომები იმის ნაცვლად რომ აშკარათ მხარი დაუჭირონ უღარიბეს გლეხის კანონიერ საჩივარს, თავადების წინააღმდეგ, „გამოდიან“ შემრიგებლების როლში.

თითო-ოროლა კომუნისტებიც არიან ისეთები, რომლებიც ყოფილ თავადთა კამპანიაში ატარებენ დროს. ხშირად ყოფილი თავადი განგებ დაიახლოვებს კომუნისტს, რომ შემდეგ მისი საშუალებით სხვაზედ იქონიოს გავლენა.

გალექსილი სისულელე

სუსტია მოჯამაგირეთა კავშირის მუშაობა. სხვათა შორის საჭიროა აღინიშნოს ერთი წვრილმანი. მიწა-ტყის კავშირს გამოუცია მოჯამაგირეთათვის პლაკატი, ლექსებით, რომელიც ადუნებს მოჯამაგირეთა კლასიურ თვითშეგნებას.

მომყავს პლაკატიდან რამოდენიმე სისულელე ლექსად:

„ეხლა სესია მუშაობს თანახმად ხელშეკრულების,
სადღაა იმის სხეულზე, ძველი იარა-წყლულები?
სამუშაო დროც წინდაწინ პირობით განსაზღვრულია,
კარგი აქვს ჩაცმა-სმა-ჭამა, საერთოთ კარგათ უვლიან.
მოჯამაგირე ბიჭებიც საერთო სუფრას სწვევიან.
მოლხენილები ხუმრობენ, პურ-ღვინოს შეექცევიან.
ერთნაირი აქვთ სმა-ჭამა ეხლა ასეთი წესია.

ასეთია მოჯამაგირეთა ანუ მიწა-ტყის კავშირის საგიტაციო მუშაობა.

მე მოვიყვანე აქ რამოდენიმე ფაქტები საჭირბოროტო საკითხებზე პირადი დაკვირვებიდან. ვფიქრობ, რომ ისინი გამონაკლისს არ წარმოადგენენ, საკმარისი არაა მარტო ფაქტების აღნუსხვა, საჭიროა პრაქტიკული ზომები. ამაზე უნდა იზრუნონ სათანადო ორგანოებმა.

ო. კომახიძე.

მუშათა ცხოვრება

ხშირად ასეთი თათბირები
(წერილი სენაკიდან)

საწარმოო და ეკონომიური თათბირების მუშაობა მაზრაში ძალზე მოისუსტებდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მაზრაში ქარხნებიც არის, წამოწყებებიც, და სამეურნეო და კოოპერატიული ორგანოებიც. საწარმოო და ეკონომიური თათბირების მოწყობას და მათი მუშაობის გაჯანსაღებას პროფკავშირები ძალზე ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. იქაც კი, სადაც ასეთი თათბირები ეწყობოდა, კომისიებიც ასე თუ ისე მუშაობდნენ, მათი საქმიანობა არ იყო ნაყოფიერი, მუშაობა მოდუნებული და ზანტი იყო. ასე იყო მარნის ხე-ტყის ქარხანაში—ასე იყო სენაკის „ეპო“-შიაც.

სამაზრო პროფბიურომ ამ საკითხს სერიოზული ყურადღება მიაქცია და 17 ივნისს ადგილობრივ მუშათა კლუბებში მოიწვია პროფაქტივის ფართო თათბირი საწარმოო და ეკონომიურ თათბირების მუშაობისა და მათი გაჯანსაღების ამოცანების გასაშუქებლად და გადასაწყვეტად. სამპროფბიუროს თ—რის ამხ. ჯოჯუას მოხსენებიდან გამოირკვა: საწარმოო და ეკონომიური თათბირების მუშაობაში ფართო მასების ჩაუბმელობა. ზოგან თათბირების კომისიები ცვლილდნენ. საწარმოო და ეკონომიური თათბირების მოუწყობლობა ზოგ წარმოება-დაწესებულებებთან. არსებული თათბირების უმოქმედობა, შედეგების აღრიცხვის უქონლობა და სხვა.

კამათში გამოსული ამხანაგებიც აღნიშნავდნენ ამ თათბირების უმოქმედობას და საჭიროდ სცნობდნენ მათ ჩამოყალიბებას იქ სადაც არ იყვნენ და აგრეთვე იმათი მუშაობის გამოცოცხლებას, სადაც არსებობდნენ, მაგრამ არაფერს აკეთებდნენ.

თათბირმა გაითვალისწინა ყველაფერი ეს და აუცილებელ საჭიროდ სცნო ზომების მიღება საწარმოო და ეკონომიურ თათბირების მოსაწყობად, მუშაობის გამოსაცოცხლებლად და ფართო მასის ჩასაბმელად ამ თათბირებში.

დასასრულ კრებამ გაარჩია საკითხი პროფკავშირების სოფლად მუშაობის შესახებ. კულტურულ მუშაობის გამოცოცხლება, ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, ბრძოლა გაჭიანურება და ყოყოჩობასთან, ურთიერთ-დამხმარე სალაროების მუშაობის გაჯანსაღება და სხვა.

თათბირმა აღნიშნა რა დეფექტები სოფლად მუშაობის საკითხში—საჭიროდ სცნო მთელი რიგი ზომების მიღება მასიურ მუშაობის გაფართოების, თვით-კრიტიკის ლოზუნგის სწორედ გატარების და სხვა საკითხების მოსაწესრიგებლად პროფკავშირების აქტიური ხელმძღვანელობით.

ასეთი თათბირები დიდ შედეგებს იძლევიან და საჭიროა მათი ხშირად მოწყობა.

ბ. უჩანეიშვილი

—:—

ვის ფულებს ფანტავთ

№ 1 აგურის ქარხნის ექსპედიტორი ალ. სუხიშვილი, ძალზე გათამამებულია. იგი არ ზოგავს სახაზინო ქონებას და ფულებს ზერიგით ფანტავს:

ამას წინად საჭირო იყო წყლის საზიდი კასრების დაწყობა ბორბლებზე, რის გამო კასრები გადაგზავნილი იქნა სახელოსნოში, რამოდენიმე დღის შემდეგ, სუხიშვილის განკარგულებით ქარხნიდან წავიდა ერთი მუშა ცხენით ამ კასრების წამოსაღებად, მაგრამ სუხიშვილი არ დაელოდა მის მიერ გამოგზავნილ მუშას და ცხენს და კასრი გაატანა კერძო პირს, რომელსაც მისცა ორი მანეთი.

სუხიშვილის ასეთი საქციელი პირველი არ არის. ის ძალიან ხშირად იწვევს სრულიად ზედმეტ ხარჯებს და წარმოებას აყენებს აუარებელ ზარალს. თვით კასრების შეკეთებაც ქარხანას ძალიან ძვირად დაუჯდა. საწარმოო თათბირის აზრით მისი შეკეთება უფრო იაფად შეიძლებოდა. გარდა ამისა კასრები ვერ არის საფუძვლიანად შეკეთებული.

ქარხნის მეორე ინსტრუქტორმა, მჭედელს შეაკეთებინა ტაჟკის ღერძი, რომელშიაც გადაიხადა სამი მანეთი, მაშინ როდესაც ასეთი ღერძის შედუღებაში, სუხიშვილი იხდის ხუთ მანეთს. ასე უთავბოლოდ და უყურადღებოდ ხარჯავს სახაზინო ფულებს აგურის ქარხნის ინსტრუქტორი სუხიშვილი.

ვინ მიაქცევს ამ გარემოებას ყურადღებას?

ფუდაძე.

—:—

საქმიანი თათბირი
(№ 1 თბ. ხე-ტყის ქარხანა)

სატყეო ტრესტის № 1 ხე-ტყის ქარხნის საწარმოო თათბირის სხდომამ, რომელსაც დაესწრო ტრესტის, ხეზე მომუშავეთა კავშირის, ს. მ. უ. ს. და მუშათა გლეხთა ინსპ. წარმომადგენლები, განიხილა თბ. № 1 ხე-ტყის ქარხნის დახურვის და მცხეთის ახალ ქარხნის ამუშავების საკითხი. ამ საკითხის გარშემო მოხსენებით გამოვიდნენ სატ. ტრესტიდან ამხ. ბრეგვაძე, ჯეჯელავა და ვალიანი. მომხსენებლებმა გააცნეს დამსწრეთ მცხეთის ქარხნის აგების ისტორია და მისი გამოყენების საკითხი და სთქვეს, რომ თუმცა ქარხანა უკვე წელიწადია მზად არის, მაგრამ სხვადასხვა დამაბრკოლებელი მიზეზების გამო, მისი ამუშავება დღემდე არ მოხერხდა. ამჟამად ამ ქარხნის ამუშავების საკითხი საბოლოოდ არის მიღებული და ამუშავდება 1-ლ ივლისიდან.

მცხეთის ქარხანა მოწყობილია ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. გარდა ამისა ამ ქარხნისათვის ნედლი მასალის მიწოდება უფრო ადვილი და მოსახერხებელია, ვიდრე თბილისის ქარხნებისათვის. რომ არ დიკეტოს თბ. ქარხანა, საჭიროა მდ. მტკვარის ნაპირების გამაგრება და სხვა მრავალი ტეხნიკურ მოთხოვნილებათა შესრულება, არც საგრძნობ ხარჯებს მოითხოვს. მაგრამ ეს მაინც არ ხსნის საკითხს თბილისის ქარხნის დაკეტვისას, რადგან თბილისის საბჭოს გადაწყვეტილი აქვს მადატოვის კუნძულის გასუფთავება. გარდა ამისა ქარხანა არ არის ნედლი მასალით უზრუნველყოფილი. „ზაჭესი“ აფერხებს ტივებს გამოზიდვას და იწვევს ზედმეტ ხარჯებს, ამიტომ მიზანშეწონილია მცხეთის ქარხნის ამუშავება. ამით ჩვენ გავაიაფებთ ნაწარმოებს: თბილისში, ხის დახერხვა კვ. ვერშოკი ჯდება 90 კაპ. მცხეთაში კი დაგვიჯდება 73 კაპ. საერთოდ მცხეთაში გადასვლით წარმოება 50 პროცენტით გაიზრდება.

კამათში გამოსული ზოგიერთი ამხანაგების აზრით, ტრესტის ახალი ქარხნების ამუშავებამ, ტრესტს აუარებელი ზარალი მისცა. ამიტომ წინასწარ, წარმოდგენით შედგენილ ცაფრებს არ უნდა დაუჯეროთ. ჯერ ჯერობით საჭიროა მცხეთის ქარხნის საფუძვლიანად გამოცდა ყოველის მხრივ და შემდეგ კი უნდა დაისვას საკითხი მისი ამუშავების შესახებ. ისე, რომ თბილისის ქარხნის დაკეტვა ჯერ ნაადრევია.

თათბირმა აირჩია კომისია, კავშირის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ტრესტის წარმომადგენლების შემადგენლობით, რომელსაც დაევალა ერთი თვის განმავლობაში ჩაატაროს წინასწარი საცდელი მუშაობა და შემდეგ დასვას საკითხი გამოცდის შედეგების შესახებ. ხოლო თბილისის ქარხნის სავსებით დახურვის საკითხი, ჯერ ჯერობით ღიათ დარჩეს.

კინო.

—:—

რა გამოირკვა

საქ. კ. პ. ცეკას ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებაში შესდგა რკინისგზის მთავარ სახელოსნოებისა, საკუჭის, 26 კომუნარის სახელობის, თამბაქოს ქარხნის და 2 სხვა მსხვილ წარმოების კედლის გაზეთების სარედ. კოლეგიების თათბირი. თათბირმა მოისმინა მოხსენება მთავარ სახელოსნოს რედკოლეგიის მუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ არავითარი ხელმძღვანელობა რედკოლეგიებზე ადგილკომის და არც პარტუჯრედების მხრივ არ ყოფილა. ადმინისტრაცია ანგარიშს არ უწევს რედკოლეგიას და შენიშვნებზე პასუხს არ იძლევა და თუ მისცა პასუხი, შენიშვნის მოთხოვნილებას იგი ვერ აკმაყოფილებს; ეს გარემოება კი ხალისს უკარგავს კორესპონდენტებს გაზეთში თანამშრომლობისას.

აქვს ადგილი აგრეთვე მუშკორთა არა პირდაპირ დევნაც. ცენტრალურ გაზეთების რედაქციები ხელმძღვანელობას სრულებით არ უწევენ. თათბირმა შეიმუშავა პრაქტიკული მითითებანი, რომელიც საფუძვლად დაედება სარედაქციო კოლეგიების მომავალ მუშაობას.

ს. შავკლდეველი.

—:—

მუშკორთა წერილებიდან

სახლი ინგრევა. უშველეთ. რუსთაველის ქუჩა (ლენინის რაიონი) სახლი № 2 — ეკუთვნის ვინმე თიხილაშვილს, რომელიც არავითარ ყურადღებას არ აქცევს სახლს. სახლს დღედღეზე მოელის დანგრევა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ უქმა ერთხელ პასუხისგებაში მისცა სახლის პატრონი, ის მაინც არ აქცევს ყურადღებას სახლს. სახლი ინგრევა, უშველეთ.

ტრამვაიდან ავტომობილში. 17 ივნისს, წყნეთის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონს წამოეწია ავტომობილი № 316 და ისე მიუახლოვდა ვაგონს, რომ ტრამვაისა და ავტოს გაუჩერებლივ ტრამვაიდან დიდის გრეხვით ავტომობილში გადავიდა ერთი მოქალაქე. მგზავრები განცვიფრებული დარჩნენ შოფერისა და ვიღაც მოქალაქის ასეთი საქციელით. ჩვენის აზრით ორივეს უნდა მოეთხოვოს პასუხი.

ფხიზელი თვალი.

დაეხმარეთ წითელ არმიელის ოჯახს. ამხ. ფრუნზეს სახელობის მეორე ქართულ მსროლელ დივიზიის მეორე საარტილერიო ლეგიონის წითელ არმიელ ტაბატაძის ოჯახი, რომელიც შესდგება მცირეწლოვან ბავშვებისაგან, დიდ გაჭირვებას განიცდის. ნახევარზე მეტი ბავშვები მშიერები დაიარებიან. სათანადო ორგანომ დახმარება უნდა გაუწიოს წითელ არმიელის ოჯახს.

მეზობელი.

თავხედობას განაგრძობს (ოზურგეთი). ოზურგეთის ძაფსაღებ ფაბრიკის ბუღალტერი, მოქ. დ. პაიჭაძე, კვლავ განაგრძობს მუშებისადმი უდიერად მოპყრობას. ამას წინად მუშებმა მოითხოვეს ზედმეტი საათების ჯილდო, მაგრამ ბუღალტერი არ აკმაყოფილებდა მუშების მოთხოვნილებას. საქმე განიხილა ადგილკომმა და დაადგინა, მიეცეთ მუშებს ზედმეტი საათების ჯილდო. ეს არ კმარა. საჭიროა ბუღალტერს გამოეცხადოს საყვედური.

ალიხ.

თათბირი კეთროვანთა ახალშენის მოწყობის შესახებ

23 ივნისს გაქეში შესდგა ამიერ-კავკასიის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთა წარმომადგენლების თათბირი კეთროვანთა ახალშენის მოწყობის შესახებ.

თათბირს დაესწრენ სპეციალისტი-ექსპერტები პროფ. ვ. კედროვსკი და ექ. ი. კოვალოვი. წარმოდგენილ მასალებთან გაცნობის შემდეგ თათბირმა დაადგინა, რომ კეთროვანთა ახალშენი მოწყობილი იქნეს შემახაში, ან განჯაში.

თათბირმა ამასთანავე გამოყო კომისია, რომელსაც მიენდო ორივე ამ ადგილების დათვალიერება-შესწავლა და შესაფერი ცნობების შეგროვება. შემახის და განჯის რაიონების დათვალიერების შემდეგ 26 ივნისს კომისია ჩამოვიდა თბილისში.

თბილისში კომისია შეუდგა კეთროვანთა ახალშენის გენერალური პროექტის ცალკე ნახაზების განხილვას და ე. წ. განმარტებითი ბარათის შედგენას. კომისია მუშაობს საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან.

კომისია მუშაობის დამთავრების შემდეგ მთელ მასალას გადასცემს განსახილველად და შესამოწმებლად ამიერ-კავკასიის სატეხნიკო-სამშენებლო კომიტეტს.

კეთროვანთა ახალშენის ასაგებ სატიპო პროექტის განხილვაში მონაწილეობას ღებულობენ—პროფ. კედროვსკი და ექიმები: კოვალიოვი, ლ. ნაზარეტიანი, კიშმიშიანი და ალიბეგოვი.

ცეკავშირის ინსტრუქტორთა ყრილობა

კამათი ადგილების მოხსენებების გარშემო

ყრილობის მუშაობის მესამე დღეს, გაიხსნა კამათი ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენებების გარშემო. ამხ. ჭავჭანიძე აღნიშნავს, რომ ადგილებიდან მოსმენილი მოხსენების შემდეგ უფრო ნათელი გახდა ყველა ის შეცდომები, რომელთაც ადგილი აქვთ ცეკავშირის მთელი აპარატისა და კერძოდ ინსტრუქტორების მუშაობაში. ორატორი ფიქრობს, რომ ყველა ეს შეცდომები დაწვრილებით უნდა აღირიცხოს და მათ გამოსწორებას შეუდგნენ დაუყოვნებლივ. ამასთანავე ორატორს საჭიროდ მიაჩნია ანგარიშწარმოების გამარტივება და ინსტრუქტორთა მოვალეობების უფრო გარკვეული ჩამოყალიბება.

ამხ. **შ. გოგებაშვილი** საჭიროდ სთვლის, რომ თვით ინსტრუქტორებმა განავითარონ თვითმოქმედება და „შეეცადონ ზევიდან განკარგულების მიღებამდე ყველა საჭირო საქმის მოგვარებას.

ინსტრუქტორი—**გ. ბერძნიშვილი** ამტკიცებს, რომ ინსტრუქტორებისათვის არ არის გამომუშავებული შესაფერი სამუშაო მეთოდი, რაც დიდ დაბრკოლებას იწვევს. მას ამასთანავე საჭიროდ მიაჩნია ინსტრუქტორების განტვირთვა ზედმეტი დავალებებისაგან.

ამხ. **კანდელაკი** და **კოზირია** ჩერდებიან ინსტრუქტორების მუშაობის დახასიათებაზე და აღნიშნავენ, რომ ინსტრუქტორების მოვალეობას ის კი არ შეადგენს, რომ თვით ჩაატარონ ცალკე კოოპერატივებისათვის ანგარიშების და გეგმის შედგენა, არამედ იმაში, რომ დაეხმარონ ადგილობრივ მუშაკებს ამ საქმეში.

ამხ. **ზალდასტანიშვილი** და **მაისურაძე** ეხებიან პარალელიზმს ინსტრუქტორებისა და ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილების მუშაობაში. მათ ეს პარალელიზმი მიაჩნიათ უაზროდ და მოითხოვენ, რომ ამას ყურადღება მიაქციოს ცეკავშირმა.

კამათში მონაწილეობას ღებულობდნენ აგრეთვე—**შენგელაშვილი, კიკალიშვილი, ხანთაძე** და **იარალოვი**.

მუშკოოპის საქმიანობა

შემდეგ სხდომაზე ყრილობა ისმენს თბილისის მუშკოოპის წარმომადგენლის **ა. სეხნიაშვილის** მოხსენებას მუშკოოპის საქმიანობის შესახებ. მომხსენებელი დაწვრილებით გადმოსცემს მუშკოოპის აპარატის სტრუქტურას, ინსტრუქტორების საქმიანობას და მოყავს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს ამჟამად მუშკოოპი.

მომხსენებელი აღიარებს, რომ წელს, პურის ბაზარი მთელ ქალაქში მუშკოოპმა ჩაიგდო ხელში; სათბობი მასალაც მთლიანად მუშკოოპის აპარატით ნაწილდება. ასეთი მასალებს ეკუთვნის—ნავთი, მაზუთი, ბენზინი, ქვანახშირი და სხ. შესამჩნევი დაბრკოლებებია მხოლოდ ბოსტნეულობის და სას.-სამეურნეო პროდუქტების ბაზარზე. ეს, მისი აზრით იმითაა გამოწვეული, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, რომელსაც დავალებული აქვს აღნიშნული პროდუქტების დამზადებაზე ხელმძღვანელობის გაწევა ჯერ-ჯერობით კიდევ სუსტია. მნიშვნელოვანი დაბრკოლებები არის აგრეთვე ხორცით ვაჭრობის საქმეში. ამ მხრივ ხელის შემშლელ გარემოებათ მომხსენებელი ასახელებს ამ დარგისათვის მომზადებულ მუშაკთა ნაკლებობას.

მუშკოოპის წარმომადგენელს მოხსენების შემდეგ მისცეს მრავალი შეკითხვა.

ახალი მაღაროები ტყიბულში

ამ რამოდენიმე დღის წინედ სამთო მრეწველობის ტრესტის ინიციატივით ტყიბულში გაიგზავნა სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია, თუ როგორ შეიძლება ქვანახშირის ამოღების გადიდება ტყიბულის მაღაროებში რაციონალიზაციის გატარებასთან დაკავშირებით. კომისიას ამავე დროს მხედველობაში უნდა მიეღო ის გარემოება, რომ რაციონალიზაციის გასატარებელი მუშაობა გაგრძელდება რამოდენიმე თვეს და ამ პერიოდის განმავლობაში მოსალოდნელია შემცირდეს ნახშირის ამოღება, თუ წინასწარი ზომები არ იქნა მიღებული.

კომისიამ მოახდინა ტყიბულის რაიონის დეტალური დათვალიერება და გამოარკვია, რომ შესაძლებელია დაწყებულ იქნეს ნახშირის ამოღება ნაცვლად ზოგიერთი საფრთხილო მაღაროებისა, ახალ ადგილებზე. ასეთ ადგილებათ მიჩნეულია აღმოსავლეთის უბანი და თიხნარი.

კომისიის თბილისში დაბრუნების შემდეგ ს. მ. უ. საბჭოში გაიმართა თათბირი, რომელსაც ესწრება კომისიის მთელი შემადგენლობა და ს. მ. უ. ს. განყოფილებების სპეციალისტები.

თათბირი თავის მუშაობას დაასრულებს ერთ კვირაში და შეადგენს ტყიბულში ახალი მაღაროების გაყვანის გეგმას.

აბჰესი--ქუთაისი

წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა ელექტრო-გადამცემ ხაზის გასაყვანად აბაშის ჰიდრო-ელექ. სადგურთან ქუთაისამდე ხაზის გაყვანას ხელმძღვანელობს ინჟ. გიუმყრელი. ხაზის გაყვანის მთავარი მიზანია ელექტრო-ენერგიის მიწოდება ს. მ. უ. საბჭოს წარმოებებისათვის, რომლებიც ამჟამად შენდება. ასეთია ბარიტის ქარხანა ქუთაისში, აბრეშუმის ძაფსახვევი ქარხანა ქუთაისში და ხონში და მოწამეთის კირის ქარხანა. ამას გარდა, ხაზი საჭიროა ქუთაისის და ხონის გასანათებლად, რიონჰესის დროებით სამუშაოებისათვის და ქუთაისის მაუდის ფაბრიკის ელექტროფიკაციისათვის.

ამჟამად სწარმოებს მასალების მიზიდვა ადგილებზე. მუშაობა გადამცემ ხაზის გასაყვანად დამთავრდება ნოემბრისათვის.

ამას გარდა, ქუთაისში შენდება სატრანსფორმატორო ქვე-სადგური, რომელსაც დაუკავშირდება გადამცემი ხაზი რიონჰესიდან. ხონში შენდება სატრანსფორმატორო ქვე-სადგური განმანაწილებელი პუნქტით; აქედან ენერგია გადაცემული იქნება სამტრედიაში.

მუშაობა სწარმოებს იმ ანგარიშით, რომ ყველა ხაზები დაუკავშირდეს ერთმანეთს და გამოყენებული იქნეს, როგორ აბჰესისა, ისე რიონჰესისათვის.

სახელმწიფო დაზღვევა

770.000 მანეთი შენობების და ქარხნების დასაზღვევად

საქ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს ცნობით, მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში დაზღვეულ იქნა მრავალი შენობა, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. სახ. დაზღვევის სამმართველოში ყველა შენობების და ფაბრიკა-ქარხნების დაზღვევიდან უნდა შემოსულიყო 770.000 მანეთი. ამ თანხიდან საანგარიშო წლის პირველ ორ მეოთხედში აკრეფილი იყო 335.087 მანეთი. ამავე ხნის განმავლობაში ადგილი ჰქონდა 148 ხანძრის შემთხვევას. ხანძრით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებამდე 1-ლ აპრილამდე გაცემული იყო 77.343 მანეთი.

დაზღვევის სამმართველოში მიღებულია ცნობები, რომ რესპუბლიკაში წელს ადგილი ჰქონდა ხანძრის განზრახ გაჩენის 42 შემთხვევას, რამაც გამოიწვია 24.881 მანეთის ზარალი. აღნიშნული ზარალი არ არის ანაზღაურებული და განზრახ სახლების დამწველთა საქმე გადაცემული აქვს საგამომძიებლო ორგანოებს.

სატრანსპორტო ტვირთების დაზღვევა

მიმდინარე საანგარიშო წლის 1-ლ აპრილამდე მთელ რესპუბლიკაში დაზღვეული იყო 1.641 სატრანსპორტო ობიექტი 15904000 მანეთის ღირებულებისა. სადაზღვევო პრემიის სახით დაზღვევის სამმართველომ მიიღო 72.687 მანეთი.

1-ლ აპრილამდე რესპუბლიკაში ადგილი ჰქონდა ტვირთების დაკარგვის და დაზიანების 5 შემთხვევას, რის გამო ანაზღაურებულია 1.390 მანეთის ზარალი.

შირაქის ნავთი

გუშინ, იტალიიდან თბილისში დაბრუნდა იტალო - ბელგიის საკონცესიო საზოგადოების დირექტორი და შირაქის ნავთიანი ადგილების გამოსაკვლევ სამუშაოთა უფროსი ინჟ. ფ. როდრიგეცი, რომელიც გამგზავრებული იყო იტალიასა და ბელგიაში შირაქის საკონცესიო საზოგადოების მიერ დაწყებულ სამუშაოთა ზოგიერთი საკითხების მოსაგვარებლად. ინჟ. როდრიგეცმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

გაზაფხულზე საკონცესიო საზოგადოებამ შირაქში დროებით შეწყვიტა სამუშაოები. ეს ზოგიერთ წრეებში, განსაკუთრებით საზღვარგარეთ, ისე გაიგეს, თითქოს საკონცესიო საზოგადოებას განზრახვა ჰქონდეს საბოლოოდ შეწყვიტოს შირაქში დაწყებული მუშაობა. არსებითად კი სამუშაოების შეწყვეტა იმით იყო გამოწვეული, რომ დიდი ზამთრისა და გაზაფხულის წყალდიდობის გამო ჭაბურღილების ამოსაღები სამუშაოები ძალიან დაბრკოლდა და ჩვენ უფრო მიზანშეწონილად ვსცანით ეს სამუშაოები გადაგვედვა უფრო ხელსაყრელ ამინდების დადგომამდე. ევროპაში ჩასვლისას საჭირო იყო საზოგადოების მთავარ გამგეობისათვის გამეცნო საქმის არსებითი მდგომარეობა და მოგვეხდინა სამუშაოთა მწარმოებელი აპარატის მცირედი გადახალისება.

წინასწარ დამტკიცებული გეგმით, საზოგადოებამ მიმდინარე საკალენდარო წლის ბოლომდე უნდა ამოიღოს პირველი ჭაბურღილი 500 მეტრის სიღრმეზე. ამ სიღრმის მიღწევა სამუშაოთა წარმოების ძველი წესით ძნელი იყო და ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად ვსცანით სამუშაოთა რეორგანიზაცია. სამუშაოების აღდგენას არაფერი არ შეუშლის ხელს, რადგანაც საჭირო მუშა-ხელით უზრუნველყოფილი ვართ.

ამჟამად შირაქში დაწყებული ნავთის გამოსაკვლევი სამუშაოები ფინანსიურად სავსებით უზრუნველყოფილია; სამუშაოთა საწარმოებლად საჭირო იარაღები და მანქანებიც საკმაოდ გვაქვს მომარაგებული. საკონცესიო საზოგადოების მთავარი გამგეობის დავალებით შირაქის ჭაბურღილებზე სამუშაოები აღდგენილი უნდა იქნას ივლისის 1-ლი რიცხვებიდან.

ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს პლენუმი
უკანასკნელი სხდომა

გუშინ დამთავრდა ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს პლენუმი.

აზრთა გაცვლა-გამოცვლისა და მომხსენებლების საბოლოო სიტყვების შემდეგ პლენუმმა გამოიმუშავა მომავალი მუშაობის გეგმა.

დასასრულ პლენუმმა მიიღო შემდეგი დადგენილება: პლენუმი საჭიროდ სცნობს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გეგმის შედგენის დროს გათვალისწინებული იქნეს ეროვნული უმცირესობათა რაიონების კულტურული ჩამორჩენილობა. ეთხოვოს განათლების კომისარიატს ხელი შეუწყოს ეროვნულ უმცირესობათა სკოლების ბუნებრივ ზრდას.

ეროვნულ უმცირესობათა შორის საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღების უზრუნველსაყოფად სისტემატიურად უნდა სწარმოებდეს ეროვნულ უმცირესობათა სკოლების მასწავლებელთა გადამზადება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თურქ მასწავლებელთა გადამზადებას. ამ მიზნით პლენუმმა დაადგინა თბილისში მოეწყოს თურქული 9 წლედი პედაგოგიური განხრით ამას გარდა ყარაიაზში (თბილისის მაზრა) უნდა გაიხსნას თურქ გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა, ხოლო ყარათეკლასა და ტაშაფენდში (თბილისის მაზრა)—პირველი საფეხურის სკოლები და ყარაიაზში— პროფსკოლა.

ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს დაევალა ყურადღება მიაქციოს კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა მოწყობას და გაუმჯობესებას.

ასირიელების, ოსების, ეზიდების და ბერძნებისათვის თბილისში უნდა მოეწყოს ინტერნაციონალური სკოლა პედაგოგიური განხრით და საერთო საცხოვრებლით.

სოფლად სასკოლო მშენებლობაში ფართოდ უნდა იქნას ჩაბმული მოსახლეობა, მიღებული უნდა იქნეს ზომები სკოლებში მოწაფეთა რიცხვის გასადიდებლად და სამოსწავლო წლის გასახანგრძლივებლად.

ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში გახსნილი უნდა იქნეს დაბალი საფეხურის სასოფლო სამეურნეო სკოლები, საბავშვო ბაღები, მოედნები, პროფსკოლები თურქ ქალებისათვის და არსებული სკოლები მომარაგებული უნდა იქნეს საჭირო ინვენტარით.

სასკოლო მშენებლობის გასაძლიერებლად პლენუმმა საჭიროდ სცნო სპეციალური ფონდის დაარსება, საჭიროდ არის ცნობილი აგრეთვე მასწავლებელთა ხელფასის გადიდება.

საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩატარების წინასწარი გეგმა.

ნათესების სივრცის გადიდება

ამ გეგმის მიხედვით განზრახულია შემოდგომის ნათესების სივრცე გადიდებულ იქნეს 13,3 პროცენტით. სულ დათესილი იქნება 300.000 ჰექტარი მიწა. აქედან ხორბლეული დაითესება 277.481 ჰექტარზე, ქერი—20101 ჰექტარზე და ჭვავი—2.418 ჰექტარზე.

სათესი მასალა

აღნიშნული სივრცის დასათესავად საჭირო იქნება 52.416 ტონა ხორბალი, 3.314 ტონა ქერი და 424 ტონა ჭვავი.

სათესი მასალით უზრუნველყოფას შემოდგომის თესვის კამპანიისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა აღმოსავლეთ საქართველოში, რადგან იქ უმეტესად ითესება ხორბლეული.

სახელმწიფო ორგანოების მიერ სათესი ფონდისათვის დამზადებული იქნება დაახლოებით 11.194 ფუთი ხორბლეული, რომელიც პირველ რიგში გაუნაწილდება სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებს და ღარიბ მეურნეებს. სათეს მასალას ნაწილობრივ დაამზადებს „სოფლის კავშირი“-ც.

მუშა-საქონელი

სტატისტიკური ცნობებით ამჟამად მთელ საქართველოში მუშა-საქონლის რაოდენობა უდრის სულ 569700 სულს, აქედან 418.000 ხარია, 76.000 კამეჩი და 75.000 ცხენი.

რადგან საქართველოში სახნავ მანქანების სიმცირის გამო, მიწის დამუშავება უმთავრესად სწარმოებს მუშა-საქონლის საშუალებით, და ეს რაოდენობა მხოლოდ სანახევროდ და აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ამიტომ გეგმით გათვალისწინებულია შემოდგომის თესვის კამპანიისათვის პირველ რიგში კოლექტივები და ულარიბესი გლეხობა უზრუნველყოფილ იქნეს მუშა-საქონლით.

საქართველოში 20.639 მეურნეობას არა ჰყავს მუშა-საქონელი. მათ განკარგულებაში არის 65.000 ჰექტარი მიწა. აქედან შემოდგომაზე უნდა დაითესოს 17.000 ჰექტარი.

წინასწარი გამოანგარიშებით ხსენებულ მეურნეთა დასაკმაყოფილებლად საჭიროა 24.000 ცალი ხარი. მომავალ შემოდგომისათვის ამ რიცხვიდან შეძენილი იქნება მხოლოდ 2400 ხარი.

ხარ-კამეჩის ნაკლებობა წელს უნდა შევსებულ იქნას ტრაქტორებისა და მუშა-საქონლის კოლექტიურად გამოყენების გზით.

მუშა-საქონლის შეძენის საქმე დაეკისრება „სოფლის კავშირს“. საქონლის შესაძენად აქვე თავითვე გაღებული იქნება საჭირო თანხა. ამ მიზნითვე გლეხობას მიეცემათ სესხი საკრედიტო ამხანაგობებიდან.

ა.-კ. ეკონომიურ საბჭოში

სატრიკოტაჟო ფაბრიკა აგებული იქნება თბილისში

ა.-კ. უმაღლეს ეკონომსაბჭოს დადგენილებით სატრიკოტაჟო ფაბრიკის ასაგებად ყველაზე უფრო მოხერხებულ ადგილად მიჩნეულია ქ. თბილისი.

იჯევანის ჰიდრო-ელსადგური

ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურმა საბჭოს მოიწონა ა.-კ. საამშენებლო ტეხნიკური კომიტეტის დასკვნა იჯევანის ჰიდრო-ელსადგურის შესახებ. იჯევანის ჰიდრო-ელსადგურის აგება დაჯდება 900.000 მანეთი. სომხეთის ეკონომსაბჭოს წინადადება მიეცა მიიღოს ზომები იჯევანის ჰიდრო-ელსადგურის სადერივაციო არხის დასაცავად.

ხსნარ ნახშირ-მჟავას ქარხანა არზნაში

ა.-კ. ეკონომსაბჭომ მოიწონა ა.-კ. საამშენებლო ტეხ. კომიტეტის დასკვნა არზნაში (სომხეთი) ხსნარ ნახშირმჟავას ქარხნის აგების შესახებ. სომხეთის ეკონომსაბჭოს წინადადება მიეცა შეადგინოს აღნიშნული ქარხნის პროექტი და ხარჯთ აღრიცხვა, შეიმუშაოს ქარხნის პროდუქციის თვითღირებულების კალკულაცია, რომელიც განსახილველად უნდა წარედგინოს ა.-კ. ეკონომსაბჭოს.

ნედლეულის დამზადება

ა.-კ. ეკონომსაბჭომ საჭიროდ სცნო, რომ სას.-სამ. კრედიტის სისტემაში სესხები გაცემული იქნეს იმავე ობიექტებზე, რომლებზედაც გაცემული იყო გასულ წელს. სახელდობრ: ნაწილობრივ ბამბაზე, ნაწილობრივ მატყლზე, კუნკუტზე და კანაფზე.

რაც შეეხება აბრეშუმის პარკს, ეკონომსაბჭომ საჭიროდ მიაჩნია, რომ ამ პროდუქტის დამზადება და კრედიტების გაცემა დაეკისროს სას.-სამ. კოოპერაციას. ამიტომ ა.-კ. ეკონომსაბჭომ შუამდგომლობა აღძრა საკავშირო ორგანოების წინაშე, რათა აღნიშნული დამზადების ჩასატარებლად სახელმწიფო ბანკმა ა.-კ. სას.-სამ. ბანკს გადასცეს საჭირო თანხა.

ფართალი ამიერ-კავკასიისათვის

მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ამიერ-კავკასიისთვის გამოყოფილია 953.000 მანეთის სელის ფართალი. ეს რაოდენობა რესპუბლიკათა შორის განაწილებულია შემდეგნაირად. საქართველოს—480.000 მან., აზერბეიჯანს—363.000 მანეთის და სომხეთს—110.000 მანეთის ფართალი.

საქართველოსთვის გამოყოფილი სელის ფართალი საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატმა ქალაქსა და სოფელს შორის განაწილა შემდეგნაირად: თბილისს—217.000 მან. დანარჩენ ქალაქებს 159.000 მან., სოფელს—83.000 მანეთის ფართალი. სათადარიგო ფონდში გადადებულია 21.0000 მან. ფართალი. ორგანიზაციათა შორის აღნიშნული ფართალი განაწილებულია ასე: მუშკოოპს—110.000 მანეთის, ცეკავშირს—100.000 მანეთის, აფხაზეთის კოოპ. კავშირს—20.000 მან., „ზაკვოენპო“-ს—16.000 მან., „ზაკტპო“-ს—18.000 მან., „საფეიქრო [illegible]—141.000 მან., საქართველოს სახ. ვაჭრობის სააქციო ამხანაგობას—50.000 მან., აჭარისტანის სახ. ვაჭრობის სააქციო ამხანაგობას—10.000 მან. და აფხაზეთის სახ. ვაჭრობის სააქციო ამხანაგობას—15.000 მან. ფართალი.

მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის დადგენილებით, ამიერ-კავკასიისათვის გამოყოფილია 800 ვაგონი ბამბეული ფართალი და 750.000 მან. მატყლის ქსოვილები.

ა. კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის დადგენილებით მეოთხე კვარტალის ხვედრ 800 ვაგონ ბამბეულ ფართლიდან 30 ვაგონი გამოყოფილი იქნება პურის დამამზადებელთა მოსამარაგებლად.

სამკურნალო დახმარება თბილისის მაზრის კურორტებზე

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებაში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს — მიმდინარე საკურორტო სეზონის განმავლობაში თბილისის მაზრის კურორტებზე სამკურნალო დახმარების საქმის მოწესრიგებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. თბილისის მაზრის კურორტებზე უმთავრესად მიდიან თბილისის მუშები და მათი ოჯახის წევრები. ამიტომ საჭიროა მათთვის კურორტებზე დაარსებული იქნეს სათანადო სამკურნალო ქსელი, რომ მუშებს საჭიროების დროს აღმოეჩინოს შესაფერი სამკურნალო დახმარება.

მანგლისში წელს იხსნება პოლიკლინიკა, რომელიც მოაგარაკეებს აღმოუჩენს ყოველგვარ სახის სამკურნალო დახმარებას. სამკურნალო დახმარებისათვის პოლიკლინიკაში დაწესებულია გადასახადი—დაზღვეულთათვის—75 კაპ. და არადაზღვეულთათვის 1მან. 50 კაპ. პოლიკლინიკაში გაცემული რეცეპტებით ავადმყოფებს შეუძლიათ მიიღონ წამალი 20 პროცენტის ფასდაკლებით. გარდა ამისა, მანგლისში იგზავნება აგრეთვე ექიმი ტერაპევტი და ექიმი პედიატრი, რომლებიც უფასო სამკურნალო დახმარებას აღმოუჩენენ დაზღვეულებს და მათი ოჯახის წევრებს.

აღნიშნულ ექიმების რეცეპტებით, ავადმყოფები წამლებს უფასოდ მიიღებენ.

კოჯორშიც დაზღვეულთათვის სპეციალურად გაგზავნილი იქნება ექიმი ტერაპევტი და ექიმი პედიატრი. აღნიშნულ ექიმების სამოქმედო ფარგალში შედის აგრეთვე აგარაკი კიკეთი.

წყნეთში მოაგარაკეთათვის სამკურნალო დახმარების აღმოჩენა მინდობილი აქვს ადგილობრივ საექიმო პუნქტს. უფასო სამკურნალო დახმარების მისაღებად დაზღვეულებმა, რომლებიც მიემგზავრებიან თბილისის მაზრის კურორტებზე, უნდა იქონიონ დაზღვევის წიგნაკი, ან სპეციალური მოწმობა, რომლებიც მთხოვნელებს მიეცემათ ქალაქის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებაში.

კონკურსი ფოსტის საუკეთესო დამტარებელზე

ამას წინად ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს თბილისის მთავარ კანტორის მიერ გამოცხადებული იყო კონკურსი ფოსტის საუკეთესო დამტარებლის სახელწოდებაზე.

კონკურსის მიზანი იყო კორესპონდენციების დაგვიანებით ჩაბარებასთან ბრძოლა, ფოსტის დამტარებლების კლიენტებისადმი დამოკიდებულების გამორკვევა და აგრეთვე იმას გამორკვევა, თუ ფოსტის რომელი დამტარებელი უფრო ჩქარა და უკეთესად არიგებს კორესპონდენციებს.

კონკურსი უკვე დამთავრდა. ამ დღეებში შესდგა საკონკურსო კომისიის სხდომა, რომელზედაც საკონკურსო მასალების განხილვის შემდეგ დაჯილდოებული იქნა ფოსტის 7 დამტარებელი.

პირველი ჯილდო—25 მანეთი მიეცა დამტარებელ ეგისკელოვს.

მეორე ჯილდო—კოსტიუმი მიეცა პავლე ნიკიტინს; მესამე ჯილდო 20 მან.—მიკირტუმოვს; მეოთხე ჯილდო 15 მან.—გუნთაშვილს და მეხუთე ჯილდო 10 მან.—გაბიტაშვილს.

კანტორის ყველა ფოსტის დამტარებელთა შორის ჟიურიმ საუკეთესო ფოსტის დამტარებლის სახელი (ჯილდოს მიუცემლად) მიანიჭა ტ. ნადარეიშვილს და ტრიანდაფილიდის.

განზრახულია ასეთივე ხასიათის კონკურსი ჩატარებული იქნეს დანარჩენ ფოსტის კანტორებშიაც, როგორც თბილისში, ისე რესპუბლიკის დანარჩენ ქალაქებში.

ქუთაისი
(ტელეფონით საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ავტომიმოსვლა ქუთაისი-აბასთუმანი

გაცხოველებით მიმდინარეობს და ახლო ხანში დამთავრდება ზეკარ-აბასთუმანის გზატკეცილის შესაკეთებელი მუშაობა. ავტომობილების მიმოსვლა ქუთაისსა და აბასთუმანს შორის გაიხსნება 15 ივლისიდან.

სიმინდი ქუთაისისათვის

სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა ქუთაისის მაზრისათვის სიმინდის ნორმა გადიდებულ იქნეს 150.000 ფუთამდე.

თავდასხმა

25 ივნისს, სოფ. ნოღის მცხ. გლეხს შველიძეს გაძარცვის მიზნით თავს დაესხა ორი ბოროტმოქმედი. მგზავრების წამოსწრების გამო გაძარცვა ვერ იქნა სისრულეში მოყვანილი. ადგილობრივმა მილიციამ შეიპყრო თავდამსხმელები. ისინი აღმოჩნდნენ ქუთაისის გამსასწორებელი სახლის პატიმრები—გვახარია და ქუთათელაძე, რომლებიც მუშაობდნენ რიონჰესის სამუშაოებზე.

გამსახლის უფროსის მოხსნა

ქუთაისის გამასწორებელი სახლის რევიზიასთან დაკავშირებით მოხსნილ იქნა სამსახურიდან გამსახლის უფროსი კეთილაძე.

უბედური შემთხვევები წყალტუბოს გზატკეცილზე

ბოლო ხანებში წყალტუბოს გზატკეცილებზე გახშირდა უბედური შემთხვევები. ამას წინად ავტომობილმა გასჭყლიტა ერთი გლეხი.

26 ივნისს ერთმანეთს დაეჯახნენ კურორტთა სამმართველოს და „ზაკავტოპრომტორგის“ მანქანები. ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა. საგრძნობლად დაზიანდა „ზაკავპრომტორგის“ ავტომობილი.

უბედურ შემთხვევების მიზეზად ასახელებენ იმას, რომ კურორტთა სამმართველოს ავტომობილები ძლიერ დაძველებული და შეუკეთებელია.

აბრეშუმის პარკი

კარგი ამინდების გამო უკვე დასრულდა აბრეშუმის პარკის ახვევა. პარკის მიღება სწარმოებს.

სეტყვა

26 ივნისს ქუთაისის მაზრაში მოვიდა სეტყვა. თემებიდან მიღებული ცნობებით სეტყვას ვენახები არ დაუზარალებია.

ხუთშაბათს, 28 ივნისს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში „ზარია ვოსტოკა“-ს რედაქცია ს. ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატთან და განათლების მუშაკთა კავშირთან ერთად იწვევს

ფართო სასკოლო თათბირს

დღის წესრიგშია ამხ. მარიამ ორახელაშვილის მოხსენება „სკოლა, ოჯახი, ყოფაცხოვრება“ თათბირზე მიწვეული არიან სასკოლო მუშაკები (სკოლების გამგეები და მასწავლებლები და ყველა ისინი, ვინც დაინტერესებულია სკოლის საკითხებით

მეცნიერება და ტექნიკა

თონის პურის ცხობის სრული მექანიზაცია

მუშა-გამომგონის ნეოფიტ ლ. გიორგობიანის სისტემა

ცნობილია, თუ როგორის უკულტურო და ჩამორჩენილის წესით ცხვება პური თონეებში. საუკუნეთა ცვლამ ოდნავადაც ვერ შეარყია და დღევანდლამდე უცვლელად დასტოვა ეს ულრესად პრიმიტიული წესი პურის ცხობისა. მთელი პროცესი პურის ცხობისა მიმდინარეობს ულრესად ჩამორჩენილ და ანტიჰიგიენურ-ანტისანიტარულ პირობებში. თონე ხურდება შეშით, რაც საგრძნობლად აძვირებს და ართულებს წარმოებას, პურის მოზელა, გაშლა (ფორმის მიცემა), ჩაკვრა თონეში, დანამვა და სხვ. ხდება ხელით, გარეშე რაიმე მანქანის ან ხელსაწყოს დახმარებისა, რაც იწვევს შრომის გადაჭარბებულ ინტენსიფიკაციას და შეუძლებლად ხდის ჰიგიენა-სანიტარიის თუნდ ელემენტარულ წესების დაცვასაც კი. ყველაზე საშინელად და მუშის ჯანმრთელობის საზიანოდ უნდა ჩაითვალოს პურის ჩაკვრა თონეში—მუშის თავდაყირა ჩაკიდების საშუალებით. ამ დროს თონეში ტემპერატურა აღწევს 150—200 გრადუსამდე. ასე რომ საკმარისია რამდენჯერმე ჩასუნთქოს დამკრავმა ამ ატმოსფეროში, რომ მისი ფილტვები მტერად იქცეს. თავპირ ახვეული, ოფლში მცურავი, სიცხით და ოფლით ტანზე შემოკრულ ჭუჭყიან პერანგში დამკრავი გამალებით ყირავდება თონეში და ავსებს მას პურით. მუდამ წუთის მომლოდინე ხიფათის—თონეში ჩავარდნის და ცეცხლში დასახიჩრების სახით, რაც სამწუხაროდ არც ისე იშვიათი მოვლენაა.

პირველი ცდები თონეში მექანიკურად პურის ჩაკვრისა მოხდენილ იქნენ ჯერ კიდევ 1910—11 წლებში, თბილისში, ახალგაზრდა (16—17 წლის) მუშა გამომგონებელ ნ. ლ. გიორგობიანის მიერ საუცხოვო შედეგებით. 1918 წელში ამას მოჰყვა იმავე ავტორის ახალი გამოგონება—თონის ღუმელი (ფურნე) თავისი მოწყობილობით, რომლის მეოხებით შესაძლებელი გახდა თონეში შეშის მაგიერ მაზუთის საშუალებით პურის გამოცხობა. ამ უკანასკნელ 2—3 წლის განმავლობაში კი ავტორმა ახალი მიუმატა კიდევ სამი ახალი გამოგონება: თონე ახალი კონსტრუქციის, პურის გასაშლელი აპარატი და პურის დასანამი აპარატი. ამ გამოგონებებთაგან შეგვეხებით მხოლოდ უმთავრესისა, რომელთა გაცნობა ნათელჰყოფს ახალი სისტემის თონის მთელს უპირატესობას:

ამ წესის უპირატესობანი შემდეგში გამოიხატება:

ა) სათბობი მასალის ეკონომია: დღევანდელ თონეში, როგორც გვიჩვენა საკუთარ ცდებმა და მრავალ მეპურეთა დაკითხვამ 5 ფუთი პურის გამოცხობაზე იხარჯება საშუალოდ მთელი წლის განმავლობაში 80 კაპ. შეშა, მაზუთის საშუალებით კი იმავე რაოდენობის პურის გამოცხობა ჯდება მაქსიმუმ 35—40 კაპ., რაც მოასწავებს ხარჯების შემცირებას 50 პროცენტზე მეტით.

ბ) ცხობის დღევანდელ წესის დროს, თუ ავიღებთ ორნახევარ ფუთიან თონეს, 5 ფუთი პურის გამოცხობას საშუალოდ უნდება 2 საათი (გახურება შეშით, გამოცხობა); ახალი წესით კი იმავე 5 ფუთის გამოცხობას უნდება საშუალოდ 1 საათი, 50 პროცენტით ნაკლები დრო. ასე რომ თუ აქამდე 8 საათის მუშაობის განმავლობაში თონე სამი მუშის საშუალებით იძლეოდა მაქსიმუმ 20 ფუთ პურს, ახალი წესით იგივე თონე 3 მუშის საშუალებით მოგვცემს 40 ფუთს, ე. ი. 100 პროცენტით მეტს.

გ) გარდა ამისა ახალი წესი მოასწავებს თონის გახურების გაადვილებას. ძველად საჭირო შეშის დაჩეხვა, თონეში ჩაწყობა გასახმობათ, თონე უზრუნველყოფილია ბოლისაგან და სხ., რაც ზედმიწევნით აუმჯობესებს სამუშაო პირობებს.

გ) ღირსება პურისა ახალ თონეში გაცილებით მაღლა სდგას, ვინემ არსებულში. პურის შესწრაფება პირველ დაკვრის დროს და მისი ნახევრად გამოცხობა-გამოშუშება მეორედ დაკვრის დროს, რაც ასე ხშირია და თითქმის აუცილებელიც დღევანდელ თონეებში, სრულიად აცილებულია ახალი წესის დროს. პური ცხვება და შუშდება თანაბრად; ფერსაც პურს ღუმელი გაცილებით უკეთესს აძლევს, ვინემ ნაკვერცხლები *).

დ) ამ წესით პურის გამოცხობის დროს პური საცხობი უზრუნველყოფილია ხანძრის გაჩენისაგან და [illegible]

ე) მაზუთზე გადასვლა ხელს შეუწყობს ტყის დაცვას გაჩეხვისაგან. **)

პურის ჩაკვრა ხდება მექანიკურად გამოგონილ აპარატის საშუალებით, რითაც ბოლო ელება დღევანდელ ბარბაროსულ წესს თონეში თავდაყირა ჩაკიდებით პურის ჩაკვრისას.

ახალ თონეში მექანიკურად ხდება აგრეთვე პურის გაშლაც.

პურის დანამვა ხდება დღეს პრიმიტიული წესით (ფალასის საშუალებით) ახალ თონეში კი დანამვა—დასანამი აპარატით,—რაც ჰიგიენურ-სანიტარიის მხრივ დიდ გაუმჯობესებას წარმოადგენს.

ყველა ამ გამოგონებებს აქვთ საზოგადოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება თონეში პურის გამოცხობის სრული მექანიზაცია, რაც თავის მხრივ იწვევს პროდუქციის ზრდას და საწარმოო ხარჯების შემცირებას. გიორგობიანის სისტემის ეკონომიურ მნიშვნელობას ნათელჰყოფენ შემდეგი ციფრები:

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დღევანდელ თონეების 1-ჯერ გახურებას შეშის საშუალებით უნდება ერთი მეორეზე (ზამთარ-ზაფხულ 80 კ. თბ. მუშკოოპი თითო ფუთ გამომცხვარ თონის პურზე აძლევს თავის კონტრაგენტებს შეშის საფასურად 15 კაპ. მაზუთის საშუალებით კი იმავე თონის გახურებას უნდება საშუალოდ 20 გირ. მაზუთი, ანუ 40 კაპ. ე. ი. 50 პროცენტით ნაკლები შეშასთან შედარებით. ამრიგად თვითეულ ფუთ პურზე ჩვენ ვიღებთ 8 კაპ. სათბობი მასალის ეკონომიას.

მაგრამ ახალი სისტემის ეკონომიური მნიშვნელობა მარტო სათბობი მასალის ეკონომიით არ განისაზღვრება. მთავარ ადგილს აქ იჭერს მექანიზაციით გამოწვეული პროდუქციის გადიდება და ამასთან დაკავშირებული საწარმოო ხარჯების შემცირება. ახალი წესის საშუალებით პურის გამოცხობის პროცესი ჩქარდება ორჯერ (1 საათი 2 საათის მაგიერ). თუ ავიღებთ 5 ფუთიან თონეს, ძველი წესით 8 საათის განმავლობაში 3 მუშა მოგვცემს მაქსიმუმ 15—20 ფუთს, ახალი წესით კი იმავე დროში იგივე მუშები გამოაცხობენ 35—40 ფ. პურს, რაც ორწყებად მუშაობის დროს, დღეში მოგვცემს 70—80 ფუთ პურს. ამრიგად მექანიზაციაქმნილი ერთი თონის დღიური პროდუქცია (70—80 ფუთი) უდრის დღევანდელ მაქსიმალურად დატვირთულ ოთხი თონის პროდუქციას. ოთხ თონეს კი სჭირდება 4 შენობა, 12 მუშა (სამ-სამი კაცი თითო თონეზე), ოთხი პატენტი, გადასახადები, განათება და სხვა ხარჯები. კიდეც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, რომ მექანიზაციაქმნილი თონეები შეიძლება მოეწყოს ჯგუფ-ჯგუფად, 4-დან 8-მდე თითო დარბაზში, როგორც ამას აწყობს ამჟამად თბილისის მუშკოოპი და დაუშვებთ, რომ ახალი თონეები მოეწყობა თითო ცალკე-ცალკე დარბაზებში, მაშინაც ჩვენ სათბობი მასალის ეკონომიის გარდა მივიღებთ სხვა საწარმოო ხარჯების გრანდიოზულ შემცირებას.

ცეკავშირის სისტემაში შემავალ კოოპერატივთა ცნობით, ამჟამად თითო ფუთი თონის პურის გამოცხობა პროვინციის დაბა-ქალაქებში ჯდება 1 მან. 1—20 კაპეიკამდე. მექანიზაციაზე გადასვლის შემდეგ ეს ხარჯი დაყვანილ იქნება 40 კაპ.

დაახლოებითი სტატისტიკური ცნობით, საქართველოს დაბა-ქალაქებში, თბილისის გამოკლებით, საშუალოდ ყოველდღიურად ცხვება 5.000-მდე ფუთი თონის პური. ახალ სისტემაზე გადასვლით აღნიშნულ დაბა-ქალაქებისთვის ჩვენ მივიღებთ საწარმოო ხარჯების შემცირებას: დღეში 3.000 მან. თვეში 90 ათასი მანეთით და წელიწადში 1.080.000 მანეთისას.

ასეთივე დიდ ეკონომიას მოგვცემს ჩვენ ახალ სისტემაზე გადასვლა ქალ. თბილისშიაც. ამჟამად ქალ. თბილისში მუშაობს 312 თონე, რომლებშიც საშუალოდ დღეში ცხვება —3.500-მდე ფუთი პური. თითო ფუთი პურის გამოცხობა თბილისის მუშკოოპს უჯდება საშუალოდ 1 მან. 26 კაპ. ახალ სისტემაზე გადასვლით კი საწარმოო ხარჯები აქაც, ისე როგორც პროვინციაში, მცირდება სულ უკანასკნელ 60 კაპეიკით ფუთზე, რაც მოგვცემს ეკონომიას დღეში—2.100 მან.; თვეში 63.000 მან. და წელიწადში—756.000 მანეთისას.

ამრიგად მარტო საქართველოს დაბა-ქალაქებში გადასვლა ახალ სისტემაზე ჩვენ მოგვცემს ყოველწლიურად სულ უკანასკნელი 1.836.000 მანეთის ეკონომიას. ცხადია, ახალ სისტემაზე გადასვლა საგრძნობ ეკონომიას მოგვცემს სოფლებშიაც.

შინა ვაჭრობის კომისარიატის განკარგულებით ამა წლის თებერვალში გიორგობიანის გამოგონება დაწვრილებით განიხილა და შეამოწმა სპეციალურმა ტეხნიკურმა კომისიამ, რომელშიც შედიოდენ წარმომადგენლები ვაჭრობის მომწესრიგებელ კომისიიდან, საგეგმო კომისიიდან, შრომის სახალხო კომისარიატიდან, ს.მ.უ.ს.-ის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებიდან, ჯანმრთელობის განყოფილებიდან, მუშკოოპიდან და სხვ. კომისიამ რამოდენიმეჯერ მოაწყო ახალ სისტემის თონეში პურის საცდელი გამოცხობა, მოახდინა პურის ლაბორატორიული ანალიზი და ერთხმად აღიარა გიორგობიანის მეტად დიდი მიღწევები.

მუშკოოპის გამგეობამ დაადგინა შეიძინოს გიორგობიანის გამოგონება.

მუშკოოპისავე ხელში გადავიდა გიორგობიანის მიერ მოწყობილი მექანიზაციაქმნილი პურის საცხობი სახელოსნო (სადემონსტრაციო პუნქტი), რომელშიც ამა წლის იანვრიდან სისტემატიურად ცხვება პური ახალი წესით.

ს. მ--ძე.

---

*) ჯანმრთელობის განყოფილების განკარგულებით ლაბორატორიაში მოხდენილმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ერთი და იმავე ცომიდან დღევანდელ თონეში გამომცხვარ პურს გაცილებით მეტი სინესტე აქვს—41,5 პროც., ვიდრე ახალი სისტემით გამომცხვარს—33,8 პროც.

**) თბ. აღმასკომის სპეციალური კომისიის დასკვნით საშუალო ზომის (5 ფუთიანი) თონის ერთჯერ გახურებას უნდება ერთი მეორეზე ერთ-ნახევარი ფუთი შეშა. ასე რომ მარტო თბილისში, სადაც ყოველდღიურად ცხვება საშუალოდ 3.500-მდე ფუთი თონის პური, ამჟამად თონეებში დღეში იწვის მინიმუმი 1.000 და წელიწადში 365.000 ფუთი შეშა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თონეებში იხმარება მხოლოდ მოზარდი ხის და უმთავრესად კარგი ჯიშის შეშა.

გერმანელ ქიმიკოსთა ყრილობა
(წერილი გერმანიიდან)

ამ დღეებში გაიხსნა გერმანელ ქიმიკოსთა კავშირის მორიგი ყრილობა. შემოღებული ტრადიციის მიხედვით, ყრილობამ პირველ რიგში მოისმინა გამოყენებითი ხასიათის მოხსენებები. ამ ჯგუფის მოხსენებათა შორის ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია ცნობილ გერმანელ ქიმიკოს პროფ. ბერგიუსის (პროფ. ბერგიუსსა გამოიგონა ნახშირიდან ნავთის პროდუქტების დამზადების წესი) მოხსენებამ თემაზე: „ხე და ქვანახშირი ქიმიური და სამრეწველო თვალსაზრისით“.

ბერგიუსმა აღნიშნა, რომ ხის გადაქცევა ქვანახშირიდან მოითხოვს ათეულ და ასეულ ათას წლებს და გააცნო ყრილობას თავისი ცდები, რომლებსაც ის აწარმოებდა და ამ პროცესის ხელოვნურად მოსახდენ ლაბორატორიულ პირობებში თანამედროვე ტეხნიკასა და მრეწველობას არ შეუძლია ლოდინი იმის, თუ როდის შეავსებს ბუნება უკვე გამოლევის პროცესში მყოფ ნახშირის მარაგს. რაღაც 100—150 წლის განმავლობაში მრეწველობამ შთანთქა დედამიწის მრავალმილიონ წლების არსებობის განმავლობაში დაგროვილი მარაგი ქვანახშირისა. 50-60 წლის შემდეგ კაცობრიობა დადგება ენერგეტიულ მარაგის ამოწურვის რეალური საფრთხის წინაშე და მაშინ ბუნებრივად დაისმება საკითხი ტყეების გამოყენების შესახებ, რადგან მათი განახლება რამოდენიმე ასეულჯერ უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე ქვანახშირის მარაგის აღდგენა. პროფ. ბერგიუსმა ლაბორატორიულ პირობებში გადასჭრა ხის ქვანახშირად გადაქცევის პრობლემა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ პირველი სტადია დიდი, ფართო გეგმის. მეორე სტადია მდგომარეობდა ქვანახშირიდან ნავთის, ბენზინის და სხვ. დამზადებაში, შესაძლებელი შეიქნა ამ ამოცანის გადაჭრაც. უფრო მეტი, ლაბორატორიულ პირობებში დაწყებულ ცდებს სამრეწველო ხასიათი მიეცა და გერმანიას მოეპოვება მთელი რიგი ქარხნები ნავთისა და ბენზინის დასამზადებლად ქვანახშირიდან. წლიდან წლამდე მრეწველობის ეს დარგი ხდება გერმანიის ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად, ტოვებს სახელმწიფოს მილიონ მარკებს, რომლებიც წინად იხარჯებოდა უცხოეთში ნავთის და ბენზინის შესყიდვაზე.

ბერგიუსის გეგმის მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ შესწავლისა და დამუშავების სტადიაში იმყოფება. ეს არის ამოცანა საკვებ პროდუქტების დამზადებისა ხიდან.

პროფ. ბერგიუსმა აცნობა ყრილობას, რომ მან შეიმუშავა მეთოდი ისეთი წყლონახშირმანების დამზადებისა ხიდან, რომლებიც გამოსადეგია ადამიანისა და ცხოველთა საკვებად. ხის დამუშავებით მარილის მჟავას საშუალებით, პროფ. ბერგიუსმა მიიღო შაქრის მაგვარი პროდუქტი, რომელიც თავისი სიტკბოთი და სინოყიერით უახლოვდება ჭარხლიდან და შაქრის ლერწამიდან დამზადებულ შაქარს, ახალი პროდუქტით საქონლის კვების ცდებმა მშვენიერი შედეგები გამოიღო. თუმცა ცდები ლაბორატორიის არ გასცილებია, მაგრამ მაინც მოხერხდა 60-70 პროც. სასარგებლო საკვებ პროდუქტის მიღება ხიდან. ამჟამად ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შაქრისებური ნივთიერებათა ხელოვნურად მიღების მეთოდი ეკონომიურად ხელსაყრელი შეიქნეს. ამ ამოცანის გადაჭრა სავსებით შესაძლებელია. ამისათვის საკმაოა მხოლოდ შესაფერი ხელსაწყოებისა და ხის გადამუშავების მეთოდების გაუმჯობესება.

ხელოვნური შაქრის მიღება ხიდან ფართო პერსპექტივებს უშლის მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის განვითარებას. ბერგიუსი ფიქრობს, რომ რამოდენიმე წლის შემდეგ გერმანია სრულიად შეწყვეტს შეტანას სიმინდისას, რომლითაც იკვებება საქონელი გერმანიაში. კიდევ რამოდენიმე წლის შემდეგ კი გერმანია სავსებით განთავისუფლდება უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან საკვებ პროდუქტებში და თავის მოთხოვნილებას წყლონახშირმანებზე სავსებით დააკმაყოფილებს საკუთარი პროდუქციით.

ა. ვ—ლი.

ბერლინი, 10 ივნისი.

ვიტამინების იზოლაციის გზაზე

თანამედროვე მეცნიერება კვების დარგში უდიდეს მნიშვნელობას აძლევს ვიტამინებს. მაგრამ კვების ეს „დამატებითი ფაქტორები“. მიუხედავად იმ დიდი როლისა, რომელიც მათ აქვს ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელობისათვის, დღემდე გამოცანას წარმოადგენენ. ისიც კი არ არის გამორკვეული, თუ რას წარმოადგენენ ეს ნივთიერებანი. არც ერთ მკვლევარს ჯერ არ მოუხერხებია ვიტამინების გამოყოფა წმინდა სახით. ვიტამინის მიღებას კი წმინდა სახით უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა ადამიანის კვებისათვის.

პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯს ვიტამინების გამოყოფის გზაზე წარმოადგენს გერმანელ ქიმიკოსების—**გესსისა** და **ვინდაუსის** (და მათგან დამოუკიდებლად—ერთი ინგლისელი მეცნიერის) მიერ აღმოჩენილი ნივთიერება, რომელსაც ერგოსტეროლი უწოდეს. ამ ნივთიერებას ამზადებენ თევზის ქონიდან და თუმცა იგი წმინდა ვიტამინს არ წარმოადგენს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ზევრით არ განსხვავდება მისგან. ერგოსტეროლი წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას რახიტის წინაღმდეგ. ერთი უნცია (7 მისხალი) ერგოსტეროლი თავისი მოქმედებით (სასარგებლო თვისებებით) უთანაბრდება 6 ტონა (360 ფუთ) თევზის ქონს.

მილიგრამის (მილიგრამი—გრამის მეათასედი ნაწილი) ერთი მეოცდახუთიათასედი ნაწილი ერგოსტეროლის ჩარევა საჭმელში მოკლე ხანში კურნავს რახიტს.

ცეცხლის მფრქვევებით სამხრეთ-პოლიუსისაკენ

მფრინავი **ვილკინსი** ემზადება სამხრეთ-პოლიუსისაკენ გასაფრენათ. ის ამჟამად ბერლინში იმყოფება და განზრახვა აქვს მოლაპარაკება გამართოს გერმანიის მთავრობასა და ყოფ. ანტანტის სახელმწიფოებთან, რომ მის განკარგულებაში გადაცემულ იქნეს ცეცხლის მფრქვეველი აპარატები, რომლებსაც უკანასკნელი ომის დროს ხმარობდნენ.

ვილკინსს სურს სამხრეთ-პოლიუსისაკენ გაფრენის დროს თან წაიღოს საუკეთესო ღირსების ცეცხლისმფრქვეველი აპარატები, რომლებიც ცეცხლს ისვრიან 50 მეტრის მანძილზე. ვილკინსი ფიქრობს, რომ ასეთი აპარატის საშუალებით შეიძლება ყინულისა და თოვლის გადნობა და მოხერხებული მოედნის მოწყობა უნებურად დაშვების დროს. თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ამას, ეს ცხადია თუგინდ იქიდან, რომ ჩრდ. პოლიუსისაკენ უკანასკნელი გაფრენის დროს, ვილკინსი და მისი თანამგზავრი ეილსონი 6 საათის განმავლობაში სწმენდნენ თოვლს აეროპლანის აფრენა მოედნის მოსამზადებლად.

ვერსალის ხელშეკრულების ძალით ცეცხლის მფრქვევების დამზადება გერმანიაში აკრძალულია, მაგრამ ვილკინსს აქვს იმედი, რომ მიიღებს მათი დამზადების ნებართვას, ვინაიდან მის ექსპედიციას სამეცნიერო მიზანი აქვს.

ახალი ექსპედიცია
ჩრდ. პოლიუსისაკენ

საერთაშორისო საზოგადოების—„აეროარქტიკ“-ის კონგრესზე ჩასულმა, პოლიარული ქვეყნების ცნობილმა მკვლევარმა ფრიტიოფ ნანსენმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ კატასტროფა, რომელიც „იტალია“-ს შემთხვა ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაუტეხს სახელს იდეას არქტიკის (პოლიუსთან მდებარე რაიონების) გამოკვლევისას დირიჟაბლების საშუალებით საერთაშორისო საზოგადოება „აეროარქტიკ“ მომავალ წელს ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ გზავნის დიდ ექსპედიციას ცეპპელინით „R. C. 127“, ამ ექსპედიციაში ადგილებს მნიშვნელოვანი რაოდენობა დაეთმობა საბჭოთა მეცნიერებს. ექსპედიციის მეთაურობა, შესაძლებელია, თვით ნანსენმა იკისროს. R. C. 127“ 6-ჯერ დიდია, ვიდრე „იტალია“, საშუალება აქვს წაიღოს მეტი საწვავი მასალა და უფრო ფართო მაშტაბით ჩაატაროს გამოკვლევა.

რაც შეეხება ექსპედიციის მარშრუტს, ის ჯერ-ჯერობით შემდეგი სახით არის შემუშავებული; მურმანსკი—შპიცბერგენი არქტიკა ალიასკა.

—:—

ტვინის ანთების მკურნალობა ყურძნის წვენით

1926 წლის დეკემბერში ამერიკის ერთ-ერთ ჰოსპიტალში სამკურნალოდ მოათავსეს ქალი, რომელსაც მწვავე ტვინის ანთება ჰქონდა, რადგან ავადმყოფი უგრძნობლად იყო და არაფერს სჭამდა, სცადეს მისი ხელოვნური კვება ყურძნის შაქრის (გლიუკოზა) საშუალებით. რამოდენიმე ასეთი ცდის შემდეგ ავადმყოფის მდგომარეობა მოულოდნელად გაუმჯობესდა. და ჩქარა ის სრულიად განიკურნა.

მიღებული შედეგით გათამამებულმა ექიმებმა განაგრძეს თავის ცდები და ამ წესით უწამლეს მწვავე ტვინის ანთებით შეპყრობილ სხვა ავადმყოფებს. შედეგები აქაც განსაცვიფრებელი მიიღეს: ორმოცამდე ავადმყოფი ფეხზე წამოდგა და ავადმყოფობას არავითარი მავნე შედეგები არ დაუტოვებია.

თუ რა გავლენას ახდენს ყურძნის წვენი ავადმყოფის ორგანიზმზე, ჯერ სავსებით არ არის გამორკვეული. ფიქრობენ, რომ იგი უნდა აძლიერებდეს ნერვიული სისტემის თავდაცვის უნარს.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ყურძნის წვენი ასეთ გავლენას ახდენს ტვინის ანთების მწვავე ფორმებზე და რამე შესამჩნევ ეფექტს არ იძლევა, როცა ავადმყოფობას ქრონიკული ხასიათი აქვს.

—:—

მიწის ქვეშა წყლები

ამერიკელმა გეოლოგმა **ჩასტერ რიდსმა** ამ რამდენიმე ხნის წინად გამოაქვეყნა გამოკვლევა მიწის ქვეშა წყლების შესახებ, საკითხის ხანგრძლივად შესწავლამ რიდსი მიიყვანა შესანიშნავ დასკვნამდე. მისი გამოანგარიშებით, მიწის ქვეშა წყლები შეადგენენ დედამიწაზე არსებულ მთელი წყალის მარაგის 30 პროცენტს. რიდსი ფიქრობს, რომ დედამიწის წყალი, არც ისე შორსაა დედამიწის ქერქიდან, დაჭრილულია გვირაბებით და არხებით. სადაც თავს იყრის ოკეანეებიდან და ზღვებიდან და დედამიწის ზედაპირიდან გამონაჟონი წყალი. ამ დიდ მიწის ქვეშა ზღვების არსებობას რიდსი ამტკიცებს უშუალოდ მიწის ქერქის ქვეშ მდებარე ფენების ხვედრითი წონით.

გადაფრენა ოკეანეზე

გერმანელი მფრინავები ემზადებიან მეორე გადაფრენისათვის ატლანტის ოკეანეზე. ამ რამდენიმე ხნის წინად შესდგა სხდომა სააქციო საზოგადოება „დილლენც“-ის გამგეობის, რომელიც ფინანსიურ საშუალებებს აწვდის გადაფრენას. სხდომაზე მოხსენებით გაფრენის მარშრუტის შესახებ გამოვიდა მფრინავი **იოგან რისტიჩი**, რომელსაც დაკისრებული აქვს გადაფრენის ტეხნიკური მხარის ხელმძღვანელობა. რისტიჩმა განაცხადა, რომ არახელსაყრელმა მეტეოროლოგიურმა პირობებმა აიძულა ის ხელი აეღო პირვანდელ განზრახვაზე—გადაფრენაზე ატლანტის ოკეანეს ჩრდილოეთ ნაწილზე. გადაფრენა მოხდება მარშრუტით ლისაბონი—ნიუ-იორკი, ეს გზა, თუმცა, 700 კილომეტრით გრძელია მარშრუტის პირვანდელ ვარიანტთან შედარებით, მაგრამ იუნკერსის ფირმა გარანტიას იძლევა, რომ მის მიერ გადაფრენისათვის სპეციალურად დამზადებული აეროპლანი აიტანს და გაუძლებს 70 საათის განუწყვეტლივ ფრენას, ეს დრო კი საკმარისზე მეტია იმ 4.700 კილომეტრის გასავლელად, რომელიც ლისაბონს აშორებს ნიუ-იორკიდან. რომ მფრინავებმა 100 კილომეტრზე მეტი ვერ გაიარონ საათში, მათ მაინც მორჩებათ 23 საათის ფრენის მარაგი.

მეექვსე გრძნობა

კოლუმბიის უნივერსიტეტის (ამერიკაში) ნევროლოგიის (ნევროლოგია—სწავლა ნერვიული სისტემის მოქმედების შესახებ) პროფესორი **ტილნი** გამოვიდა თეორიით, რომლის თანახმად ცხოველებსა და ფრინველებს აქვს მეექვსე გრძნობა, რომელიც საშუალებას აძლევს მათ შეიგრძნონ დედამიწის მაგნეტიზმის არე. პროფ. ტილნი თავის თეორიას ამყარებს ცხოველთა და განსაკუთრებით ფრინველთა შესანიშნავ თვისებაზე—გზის გაკვლევის უნარზე სივრცეში. საკმაოა მხოლოდ გავიხსენოთ, რომ შემოდგომაზე და გაზაფხულზე ფრინველები ახდენენ დიდ გადაფრენებს, რომლის დროს, გზის გასაკვლევათ, მხოლოდ ინსტიქტით ხელმძღვანელობენ. ამ ფაქტის ფრინველთა და ცხოველთა უდიდესი მხედველობითი მეხსიერებით ახსნის ცდებს ტილნი უსაფუძვლოდ თვლის. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად მან შემდეგი ცდა მოახდინა: მან თაგვები მოათავსა რთულ ლაბირინტში, რომლის ერთ კუნჭულში საჭმელი იდვა. რამოდენიმე დღის შემდეგ თაგვებმა, ისწავლეს საჭმლის მიგნება და სრულიად ადვილად აძლევდნენ ლაბირინტის რთულ ხვეულებს. მაგრამ საკმაო იყო მთელი ლაბირინტის მობრუნება მისი ღერძის გარშემო, რომ თაგვებს გზა აებნეოდა. აქედან შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ თაგვები ლაბირინტში გზას იკვლევენ არა სუნისა ან მხედველობითი შეგრძნობის წყალობით. რჩება მხოლოდ ერთი ახსნა—თაგვებს აქვთ რაღაც გრძნობა, რომლითაც მიმართულებას არკვევენ სივრცეში. პროფ. ტილნის აზრით, ასეთ გრძნობათ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ დედამიწის მაგნეტიზმის შეგრძნობა.

მცენარეთა კვება

ამერიკელმა მეცნიერებმა **სომმერმა** და **ლიპმანმა** აღმოაჩინეს, რომ მცენარეები გარდა ბოტანიკოსებისათვის ცნობილ ელემენტებისა—ფოსფორის, კალციუმის, რკინის, კალიუმისა და სხვ.;—საჭიროებენ აგრეთვე თუთიას და ბორს, მართალია, ძლიერ მცირე რაოდენობით. მცენარის ნორმალური არსებობისათვის საჭიროა, რომ წყალი, რომელსაც ისრუტავს მცენარის ფესვები, შეიცავდეს თუთიას და ბორის ერთ ნაწილს სხვა მარილების ორ მილიონ ნაწილზე. თუთიას და ბორს მოკლებული მცენარეები ვერ აღწევენ ნორმალურ სიდიდეს, არ ყვავიან და არ იძლევა ნაყოფს.

მკვლევარებმა მოახდინეს ცდები მცენარეებზე, ამ მიზნით ისინი ფესვებს აწვდიდენ კვებისათვის საჭირო ყველა ელემენტებს გარდა თუთიისა და ბორისა. შედეგი იყო ის, რომ მცენარეები ჭკნებოდენ და ზოგიერთი მათგანი ჩქარა იღუპებოდა. საკმაო იყო თუთიისა და ბორის მცირე რაოდენობის მიწოდება ფესვებისათვის და სურათი იცვლებოდა.

ელექტრონის ენერგია ქარიდან

ავსტრიელმა მეცნიერმა ლეო შენდსკიმ გამოიგონა ქარის მამოძრავებელი, რომელიც ქარის ძალას აქცევს ელექტრონის ენერგიად, რომელიც აკუმულიატორებში გროვდება და მას იყენებენ მანქანების ასამუშავებლად და სხვ. ამრიგად, მომავალში შესაძლებელი იქნება ენერგიის მიღება წყლისა და ნახშირის გარეშე.

სურათზე—ქარის მამოძრავებელი მუშაობის დროს.

ქრონიკა

2 ივლისი სამუშაო დღეა

2 ივლისი სამუშაო დღეა, ვინაიდან შრომის სახ. კომისარიატის 1928 წ. 25 აპრილის დადგენილების თანახმად, ამ დღის ნაცვლად უქმე დღეთ გამოცხადებული იყო 2 მაისი.

შრომის გმირები

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს შუამდგომლობა და შრომის გმირის სახელწოდება მიანიჭა შემდეგ ამხანაგებს: **1) ილია ჭინჭარაულს, 2) მადატ პეტროსიანს და 3) სერგო მამალაშვილს.**

ექ. მახვილაძის დეპეშა

ჯანმრთელობის სახალხო კომისარმა ამხ. კუჭაიძემ სამეცნიერო მიზნით გერმანიაში მივლინებულ ექ. **მახვილაძისაგან** მიიღო დეპეშა, რომლითაც იგი იტყობინება, რომ, ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა **ნოხტმა** ჰამბურგის ტროპიკულ ინსტიტუტის დირექტორმა, სთხოვა გაემგზავროს იტალიაში მალიარიის დარგში სამეცნიერო მუშაობის გასაგრძნობლად ჰამბურგის ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის ხარჯზე.

ჯანმრთელობის კომისარიატმა ექ. მახვილაძეს ნება დართო შეასრულოს პროფ. ნოხტის თხოვნა.

ექ. მახვილაძე არის საქ. პროფესიონელურ სნეულებათა ინსტიტუტის დირექტორი.

პროფკავშირთა საბჭოს პლენუმი

ორშაბათს, 2 ივლისს, საღამოს სრულ 6 საათზე შრომის სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მე-6 მოწვევის მე-7 მორიგი პლენუმი, რომელზედაც განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

1) საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მოხსენება (მომხ. ამხ. გ. ყურულაშვილი).

2) მოხსენება შრომის სასამართლოების შესახებ (მომხ. ი. ვარძიელი).

სადიპლომო პროექტების დაცვა

დღეს, დილის 9 საათიდან უნივერსიტეტში შესდგება პოლიტეხნიკური ფაკულტეტის სხდომა, რომელზედაც მოხდება სადიპლომო პროექტების საჯარო დაცვა. მოწვეული არიან უწყებების წარმომადგენლები. დასწრება შეუძლია ყველა მსურველთ. ეს იქნება პირველი გამოშვება უნ. პოლიტეხნიკური ფაკულტეტიდან. პროექტებს იცავენ: ოთხი ელექტრო - მექანიკოსი და ორი სამთო დარგიდან.

„სოფლის კავშირის“ ინსტრუქტორების თათბირი

1 ივლისს გაიხსნება „სოფლის კავშირი“-ს ინსტრუქტორების თათბირი. დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: მოხსენებები ადგილებიდან, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წევრთა სოციალური შემადგენლობის გამოკვლევის მეთოდები, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა საკრედიტო საქმიანობა, მოანგარიშეთა გადასამზადებელ კურსების მოწყობა რაიონებში, მოსახლეობის საშუალებების მოზიდვა ამხანაგობებში. საქართველოს რაიონებათ დაყოფა და ინსტრუქტორების მიმაგრება რაიონებზე.

თბილისის აღმასკომში

სახლების ჩამორთმევა. თბ. აღმასკომის დადგენილებით იმ სახლის მეპატრონეებს, რომლებსაც სასამართლოს დადგენილებით ჩამოერთვათ სახლები, მაგრამ რომელთა სახლები ჯერ არ ჩაუბარებია აღმასკომს, ეკრძალებათ ოთახების გაქირავება დღიდან სახლების ჩამორთმევისა.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლა. საგეგმო კომისიას დაევალა განათლების განყოფილებასთან ერთად შეიმუშაოს მომავალ წლიდან საყოველთაო-სავალდებულო სწავლის შემოსაღებათ ცალკე ხარჯთ-აღრიცხვა.

ახალი სახლები. თბ. აღმასკომმა დაადგინა დიდი ახალი სახლები აგებული იქნეს იმგვარათ, რომ მათ სახურავებზე შეიძლებოდეს ბაღებისა და ტანსავარჯიშო მოედნების მოწყობა.

მაზრის აგარაკებზე. აღმასკომის საკურორტო სექციამ დასდო ხელშეკრულება მუშკოოპთან, რომელიც კისრულობს მაზრის აგარაკების უზრუნველყოფას სურსათ-სანოვაგით.

პროფკავშირებში

მეთალთონეთა ყრილობა. მეთალთონეთა კავშირი ოქტომბრის ბოლო რიცხვებში იწვევს მეთალთონეთა რესპ. ყრილობას.

მუშათა დაწინაურება. შრომის ბირჟის აღმშენებელთა სექციის გამგის თანამდებობაზე აღმშენებელთა კავშირმა წამოაყენა ამხ. **ამირაჯი სარქისოვი.**

საკლუბო აღმშენებლობის ბიურო. კულტგანყოფილებამ გადასწყვიტა დაარსოს საკლუბო აღმშენებლობის ბიურო.

კონკურსი. პროფსაბჭომ გადასწყვიტა მოაწყოს კონკურსი საუკეთესოთ მომუშავე მოძრავე სამკითხველოებზე.

განათლების კომისარიატში

სკოლის შასაკამდე აღზრდის ხელმძღვანელთა კურსები გაიხსნება 30 ივნისს.

კონფერენცია. 29 ივნისს, საღამოს, 1-ლ შრომის სკოლაში შესდგება მე-2 საფეხურის სკოლების რუსული ენის მასწავლებელთა კონფერენცია.

სხვადასხვა

მეცნიერების მუშაკთა საქალაქო კონფერენცია, რომელიც დანიშნული იყო 28 ივნისისათვის განათლების მუშაკთა სახლში, აღარ შესდგება.

წყალტუბო. კურორტ წყალტუბოში სეზონი გაცხოველებით მიმდინარეობს. კურორტი უზრუნველყოფილია ბინების საკმაო რაოდენობით და აგრეთვე პურით და საჭირო სურსათ-სანოვაგით.

მოსკოვში მიმავალ ექსკურსანტთა კრება. პროფსაბჭოს კულტგანყოფილების სალექციო-საექსკურსიო ბიურო პარასკევს, 29 ივნისს, საღამოს 8 ს. იწვევს მოსკოვში 1 ივლისს მიმავალ ექსკურსანტთა კრებას. (მუშათა სასახლე, ოთახი 14).

ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება შემდეგი ახალი წიგნები: 1) **მიხ. კახიანი**—„ჩვენი ნაკლოვანებები და საქ. კომპარტიის ამოცანები“. რუსულ ენაზე. გვ. 126. ფასი—40 კ. 2) **გრ. ვეშაპელი**—„ახალი საქართველო“ 306 გვ. ფასი 1 მან. 3) **ე. პოლუმორდვინოვი**—„ზნელი ძალები“ პიესა. 42 გვ. ფასი 50 კაპ. 4) **გონჩაროვ-ვიქტოროვი** — „საუცხოო სამართალი“, 1 მოქ. პიესა. 31 გვ. ფასი 30 კაპ. 5) **ს. ერთაწმინდელი**—„ცეკვა ზებუთით“ პიესა. 68 გვ. ფ. 70 კ. 6) **მ. გორკი**—„ჩემი უნივერსიტეტი“ 200 გვ. ფ. 1—20 კ. 7) **„ქართული მწერლობა“** № 5. 116 გვ. ფასი 60 კ. 8) **ა. ბარბიუსი**—„მოუდრეკელნი“ 22 გვ. 15 კ. 9) „რევოლიუციის მატიანე“ № 2 (19).

* * *

ხელოვნების ქრონიკა

პროლეტარულ მწერალთა შორის

ხუთშაბათს, 28 ივნისს, საღ. 7 საათზე, ხელოვანთა სასახლეში შესდგება პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ღია სხდომა გაზეთ „კომუნისტი“-ს და „მუშა“-ს რედაქციებთან არსებულ მუშკორთა ლიტერატურული წრის, კომკავშირელ მწერალთა წრის („ახალგაზრდა კომუნისტი“ და მთავარი სახელოსნოები) თანდასწრებით. დღის წესრიგში დასმულია მოხსენებები პროლეტარულ მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის ძირითადი საკითხების შესახებ. (ნაციონალური საკითხი პროლეტარულ მწერლობაში და სხვა).

ორჯონიკიძის სახელობის კლუბში დღეს გაიმართება სიმფონიური კონცერტი.

ტატიანა ბუკალცევას ბოშურ სიმღერების ორი უკანასკნელი საღამო გაიმართება შაბათს და კვირას რუსთაველის თეატრში.

პროლეტარულ დრამატიულ სახელოსნოში. პროლეტარულ დრამატიულ სახელოსნოს მიერ, ხუთშაბათს, 28 ივნისს, მუშათა ახალ კლუბში წარმოდგენილი იქნება „გრიგალი“. პიესას სდგამს: რეჟ. **დ. კობახიძე.**, მხატვარი: **დ. კაკაბაძე.**

ვის ჩამოერთვა სახლები

ადეევს (მოსკოვის ქ., 3), ჟორჟოლიანს და კაციტაძეს (კვალის ქ., 11), მელიქოვს (კურსანტების შეს. 3), ტ. კუჭავას (მოსკოვის ქ., 20), ივანე მასლიხინს (არსენალის ქ., 11), ხარატს და ნიჟაბაძეს (გორის შესახ. 8), გუკასოვს და ალამიროვს (ჩერნიშევის მეორე შეს. 5), ბარბალე ლაზიევას (ცეტკინის ქ., 24), რ. პეროიანს, ხანზატიანს და პანოიანს (ტურგენევის ქ., 6) გეორქიანცს, (იაშვილის ქ., 16), შოტიანს და ავუნაკოვს (ცეტკინის ქუჩა 28), ზაქარია ილაშვილს (ცეტკინის ქ., 38), გიორგი კანდელაკს (არსენალის ქ., 16), ს. ალოევს (ვასერის ქ., 29), რობიტოვს და ჩხიკვიშვილს (ვასერის ქ., 27), ს. კონანოვს (ანჩისხატის ქ., 26), მელიქოვს და პეტროსოვს (კათოლიკის ქ., 1), ნ. გოგინაშვილს (კრასნოგორის ქუჩა 46), დავით გუდაძეს, (მესხის და დავითაშვილის ჩიხი 16—ა), ელენა გაროვს (ცეტკინის ქ., 103), ევანგულოვს (ძნელაძის ქუჩა 23), ბუდაგოვს და ჩილინგაროვს (ცეტკინის ქ., 114), ელისაბედ დამბროვას (ტრამვაის შესახ. 12) ვლადიმერ გუნიას (ცეტკინის ქ., 83), ნატალია ხომასურიძეს (ორჯონიკიძის ქ., 92), ბრიგადირს (ელბაქიძის დაღმართი 11), პივოვაროვს (ელბაქიძის დაღმარ. 9-ა), გაბრიჩიძეს (ელბაქიძის დაღმართი 21), გრიგოლ დედუკოვს (ორჯონიკიძის ქ., 98), ფრიდონიძეს და კუპატაძეს (ორჯონიკიძის ქ., 94), გაგუას და ტყემალაძეს (ორჯონიკიძის ქ., 96), ივანე უშოვს (ცეტკინის ქ., 105), კარლ კოტრინს (ცეტკინის ქ., 123), კონსტანტინე იმნაძეს, (ბათომის ქუჩა 16), ივანე საათაშვილს (კარუხელის დაღმართი 1), ჭრელაშვილს (ცეტკინის ქ., 21), ოგანესიანცს (ცეტკინის ქ., 41), ტერ-დავიდოვს, იოზოვს და სხვ. (ცეტკინის ქუჩა 40—20), ფირუმოვს (კაჩუბეის ქ., 19), გალუსტიანს (კაჩუბეის ქ., 17), კონდრატიევს (ძნელაძის ქუჩა 37), იოსებ თანდილაიშვილს (ძნელაძის ქუჩა 40), ოლია ტეტუცკაიას (ძნელაძის ქ., 24), ჩხეიძეს (ძნელაძის ქ., 27), იაგორ აკოპოვს (ყორესის ქ., 17), ნადეჟდა კირპიჩნიკოვას (ცეტკინის ქ., 77), სარა ციციშვილს (ძნელაძის ქ., 46), ნერსესიანს (კაჩუბეის ქ., 13), აბელოვებს (ჯულაშვილის ქ., 10), მენთეშაშვილს (ძნელაძის ქ., 38), იოსებ მურადიშვილს (ყორესის ქ., 3), ბიწკინაშვილს (ყორესის შეს. 2), ივანე ჩილინგაროვს (ყორესის ქ., 21), ოსიპოვებს (ენგელსის ქ., 18), ვასილიევს (ყორესის ქ., 35) იოსებ იშოევს და ცერცვაძეს (არაქელას ქ.,39), ალექსი მესხიშვილს (გრიბოედოვის ქ., 31), ნ. ათაბეგოვს (გრიბოედოვის ქ., 28), ა. კაკაბაძეს (ძნელაძის ქ., 35), ი. მისურიანცს, (ბათომის ქ., 26); მეკოიანცს და საგანელიძეს (ლისაგორის შეს. 5), იარონსკის და ფირუმოვს (კაჩუბეის ქ., 15), კობახიძეს და სიხარულიძეს (ბათომის ქ., 20), ამალია გრიბოვსკაიას (კალინინის ქ., 79), ბურძგლას (ლისაგორის შეს. 6), აზიზოვს (ცეტკინის ქ., 64), დავლათოვს (არსენალის ქ., 3), შარაშანიძეს და ფირცხალავას (ცეტ. ქ., 148), კაიშაურს, მეტრეველს და ბეჟბაღოვს (ცეტკინის ქ.; 132), ატაზოვს და კოხიკიანცს (არსენალის ქ., 9), კუტივაძეს (მოსკოვის ქ., 22), რაპოპორტს (ცეტკინის ქ., 123); მარია სტარცევას (მოსკოვის შეს. 4), გ. გუკასოვს (ცეტკინის ქ., 120—ბ), ვასილ ზორინს (საბჭოთა ქ., 37), ბორის სავიცკის (ტრამვაის შეს 4), დიმიტრი და ელენე მოდრეკელიძეებს (ორჯონიკიძის ქ., 118), ტრაპოვს, ნანეიშვილს და სხვ. ცეტკინის ქ., 108), კ. ცინცაძეს (საბჭოთა ქ.; 3); ლლონტს და შეწირულს (პლეხანოვის ქ., 122), ვალ. რეზუნოვს (კამოს ქ., 56), ელნიცკებს (კამოს ქ., 74); ელიგულაშვილს ლენინის ქ., 26), ალიხანოვს (კრილოვის ქუჩა 7), ბალდასაროვს (პლეხანოვის ქ., 134), სპირიდონ ვაწაძეს (ლენინგრადის ქ., 9), ქავთარაძეს (ქუთაისის ქუჩა 15), მაიერს (ყორესის ქ., 22), კერერს (ლენინგრადის ქ., 7), ლოლაძეს და პეტრუსოვს (პლეხანოვის ქ., 102); სარქისოვს (ძნელაძის ქ., 43) ისაკი ელიაზაროვს (ენგელსის ქ., 5), წერეთელს და სულიკაშვილს (ტრამვაის ქ., 1), ზალდასტანიშვილს და ონიტაშვილს (ტრამვაის ქ., 3), გაბაშვილს (მოსკოვის ქ., 4); ნიკიფოროვს (გურჯაანის ქ., 4), რაფაელოვს (კარუხელის დაღმართი 8), პოპოვიანს (ახალი არსენალის ქ., 12), ოსიაშვილს (ახალი არსენალის 23), ტერტეროვებს (ენგელსის ქ., 11), ლაზარევს (მოსკოვის ქ., 16), აბრამიშვილს (გაბაშვილის ქ., 12), ხომასურიძეს და ტერ-სტეპანოვს (გაბაშვილის ქ., 16), მელიქოვს, მირზოევს და კალანტაროვს, (ენგელსის ქ., 1), გრიგორიევს (კურსკის ქ., 6), ზოდელავას და გიორგაძეს (ტრამვაის ქ., 5); ხვედელიძეს (ბათომის ქ., 12), მაიერს (ვახუშტის ქ., 68), ამოხოვებს (ორჯონიკიძის ქ., 128), ავაკიანცს (კარუხელის დაღმართი 2).

ა.-კ. ფიზკულტურის დღესასწაული

საქართველო—სომხეთი

გუშინ, საღამოს ლენინის სახ. სტადიონზე გაიმართა საქართველოს და სომხეთის ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება. თამაშს დაესწრო რამოდენიმე ათასი კაცი. შეჯიბრება დამთავრდა 5:0 საქართველოს სასარგებლოდ.

ხტომა სიგრძეზე გამორბენით

გამორბენით სიგრძეზე ხტომაში ვაჟთა შორის საუკეთესო შედეგებს მიაღწია: **სემიონოვამ** (საქართველო), რომელიც გადახტა 6 მეტრზე და 11 სანტიმეტრზე. მეორე ადგილი დაიკავა **მაკაროვმა** (აზერბ.), გადახტა 6 მეტრზე და 8 სანტ. მესამე ადგილზე გამოვიდა იურასოვი (აზერბ.), **გადახტა 6 მეტრზე და 6 სანტ., ურაბინოვიჩი** (აზერბ.) გადახტა 6 მეტრზე და ... სანტ. შვარციგაია (საქართველო), გადახტა 5 მეტრზე და 89 სანტ. ხოლო კილაძე (საქართველო) გადახტა 5 მეტრზე და 95 სანტ.

ბირთვის კვრა

განსაკუთრებულ დიდ შედეგს ბირთვის კვრაში მიაღწია ახალგაზრდა **კილაძემ**, რომელმაც ბირთვი გადააგდო 12 მეტრ. და 10 სანტ. კილაძემ დაამყარა ამიერ-კავკ. ახალი რეკორდი. რომელიც უახლოვდება საკავშირო რეკორდს (12 მეტრი და 37,5 სანტ.), მეორე ადგილი დაიკავა **ურბანოვიჩმა** (აზერბ.) 11 მეტრ. 1 სანტ., **სოლდატოვმა** (აზერბ.)—10 მეტრზე 95 სანტ. **საყვარელიძემ** (საქართველო) 10 მეტრზე 52 სანტ., **ცხვედაძემ** 10 მეტრზე 51 სანტ. და **ჯაფარიძემ** 10 მეტრ. 48სანტ.

რბენა 400 მეტრზე

რბენაში 400 მეტრზე დიდი ბრძოლის შემდეგ **სემიონოვმა** (საქართველო) მოუგო **იურასოვს** (აზერბ.), ხოლო **ჭელიძემ** (საქართველო) მაკაროვს (აზერბ.), საუკეთესო შედეგს მიაღწია **სამარდუკოვმა** (აზერბეიჯანი), რომელმაც დისტანცია დაფარა 55,6 წამში. მეორე ადგილი დაიკავა **მაჩინმა** (აზერბ.)—57,6 წ. შემდეგ **მაგოევმა** (აზერბეიჯანი). 58,1 წ. **ჭელიძემ** (საქართველო) — 58,6 წუთ. და **სემიონოვმა** (საქართველო) 59, 1 წ.

ქალთა შორის საუკეთესო შედეგს მიაღწია **ოვსიანიკოვამ** (საქართველო), რომელმაც დაამყარა ამიერ-კავკ. ახალი რეკორდი. დისტანცია (60 მეტრი) დაფარა 8,4 წამში (საკავშირო რეკორდი არის 7,9 წამი.) მეორე ადგილზე გამოვიდნენ **სიზოვა და ტიმოფეევა** (საქართველო). რომლებმაც დისტანცია დაფარეს 8.6 წამში, ხოლო **ფომინამ** (აზერბ.), **ზელდასტანიშვილმა და სერებრიანსკაიამ** (საქართველო) დისტანცია დაფარეს 8.6 წამში. 60 მეტრზე რბენაში სულ მონაწილეობას იღებდა 22 ქალი.

ქალების ცილობა ბირთვის კვრაში

შესდგა ქალთა გუნდების ცილობა ბირთვის კვრაში. **ფომინამ** (აზერბეიჯანი) ბირთვი გადააგდო 7 მეტრზე და 60,5 სანტ. **ოვსიანიკოვამ** (საქართველო) 7 მ. 27,5 სანტ., **დოიჩენკომ** (საქართველო) 7 მ. და 11 სანტ.

ბურთის კვრაში აზერბეიჯანელმა ფიზკულტუროსანმა ქალმა **ხაჩატრიანცმა** დაამყარა საკავშირო რეკორდი. მან ბირთვი გადააგდო 38 მეტ. 18 სანტ. (საკავშირო რეკორდი იყო 36,30 სანტ.), მეორე ადგილი დაიჭირა **ოვსიანიკოვამ** (საქართველო), რომელმაც ბურთი გადააგდო 31, მ. და 1 სანტ. მესამე ადგილი დაიკავა **შუტოვამ** და **მეოთხე ჭელიძემ** (საქართველო).

ბადროს ტყორცნა

ვაჟთა გუნდებს შორის ბადროს ტყორცნაში საუკეთესო შედეგებს მიაღწია: **საყვარელიძემ** (საქართველო), რომელმაც ბადრო ტყორცნა 36 მეტ. და 75,5 სანტ. მეორე ადგილი დაიკავა **სოლდატოვმა** (აზერბეიჯანი) 35 მეტ. 43 სანტ. ხოლო მესამე ადგილზე გამოვიდა **მანდალიანი** (სომხეთი), რომელმაც ბადრო ტყორცნა 35 მეტრზე და 40 სანტიმეტრზე.

სიმძიმეების აწევა

სიმძიმეების აწევაში საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს სამივე რესპუბლიკის ძალოსნებმა **აკოპიანმა** (სომხეთი) ორივე ხელით ასწია 160, გირ., **ცერალივამ** (საქართველო) — 129,93, გირვანქა, **ნუნიანცმა** (აზერბეიჯანი)—121,31 გირ.

ძეკონსკიმ (საქართველო) ასწია 180,5 გირ., **კოპლატაძემ** (აზერბეიჯანი)—160,2 გირ. **მკრტიჩიანმა** (სომხეთი)—149,8 გირ.

ზაუტაშვილმა (საქართველო) ასწია 192,15 გირ. **ხალიფოვმა** (აზერბეიჯანი)—180,5 გირ. **მნაცაკანიანმა** (სომხეთი)—169,37 გირ.

სიმონიანმა (სომხეთი) ასწია 204,5 გირ., **შინჭარაძემ** (საქართველო)—192,15გირ. **მერკურისმა** (აზერბეიჯ.) — 169,37 გირ.

კოსტავამ (საქართველო) ასწია 231,22 გირ. **აკოპიანმა** (სომხეთი) ასწია 192.15 გირვანქა. **მურადოვმა** (აზერბეიჯანი)—169,37 გირ.

გილმერმა (საქართველო) ასწია 231,22 გირ. **ანანიკიანცმა** (აზერბეიჯანი)—204,5 გირ., **ტოპჩიანმა** (სომხეთი)—199,37 გირ.

ანიფერიძემ (საქართველო) ასწია 192,15 გირ. **გლაზერმა** (აზერბეიჯანი)—160,2 გირ

კალათ-ბურთი

გუშინ, დინამოს სტადიონზე შესდგა აზერბეიჯანის და სომხეთის ქალთა კალათბურთის გუნდების შეჯიბრება. რომელიც დამთავრდა 32:2 აზერბეიჯანის სასარგებლოდ.

ჭადრაკი

ა.-კ. მოჭადრაკეთა პირველი ჩემპიონატი

მესამე ტური

მესამე ტურში მთავარ ყურადღებას იპყრობდა მაესტრო **ვლ. მაკაგონოვის** შეხვედრა **გოგლიძესთან.** პარტია განვითარდა ლაზიერის პაიკების დებიუტით. თამაშის დასაწყისში მაკაგონოვმა მოიპოვა უპირატესობა ლაზიერის ფლანგზე გამსვლელი პაიკის სახით, მაგრამ გოგლიძის ფრთხილი და სწორი თამაშის წყალობით მაესტროს ყოველგვარი ცდა უშედეგო გამოდგა. მოწინააღმდეგენი გადავიდნენ გაცვლაზე და პარტია გაათანაბრეს. 6 საათის ბრძოლის შემდეგ თამაში დამთავრდა ყაიმით.

სოროკინი—ტალვიკი. (ლაზიერის პაიკების დებიუტი). ამ დებიუტში სოროკინმა გამოიყენა მისთვის ჩვეული ვარიანტი და ვერ შესძლო თამაშის განვითარება. მე-4-ე სვლაზე მოწინააღმდეგენი შეთანხმდნენ პარტიის ყაიმით დამთავრებაზე.

აბრამიანცი—ებრალიძე. (ლაზიერის პაიკების დებიუტი). ებრალიძემ, თამაშობდა რა ის შავებით, არჩია საყაიმო ვარიანტი, გასცვალა რამდენიმე ფიგურა და წინადადება მისცა მოწინააღმდეგეს პარტიის ყაიმით დამთავრებაზე. აბრამიანცი არ დასთანხმდა ამაზე და, როგორც ხშირად ხდება ასეთ შემთხვევებში, მოულოდნელად გასცვალა ეტლი და პარტია წააგო.

ილინ-ჟენევსკი—ბადაი (კარო კანის დაცვა). ბადაი თავიდანვე მოხვდა შევიწროებულ მდგომარეობაში. მე-20-ე სვლაზე მან დაუშვა შეცდომა, რასაც მოჰყვა აგრეთვე ხარისხის დაკარგვა. რამოდენიმე სვლის შემდეგ ბადაი დანებდა მოწინააღმდეგეს.

მალუწცევი—როსტოვცევი. (ფრანგული). პარტია გადადებულია მალუწცევისათვის მოსაგებ მდგომარეობაში.

ტოტევიანი—სმოროდსკი (ლაზიერის პაიკების დებიუტი). მე-16-ე სვლაზე სმოროდსკიმ კარგად გამოიყენა მოწინააღმდეგის მიერ დაშვებული შეცდომა და მე-21-ე სვლაზე შავები აიძულა დანებებულიყო.

კარჩიკიანი—იმენიტოვი (ახალი ინდოური) პარტიის თანაბარ მდგომარეობაში იმენიტოვმა მოულოდნელად დაჰკარგა ფიგურა. მაგრამ მაინც განაგრძო თამაში. მოგების იმედით გათამამებულმა კარჩიკიანმა გააკეთა რამოდენიმე სუსტი სვლა. იმენიტოვმა ისარგებლა ამით და შესძლო პარტიის დამთავრება ყაიმით.

მატევოსიანი—ავეტისოვი (ლაზიერის პაიკების დებიუტი). მატევოსიანმა მოახერხა გამანადგურებელი იერიშის მიტანა მოწინააღმდეგის მეფეზე. მოიგო ლაზიერი, მაგრამ ბოლოს ისე ცუდად გაითამაშა პარტია, რომ დიდი შამათი.

მესამე ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია. **მაკაგონოვი და ებრალიძე**+ 2 ნახ., **სმოროდსკი**+2, **გოგლიძე**+1 ნახ. და ერთი დაუმთავრებელი, **იმენიტოვი, კარჩიკიანი, ავეტისოვი და ბადაი**+1 ნახ. **ილინ-ჟენევსკი**+1 და ორი დაუმთავრებელი, **სოროკინი**+1 და ერთი დაუმთავრებელი, **აბრამიანცი**+ 1.

მეხუთე ტური

დღეს, 28 ივნისს, საღამოს 6 საათზე ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის კლუბში შესდგება მეხუთე ტური. თამაშობენ: **მატეოსიანი**+2, **გოგლიძე**+1 ნახ. და ერთი დაუმთავ **ილინ-ჟენევსკი** — **ავეტისოვი, მალუწცევი** — **ებრალიძე, სოროკინი** — **ბადაი. ტოტევიანი** — **როსტოვცევი, მაკაგონოვი** — **ტალვიკი, გოგლიძე** — **სმოროდსკი.**

ვ. გოგლიძე.

შემთხვევები

საშინელი მკვლელობა

19 ივნისს დილით ბორჩალოს მაზრის სოფ. გორენჯუკის მახლობლად მდინარეში იპოვეს დამღრჩვალი ქალის და წლინახევრის ბავშვის გვამი. დამხრჩვალნი აღმოჩნდნენ სოფელ გორენჯუკის მცხ. 18 წლის თამარა ოსეფიანცი თავისი შვილით.

შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ ბაშკიჩეთის რაიმილიციის უფროსი, გამომძიებელი და ექიმი. გვამის შემოწმების და წინასწარი გამოძიების შემდეგ გამოირკვა, რომ ბოროტმოქმედს ქალი გაუპატიურებია ძალით. ქალს პირის სახე ჩაღეწილი აქვს და ტანისამოსი შემოფლეთილი. დამღრჩვალი ოსეფიანცის ქალი აღმოჩნდა ოთხი თვის ფეხმძიმე.

ბავშვს მარჯვენა ფეხზე ტყავი გადაგლეჯილი აქვს და თავი დამტვრეული.

ბოროტმოქმედი გაუპატიურების შემდეგ ცოცხალ-მკვდარი დედას და შვილიც მდინარეში ჩაუგდია.

ოსეფიანცის ქალი თავისი ბავშვით 18 ივნისს დილით ყანაში წასულა სამუშაოდ.

ბოროტმოქმედი **გეურქ ასლანიანცი** დაპატიმრებულია.

გამფლანგველი ავალიშვილი

ირაკლი ნიკოლოზის ძე ავალიშვილი ირიცხებოდა ს. მ. უ. საბჭოში მოანგარიშეთ. უკანასკნელ ხანებში მან ხელი მიჰყო სახაზინო ფულების გაფლანგვას. რევიზიამ დაადასტურა გაფლანგვის ფაქტი. ავალიშვილი პასუხისგებაში მისცეს და მისი საქმე გადაეცა პროკურატურას.

ქურდების დაპატიმრება

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ დააპატიმრა ისმაილ იბრაგიმ - ოღლი, პეტრე არსენის ძე გურწიევი და ზაქარია სარქისის ძე ალავერდოვი. ხსენებულ პირებს ბრალდებათ ბინებისა და მაღაზიების გაქურდვა.

ხულიგნების თავდასხმა

გუშინწინ, ღამის 11 საათზე, ლენინის რაიონის ხიდთან ორი ხულიგანი თავს დაესხა ლენინაკანიდან ჩამოსულ რკინის გზის მუშამოსამსახურე ხაჩატურიანს.

ხულიგნებმა სცემეს ხაჩატურიანს და შემდეგ მოინდომეს მისი ხიდიდან გადაგდება.

გამვლელმა მოქალაქეებმა დიდის ვაი - ვაგლახით გადაარჩინეს ხაჩატურიანი.

მომხდარი ამბის შესახებ ეცნობა თბილისის სისხლის სამართლის მილიციას, რომელმაც თავდამსხმელები დააპატიმრა. ისინი აღმოჩნდნენ: მიკირტიჩ მამიკონის ძე საღიროვი (მცხ. ვლების ქ. № 10) და ივანე ალექსანდრეს ძე ხოთაროვი (მც. საბჭოთა ქ.).

გუშინ სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ ამ საქმეზე დაჰკითხეს მთელი რიგი მოწმეები.

დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ხულიგნებს თავდასხმა მოუხდენიათ გაძარცვის მიზნით.

მათ ხაჩატურიანისათვის წაურთმევიათ 171 მანეთი.

სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა გატაცებული ფულის ნაწილი იპოვეს რკინის გზის ხაზზე. როგორც სჩანს, თავდამსხმელებს დანარჩენი ფული დაპატიმრების დროს გადაუგდიათ ლენინის რაიონის ხიდიდან.

მოქ. ხაჩატურიანმა ბოროტმოქმედნი გამოიცნო.

გაფლანგვა

მილიციამ პასუხისგებაში მისცა ოგანეზ არუთინის ძე ხაჩატუროვი, რომელმაც მიითვისა და გაფლანგა საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობის სახლის (კავშირის ქ. № 36) მდგმურებში შეკრებილი დამზღვევ სალაროში შესატანი ფული.

ჯიბგირობა

გუშინ, დილით, ანატოლი გარმონოვს ვიღაც უცნობმა პირმა ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალა 18 მანეთი და მიიმალა.

სასამართლო

გეგმა ჩაეფუშათ

ლევან გიორგისძე ჭაბუკიანი ცოტა უგუნებოთ იყო, როცა ახალციხიდან თბილისში მოდიოდა. მართალია, ცოტა „სახარჯი“ თან წამოიღო, მაგრამ ამის იმედით ხომ ვერ გაუდგებოდა შორ გზას.

არა და, ახალციხეში დარჩენაც არ შეეძლო. 1200 მანეთი ჰქონდა გაფლანგული და დღეს, თუ ხვალ კარზე მიუკაკუნებდნენ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლები.

დიდი ხანია ოცნებობდა ჭაბუკიანი საზღვარგარეთ წასვლაზე, მაგრამ უცდიდა მოხერხებულ დროს, ესე იგი დიდი თანხის ხელში ჩაგდებას. ამ დიდი თანხის ხელში ჩაგდების მოლოდინში წვრილ-წვრილად „წაიხარჯა“ 1200 მანეთი.

ჩამოვიდა თბილისში ჭაბუკიანი. მონახა თავისი მეგობრები **ვახტანგ გვეტაძე** და **კლიმენტი კურჩიბაშვილი** და გაუზიარა მათ გულისნადები.

— მოვახერხოთ, ლევან, როგორმე საზღვარგარეთ გაქცევა. თავი და თავია გასვლის ტეხნიკურად მოწყობა, თორემ ფულს სადმე და აძვრენს კაცი,—ურჩევს გვეტაძე.

— რვაას მანეთამდე მე მაქვს შეგროვილი, დაუმატა **კლიმენტი კურჩიბაშვილმა.**

— მე ამხანაგო მყავს მოლარე, რომელიც ხასიათის გამასწორებელი ბიჭია! შევიამხანაგოთ ის და ფულიც მზად იქნება!—ვახტანგ გვეტაძეს მხედველობაში ჰყავს **ოლიფანტე თედორესძე კვანტალიანი,** რომელიც იმ დროს მსახურობდა კომუნალური მეურნეობის საზოგადო სამუშაოების სამმართველოში. თვითონ ვახტანგ გვეტაძე ამავე სამმართველოს ბუხჰალტერი გახლდათ.

— აბა, ამხანაგო, საზღვარზე გადასვლის მოწყობა ჩემი საქმე იყოს!

გაიჩარხა საქმე. გამომუშავებულია გეგმა. ხვალვე უნდა დაიძრან თბილისიდან.

მეორე დღეს დილით მოწვეულ იქნა სასწრაფო თათბირზე მოლარე **ოლიფანტე კვანტალიანი.**

— მაშასადამე, შენ გამოსწერ ორდერს,— მიმართავს კვანტალიანი ბუხჰალტერ გვეტაძეს. ხვალ მუშებისათვის დასარიგებელი ფულია გამოსაწერი. აი, როცა ეს ფული ჩემამდე მოვა, მაშინვე მოუსვათ სადგურისაკენ.

მეორე დღეს მუშებისათვის დასარიგებელი ფული 4.000 მანეთი კვანტალიანმა შეხვია საგულდაგულოდ და სალაროდან გააპარა.

— ეხლა ცალი ფეხი უკვე საზღვარგარეთ გვაქვს, სიხარულით წამოიძახა ჭაბუკიანმა, როცა გატაცებულ ჩერვონცებს ფურცლავდენ ამხანაგები და ნაწილ-ნაწილად იდებდენ ჯიბეში.

დაიძრა ბორჯომის მატარებელი და თან წაიყვანა ოთხი მომავალი „ევროპიელი“. ავჭალას რომ გასცილდენ, თავი უკვე ვერსალის მახლობლად ეგონათ ჩვენს „გმირებს“. ლაპარაკობდენ ევროპის ამბებზე. ადგენდენ იქ ცხოვრების გეგმებს.

ახალციხიდან გაქცეულებმა პირდაპირი მიმართულება აიღეს ოსმალეთის საზღვრისაკენ. მიუახლოვდენ კიდეც საზღვარს. გაჩერდენ სოფელ აგორაში, სადაც საიმედო კაცი ჰყავდა ჭაბუკიანს, რომელიც დახელოვნებული იყო ხალხის საზღვარგარეთ გადაყვანაში. ეს გახლდათ **ლუკა ზოზაძე.**

ზოზაძისას კარგად დანაყრდენ. აღდგრძელეს ევროპა. ერთმა დამტვრეული ფრანგული გაასალა.

— შენ ის თქვი, რა გენიალურად მოეწყო ყველაფერი! ბიჭები ვართ, რომ უნდა ისეთები. აჰე გვდიოდ. ხვალ გარიჟრაზე უკვე უცხოელები ვიქნებით.

— კარგი კოსტიუმები გავიკრათ! ხომ იცით, ტანისამოსი პირველი ნიშანია. „თვალი სჭამს და თვალი სვამს“ კარგად რომ ვიქნებით ჩაცმული, მეტ პატივს დაგვდებენ.

— კარი გააღეთ!—მოისმა ამ დროს ხმა, რომლის გაგონებაზე ყველას ფერი ეცვალა. ეჰა ჩაუკაკუნა.

არ გასულა ორი წუთი. სანაპირო რაზმელებმა შემოაღეს კარი და განაცხადეს:

— ყველანი დაპატიმრებული ხართ! ხელიბი აწიეთ!

— ჩვენ აქ... ხორბლის შესასყიდათ ვართ, —წამოიძახა ერთმა, რომლისთვისაც არავის უკითხავს რისთვის ხარ ჩამოსული.

გაჩხრიკეს ყველანი. გატაცებულ 4.000 მანეთიდან გაქცეულებს შოესწროთ 600 მანეთია გაფლანგვა. დანარჩენი თავისივე ხელით დათვალეს და ჩააბარეს რაზმელებს.

„ევროპიელების“ სურვილით გატაცებულები: **ოლიფანტე კვანტალიანი, ვახტანგ გვეტაძე, ლევან ჭაბუკიანი და კლიმენტი კურჩიბაშვილი** პარიზის მაგიერ იმყოფებიან გამასწორებელ სახლში. მათ მხარს უმშვენებს საზღვარ-გარეთ გამცილებელი **ზოზაძეც.**

მათი გასამართლება მოხდება 18 ივლისს.

გერ.

რადიო--გადაცემა

ხუთშაბათი, 28 ივნისი

რადიო-მუშაკთა დასასვენებელი დღეა, გადაცემა არ იქნება.

პარასკევი, 29 ივნისი

პარასკევს, 29 ივნისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.

მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები—ქართულ ენაზე.

ამუნდსენის წინამორბედნი—მოხსენება რუსულ ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

მოხსენება კოოპერაციაზე—თურქულ ენაზე.

პოლიტიკური მიმოხილვა—აფხაზურ ენაზე.

კომკავშირი სოფლად ახალ გზებზე—თურქულ ენაზე.

პოლიტიკური მიმოხილვა—ოსურ ენაზე.

რადიო-გაზეთი—ოსურ ენაზე.

რა ზიანი მოაქვს თამბაქოს ჯანმრთელობისათვის—თურქულ ენაზე.

გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

მოხსენებებს შუა—მუსიკალური ნომრები.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

ქუთაისში ჩატარებულ ტირაჟის მოგებათა ოფიც. ცხრილი

(დასასრული)

სერ. № 51. 100 მანეთიანი მოგებანი

001.053 001.191 001.339 003.091 004.886 005.162 006.266 006.433 006.681 008.061 009.663 009.911 010.129 010.200 010.216 011.310 011.564 012.520 012.730 014.856 015.360 015.579 015.747 016.286 017.011 017.696 018.336 019.248 019.541 021.026 021.507 021.959 023.529 023.691 025.336 025.547 027.802 028.862 029.668 033.796 034.614 037.101 038.605

039.851 040.037 041.396 042.987 043.765 044.499 045.077 045.291 045.508 046.392 046.396 046.565 047.141 047.590 047.920 048.225 048.943 048.947 049.276 050.067 050.111 050.506 050.738 052.919 053.078 055.068 055 620 055.747 057.175 057.898 059.404 059.579 060.483 060.518 062.646 064.521 064.825 065.469 065.772 066.554 068.625 069.271 070.432

070.887 070.922 071.737 072.615 072.806 074.629 075.928 077.564 077.774 078.628 078.974 079.052 079.794 080.020 080.484 080.835 081.573 082.159 087.056 091.528 091.567 092.829 093.426 093.704 093.706 093.953 095.078 097.357 098.610 098.712 099.111 100.557 100.641 101.377 102.643 103.856 105.841 105.947 106.963 107.434 108.841 108 978 109.141

109.245 109.893 110.054 110.495 111.316 111.406 112.215 112.377 113.174 113.539 113.860 114.480 115.149 115.840 116.873 117.187 117.210 118.164 119.951 120.292 122.231 122.612 124.197 124.493 125.097 125.710 126.798 126.835 127.383 128.544 128.910 129.908 130.036 130.471 130.593 130.652 132.644 132.834 132.962 133.468 134.478 134.693 134.966

135.858 135.925 135.993 137.324 137.768 137.955 138.097 140.371 140.720 141.026 141.870 145.734 145.913 147.197 147.955 148.021 148.600 148.699 150.452 150.786 150.990 151.639 152.677 152.906 153.137 155.335 155.589 156.646 157.815 158.370 159.145 159.201 159.752 161.132 162.352 162.527 163.802 163.846 164.075 165.652 165.973 166.969 167.220 167.958

168.120 168.958 172.425 172.805 172.820 173.545 173.721 178.410 179.392 179.704 181.312 183.353 184.077

187.698 187.774 188.983 189.996 190.578 193.393 193.400 196.399 196.779 197.185 199.242 199.571 199.749

206.827 208.030 209.903 211.211 212.154 212.899 215.222 215.686 216.402 217.720 219.059 220.758 222.107

230.968 231.393 231.657 234.598 234.657 236.551 236.899 236.933 237.272 237.544 238.144 241.177 243.614

184.172 184.979 185.693 186.198 186.468 186.855 187.343 187.539

202.979 202.987 203.527 203.906 205.011 205.579 205.908 206.699

221.850 224.465 226.202 226.252 226.550 228.005 228.352 228.448 230.166 230.388

242.807 246.666 246.682 248.056 248.415 249.078

სერია № 51.—500 მანეთიანი მოგებანი

077.504 092.951 119.478 186.320 236.421

სერია № 51.—1000 მანეთიანი მოგება

111.526

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 147.

რა უნდა იცოდეს ობლიგაციის პატრონმა

ობლიგაცია, რომელსაც ხვდა მოგება, შემდეგ ტირაჟებში მონაწილეობას აღარ მიიღებს.

მომგებს, გარდა მოგებისა, ეძლევა ობლიგაციის ღირებულება და პროცენტი, რომლებიც დაგროვდა იმ დღემდე, როცა ობლიგაციის განაღდება მოხდება.

მოგებათა გაცემა, აგრეთვე ტირაჟი გასულ ობლიგაციების განაღდება და ობლიგაციაზე დარიცხულ პროცენტების გასტუმრება ხდება სამი დღის შემდეგ, რაც გაზ. „კომუნისტში“ და „ზარია ვოსტოკა“-ში გამოქვეყნდება მოგებათა ოფიციალური ცხრილი, ადგილებზე კი სამი დღის შემდეგ იმ გაზეთების იმ ნომრების მიღებიდან, რომლებშიც ოფიციალური ცხრილი არის მოთავსებული.

50 და ას მანეთიან მოგებათა გაცემას აწარმოებენ ფინსახკომის დაწესებულებები, სახ. ბანკის დაწესებულებები, შემნახველი სალაროები და საფოსტო - სატელეგრაფო დაწესებულებები.

ხუთას და ათას მანეთიან მოგებათა და აგრეთვე ამ მოგებათა ნაწილების გაცემა სწარმოებს მოსკოვში, სახელმწიფო ბანკში.

რათა ხუთას და ათას მანეთის მომგებს გაუადვილდეს მოგების მიღება, მას შეუძლია მოგების მიღება მოსკოვიდან დაავალოს ერთ რომელიმე ზემოხსენებულ დაწესებულებას, რომელიც მოგებათა გაცემას აწარმოებს. ამისათვის მან ამ დაწესებულებას უნდა ჩააბაროს თავისი ობლიგაცია, სამაგიეროდ მას ეძლევა შესაფერი ბარათი (ქვითარი), რომელშიც, აღნიშნული იქნება მოგებული ობლიგაციის № (სერიის აღნიშვნით).

მოგებული ობლიგაციის წარმდგენს უფლება აქვს რიგს გარეშე, შეღავათიან პირობებში მიიღოს ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანა.

იურიდიული დახმარება

იაკობ ქობალაძეს

(რაჭის მაზრა, სოფ. ჩრებალო)

კითხვა:

ვცხოვრობთ ერთად ორი ძმა და მამა. ჩემმა ძმამ მოინდომა ცალკე ცხოვრება. ჩვენ გავიყარენით ისე, რომ მამა, ჩემთან დარჩა. ძმა თხოულობს ადგილის გამოყოფას სულზე, ვგაქვს მიწა არა უმეტეს ნახევარი ნორმისა. გთხოვთ გვიპასუხოთ როგორ უნდა გაიყოს ადგილი?

პასუხი:

ადგილის გაყოფა, გაყრის გამო შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითეულ გაყოფს ხვდება არა ნაკლებ ნახევარი ნორმისა. რადგან თქვენი მიწა ნორმასაც არ შეადგენს, მისი გაყოფა დაუშვებელია. ამიტომ თქვენ ძმას მიწა არ მიეცემა.

ალექსანდრე ვაშაკიძეს

კითხვა

მეეზოვეს უკავია 4 ეზო. აქვს დანიშნული ჯამაგირი 50 მ. ერთ ეზოს ერგება გადასახდელად 13 მან. ჩემს ეზოში არისსამი დარაბა. თითო დარაბა იხდის 3 მან. რამდენი უნდა გადავიხადო მე მეეზოვეს სასარგებლოდ და არის თუ არა მეეზოვე მოვალე აანთოს ღამით სანათურები?

პასუხი

თვეში უნდა გადაიხადოთ 4 მანეთი, ხოლო სანათურების ანთება შეადგენს მეეზოვეს მოვალეობას და მას ამისათვის ცალკე გასამრჯელო არ ერგება. დარაბები მეეზოვეს ხელფასს იხდიან საიჯარო ქირის მიხედვით.

დავარი ალასანიას

კითხვა:

მაქვს სახნავ-სათესი მიწა ნორმის რაოდენობით. რომელსაც ვამუშავებ საკუთარი შრომით. მყავს შვილები, ჩემი ქმრის ძმები მოითხოვენ ამ მიწის ხელახლად გაყოფას მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ქმრის სიცოცხლეში ისინი გამოიყვნენ და ამჟამად აქვთ თავისი წილი. გეკითხებით, აქვთ თუ არა უფლება ჩემ ქმრის ძმებს მოითხოვონ მიწის გაყოფა?

პასუხი:

კომლის გაყოფის მოთხოვნა შეუძლია ისეთ პირს, რომელსაც არ დაუკარგავს უფლება კომლის წევრობისა. თუ კი თქვენი გარდაცვლილი ქმრის ძმები გამოყოფილნი არიან და მაშასადამე თქვენი კომლის წევრებათაც არ ითვლებიან, მათ არავითარი უფლება არა აქვთ თქვენი კომლის სარგებლობის მიწაზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა ხელზე

დღეს, 28 ივნისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშათა პირველ სექციიდან: მარიამ საკოვა, ელენე სტურუა, ლიუბა ხუხავა, სუსანა ოგანეზოვა, ეკატერინე კანდელაკი, სუსანა ალექსანდროვა, ელისაბედ ლომიძე, ივანე მჭედლიშვილი, გიორგი ლომინაძე, ვლადიმერ შიროლვა, ელენე კვირკველია და ერმოკრიტ თალაკვაძე.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ლეონილა მაჭავარიანი, ბიქტორ მგელაძე, ზოია სპირიდონოვა, ანნა ტერ- არუთინოვა, თამარ ანდრიასიანი, გიორგი ანიკიანი, ელენე ქანტურია, ს. ნებიერიძე, რიფსიმე გაბელაშვილი, მაქსიმე გელოვანი, ედუარდ დომინიკოვი, ვლადიმერ სანოვიჩი, ავეტიქ მატინოვი, რაფაელ ნახმაგუროვი, მიხეილ გელაშვილი, ნიკოლოზ იმხანოვი, ეკატერინე ტროიცკაია. ანნა ჩელემოვა, ნადეჟდა საბლინა, ელისაბედ ორაგველიძე, ანნა საბაშვილი, ალექსანდრე პოლოსოვა, სარქის კაზარიანი, სერგო ეგოროვა, ოლღა პაპლაშვილი, ელისაბედ მჭედლიშვილი შალვა სვანიძე, გიორგი თალაკვაძე, ბვაქ აჯაქიძე. მიხეილ დიდებულიძე. იაკობ ვარდოსანიძე, ივანე მელიქიშვილი, ალექსი მაჭავარიანი, ნინო კვინკაძე, შალვა ლაბაშვილი, თამარ ჯანდიერი, მერი მესხი, მარიამ ჭუონია, თამარ კვირკველიშვილი, ქეთევან კორინთელი, ნადეჟდა კალანდარიშვილი, ნატალია მასიურიძე, ოლღა მარჯანიშვილი, გიორგი თურმანიძე და მარიამ დემეტრაშვილი.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: ნიკოლოზ სტააჟაძე, მიხეილ თოფურია, შალვა პაპავაძე, ალექსი ინაშვილი, მარიამ საკოვა, ლეონ დავიდოვი, ნაზარ სადაროვი, გიორგი ბენგაური და ალექსი კაზარიანი.

ოფიც. განკარგულება

ცირკულიარი

ყველა სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან დაარსებულ იქნენ საექსპერტო კომისიები, რომელთაც დაეკისრათ წარედგინათ საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსათვის სტატისტიკური ცნობები ნათესი სივრცის ცვლილებისა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების საერთო მდგომარეობისა და დესეტინა მიწისაგან მიღებული მოსავლის შესახებ, აგრეთვე წარედგინათ ცნობები ნათესისა და ვენახების ზიანისა და დაღუპვის შესახებ.

გამოირკვა, რომ, თუმცა საექსპერტო კომისიებს დაკისრებული ჰქონდათ ასეთი პასუხსაგები სამუშაო, მათ მოქმედებას სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარენი, რომელნიც, დადგენილების თანახმად, იმავე დროს თავმჯდომარენი არიან ამ კომისიებისა, არ აქცევენ სათანადო ყურადღებას.

სახალხო კომისართა საბჭომ, მიიღო რა მხედველობაში საექსპერტო კომისიებისათვის დაკისრებული მოვალეობის უაღრესი მნიშვნელობა და, აგრეთვე, ის შედეგი, რაც მათი მუშაობისადმი უყურადღებობას მოსდევს, საჭიროდ სცნო, წინადადება მისცეს ყველა სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს—მიიღოს გადამწყვეტი ღონისძიება ამ საექსპერტო კომისიების მოქმედების გაცხოველებისათვის.

ამისდამიხედვით, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს დაეკისრებათ:

ა) თვალყური ადევნონ საექსპერტო კომისიებში შესული ცნობებისა და მასალების შემოწმებას;

ბ) მოსთხოვონ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ზედმიწევნითი და დაწვრილებითი ცნობების წარდგენა საექსპერტო კომისიაში.

გ) მოიწვიონ სისტემატიურად და დანიშნულ დროს საექსპერტო კომისიების სხდომები.

დ) წარუდგინონ ხოლმე ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მისთვის საჭირო სტატისტიკური ცნობები და მასალები.

ამასთან ერთად სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს წინადადება ეძლევათ მოიწვიონ სათემო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა თათბირი, რომელსაც სამაზრო სტატისტიკური განყოფილების გამგე გააცნობს საექსპერტო კომისიების მიზანსა და ორგანიზაციის ხასიათს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

დადგენილება № 7

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა

1928 წ. მაისის 23

„შინა-მრეწველებსა, ხელოსნებსა, სასარეწაო კოოპერაციისა და შრომის ნადებში ჩაბმულ შეგირდების დაზღვევის მიზნით 1927—28 სამეურნეო წელიწადში თვიურ საშუალო შრომის ხელფასის დაწესების შესახებ“.

სსრკ ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წ. სექტემბრის 7-ს თარიღით „შინამრეწველებსა, ხელოსნებსა, სასარეწაო კოოპერაციისა და შრომის ნადებში მომუშავე შეგირდების სოციალური დაზღვევის შესახებ“ გამოცემული დადგენილების მე-3-ე მუხლის თანახმად, საქართველოს სსრ შრომის სახ. კომისარიატი, ადგენს:

1. შინამრეწველებსა, ხელოსნებსა, სასარეწაო კოოპერაციისა და შრომის ნადებში ჩაბმულ შეგირდებზე სოციალურ დაზღვევის ორგანოებში შენატანების გამოსაანგარიშებლად 1927—28 სამეურნეო წლისათვის თვიურ სამუშაო ხელფასის ნორმად დაიწესოს: ქალაქ თბილისის ფაბრიკებში 20 მანეთი, ხოლო რესპუბლიკის დანარჩენ ქალაქებისათვის 15 მანეთი.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნულ შრომის ხელფასის რაოდენობა ერთნაირია წარმოების ყველა სახისათვის და მოწაფეთა თვითეულ ჯგუფებისათვის შეგირდების ყველა წლებში.

საქშრომსახკომის მოადგილე—შელიძე.

სახ. საქ. განყ. გამგე—არჩვაძე.

შეთანხმ. საქ. პ—კავშ. საბჭ.— მახაიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომ. პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი იტყობინება, რომ 29 ივნისს, საღამოს 6 საათზე თბილისის კომიტეტის მდივნის კაბინეტში შესდგება ყველა კომუნისტ-ინჟინერ-ტეხნიკოსების კრება. კ. პ. წევრ-კანდიდატები და ახ. კომ. კავშირის წევრ-ინჟინერ-ტეხნიკოსთა დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს ა. ლ. კ. კ-ს ცენტრალური კომიტეტი იტყობინება, რომ დღეს, 28 ივნისს, საღამოს სრულ 5 საათზე საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულების მუშაკთა კავშირის საზაფხულო კლუბში (კიროვის ქუჩა) შესდგება ა. ლ. კ. ჭ. ცეკას პლენუმის მორიგი სხდომა, რომელსაც დაესწრებიან საქ. ა. ლ. კ. ა. კ. საოლქო კომიტეტის პლენუმის წევრები, თბილისის კომიტეტის და სარევ. კომისიის წევრები და კანდიდატები, რაიონული კომიტეტის და სარევიზიო კომიტეტის წევრები და კანდიდატები და საქ. ა. ლ. კ.კ. თბილისის ორ კანისაციის უჯრედების ბიუროების წევრები.

დღის წესრიგშია: ამხ. ლოლობერიძის მოხსენება—საქ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის მე-3 პლენუმის შედეგების შესახებ.

* * *

საქ. ლ. კ. ა. ა.-კ. საოლქო კომიტეტის, საქ. ა. ლ. კ. კ. ცენტრ. კომიტეტის, თბილისის კომიტეტის წევრები სხდომაზე შეივლენ თავისი მანდატებით დანარჩენები შესასვლელ ბილეთებს მიიღებენ რაიონულ კომიტეტებში.

დღეს, 28 ივნისს, საღამოს 6 საათზე კომ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივან ამხ. ხუხუნაიშვილის კაბინეტში შესდგება თათბირი საქმიან კლუბის მოწყობის შესახებ. თათბირზე უნდა დაესწრონ ქვემოჩამოთვლილ ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა: აზნეფთი, ამიერკოოპი, არმენტორგი, სახ. ბანკი, საქ. კოოპ. ბანკი, საქ. სამ. ბანკი, ა.-კ. სას.-სამ: ბანკი, სამრეწველო ბანკი, საქონლის ბირჟა, „ბოლოკი“, „ზაკვოპი“. ა.-კ. რკ. გზა, ქაღალდის ტრესტი, ტექსტილტორგი, საქართველოს ღვინო, სახ. მეურ. უმ. საბჭო, სამთო ტრესტი, თამბაქოს ტრესტი, პოლიგრაფტრესტი, საფოსტო, ტელეგრაფი, ლითონტრესტი, სატყეო მრეწველობის ტრესტი, საქართველოს აბრეშუმი, სახალხო მამულების რესტი, „ზაკტპო“, ზაკავპრომტორგი, თბილისის აღმასკომი, სახკინმრეწვი, სახ. ვაჭრობა, ზაკგოსტორგი სახელმწიფო ელექტროტრესტი, მუშკოოპი, სახ. დაზღვევის ა.-კ. გამგეობა, „ზაკუტილსირიო“, „ზაკმიასტორგი“, ა.-კ. საკრედიტო ბიურო, ზაკცელმაში, ზაკსიუზი, ა.-კ. საბაზრო კომიტეტი, კურორტების მთავარი სამმართველო, „მამინოსტროი“, მანქანა-ტეხნიკური სინდიკატი. მშენებელ. სახ. კომისარიატი, მკერავი, სამშენი; „სოვტორგფლოტი“, ხელსაწყოებ. საქართველოს ჩაი, სახ. „მატყლი“, „რუდმეტალტორგი“, სოფლის კავშირი, თბილისის ვაჭრობის სახალხო ამხანაგობა, კომუნალური ბანკი, რეზინოტრესტი, მაქრის ტრესტი, „ტეუ“; ციკავშირი, „ელექტროსელსტროი“, სარეწკოოპკავშირი, ტყავსინდიკატი, ნავთსინდიკატი და პროფსაბჭო.

დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კ. პ. ბ) დუშეთის სამაზრო კომიტეტი და დუშეთის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი მწუხარებით იუწყებიან ძველ ბოლშევიკ რევოლიუციონერის

პავლე თედორეს-ძე ჩხუტიაშვილის

გარდაცვალებას ა. წ. 25 ივნისს. დაკრძალვა მოხდება 28 ივნისს, 12 საათზე, სოფ. საკრამულში (დუშეთის მაზრა). 2873

დღეს და ყოველდღე

კინო-თეატრებში

აპოლო--მინიონ--სოლეი

მხატვრული სურათი

ორფეოსი

(ქარიშხალი)

დადგმა ივ. პერესტიანის

ოპერატორი

ა. დ. დიღმელოვი

მთავარ როლებში:

მ. და ა. შირაი, მ. ჩიმიშკიანი,

მ. იაკობინი, ი. კრუჩინინი

ნ. 1325

სახკინმრეწვის კინოები

აპოლო

მინიონი

სოლეი

ორფეოსი (ქარიშხალი) მხატვრული სურათი

რეჟისორი ივ. პერესტიანი. ოპერატ. ა. დიღმელოვი

განთიადი (ნაძალადევში)

სეზონის საუკეთესო სურათი მაგულ (სისხლიანი მორევი)

საზაფხულო ეთერი

გრანდიოზული ფილმი ეკატერინე მეორის ეპოქიდან ბულატ ბატირ

საზაფხულო დარბაზი

მხატვრული ფილმი კეთროვანი ფ. დიუშენის რომანის „ახალგაზრდა მთვარე“-ს მიხედვით.

საზაფხულო პალასი

თეთრი ზღვის შვილი 3 და 4 სერია ერთად

პროლეტარი ავლაბარი

საინტერესო ფილმი სიკვდილზე სწრაფი გარი პილის მონაწილეობით

ანონსი. მალე უცხოეთის ახალი სურათი „მათხოვარი-მაჰარაჯა“ ნ. კოლინის მონაწ. 0—24

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბი (ყოფ. მუშტაიდი).

დღეს, 28 ივნისს,

დიდი სიმფონიური კონცერტი

სახ. არტისტის მ. ი. ჩერნიახოვსკის ხელმძღვანელობით. კამერულ მომღერალ ქალის ე. ზაკის და მსახიობ ნ. შესტოვის მონაწილეობით

პირველად თბილისში გოეთე „ეგმონტ“ მუსიკა ბეთჰოვენის. დასაწყისი საღ. 9 საათზე.

ბაღში კინო. წვიმიანი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის

ხვალ, 29 ივნისს, კონცერტი მედსანშრომის მუშაკთა ბაღში (ყ. სტილა). ნ. 1313

დაჰკარგე: ლომბარდის ქვით. №№ 39963, 40998, 45507, 40984, ჩ. გ. 2864

დაჰკარგე: სამხედრო სააღრიცხვო ბარათი ფ. № 4. მალვა ევსევის-ძე გაბისიანის სახელზე, ჩ. გ. 2876

დაჰკარგე: ხოტევის თემამასკომისაგან მოცემული პირადობის მოწმობა იოსებ ნიკოლოზის ძე ენუქიძის სახელზე, ჩ. გ. 2866

დაჰკარგე: საანგარიშო წიგნაკი № 201 ნინო ლომთათიძის სახელზე, ჩ. გ. 2870

დაჰკარგე: ლომბარდის ქვითარები №№ 1470 და 8271 და მუშკოოპის წიგნაკი შ. ადეიშვილის სახელზე, ჩ. გ.

დაჰკარგე: პირადობის მოწმობა და სხვადასხვა საბუთები ვიქტორ გიორგისძე ნებიერიძეს სახელზე, ჩ. გ.

შორაპნის მაზრაში

გაზეთ „კომუნისტი“-ს კორესპონდენტათ

1 ივნისიდან დანიშნულია

ვასილ ჯალაღანია

სააგენტო აქვს ქ. შიათურაში

3—1 მთ. კანტორა.

ახალ-სენაკის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლ. კაზირია

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 7 ივლისს დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქალაქ ახალ-სენაკში ლენინის ქუჩაზე, სადაც გაიყიდება მოქ. ეპიფანე თედორეს-ძე ჭოჭუას კუთვნილი ერთი თვალიანი დუქნის შენობა ქვის და აგურის, უკან მოდგმული სამთვალიანი აგურის სახლით, ლენინის ქუჩაზე, შეფასებული 1000 მან., ოჯახის ავეჯეულობა—საწოლები, მაგიდები და სხვ., შეფასებული ერთად 750 მან. და ლიმონათის ქარხანა ლაშაპელის სისტემის № 2 თავისი მოწყობილებით, შეფასებული 600 მან., დასაკმაყოფილებლად ახალსენაკის „ეპოსი“ და სხვების ვალისა, თანახმად აღმასრულებელი ფურცლებისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 2865

ხონის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

პ. ბ. ერისთავი

ამით აცხადებს, რომ მის მიერ 1928 წ. 7 ივლისს დღის 12 საათზე სოფ. პატარა ჯიხაიშში, ღანირქვიტირის თემში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა გაიყიდება მოქ. რადიონ ვლადიმერის-ძე მიქაძის ქონება, სახელდობრ: ერთი ხის სახლი, სამი განყოფილებით, წინ და უკან აივნით, ზევით და ქვევით ჭერით და იატაკით, ოთხი წყვილი ფანჯრებით. ექვსი წყვილი კარებით, დახურული ყავრით. აღნიშნული ქონება შეფასებულია 400 მანეთად და იყიდება მოქ. პავლე გრიგოლის-ძე მანჯგალაძის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა ხონის უბნის სახ. სასამართლოსა 16 აგვისტოს 1927 წ. № 2357. ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან ქონების დათვალიერება შეიძლება ვაჭრობის დროს. 2872

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი

ქ. ს. ფონ-იოტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე, დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ.7 ნახ.—8 ნახ. საათ. 2—15

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის, ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით —8—9 საღ.—4—5 მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილის 7—9 საათამდე

საღამოს 7—9 კაცებს

6—7 ქალებს.

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

თმის მკურნალობა

საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნ. გ. კონტოროვიჩ'სა

მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი

დარეჯან ე.

თაყაიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება საღამოს 6—8 საათამდე.

მისამართი: ვარცივის ქ. (ყოფ. სიმიონოვის) № 16. 21—1

დაჰკარგე: სამხედრო სააღრიცხო წიგნაკი ფორმა № 3 თბილისის სამხედრო კომისარიატის მიერ გაცემული და მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 10761, გაცემული სიღნაღის სამაზრო კავშირიდან, მელქისედეგ ბესარიონისძე გუნცაძის სახელზე, ჩ. გ. 2868

დაჰკარგე: პირადი წიგნაკი ფ. № 4 გაცემული ფოთის სამხედრო მაგიდის მიერ ერმილე თემურაზის ძე კანტურიას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1323

მთავლიტი № 904. პოლიგრაფტრესტის ყუ-ნ-ე სტამბა, კამოს ქ. № 62